WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

№27 (261) ● 9 ოქტომბერი, 2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## ვინ გააუქმებს საქართველოში „ნაციონალების“ მიერ დამყარებულ ახალი ტიპის ბატონყმობას?



საქართველო ევროპული კი არა რომელიღაც არაბულ ქვეყანას უფრო ჰგავს, სადაც ადამიანები ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მომენტალურად სულთნები და შეიხები ხდებიან

### მამუკა არეშიძე:



ხომ ამბობენ, 27-ში დამთავრდება კოაბიტაციაო, ჰოდა, დამთავრდეს და დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენა!



რატომ აფარებს ხელს ახალი ხელისუფლება ყაჩაღების ბანდას, რომელმაც „კავკაზუს ონლაინის“ მფლობელს მამია სანადირაძეს 80%-იანი წილი „აახია“?

### სანდრო ბრეგაძე:



აგენტს რომ გიწოდებენ და ხმას არ ამოიღებ, ე.ი. აგენტი ხარ!



### ელისო კილაძე:

ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი აგენტების მხილებას, რომ ბიძინა ივანიშვილს სიმართლე გავაგებინოთ, როგორც ეს გია ხუხაშვილის შემთხვევაში მოხდა

vaW r oba qveyni T da xa l xi T!













### ლევან კოჭლომაშვილი:

## მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე საქართველოს წინააღმდეგ დიდ პროვოკაციას გეგმავენ?

ოკუპირებული რეგიონთან დაგეგმილი პროვოკაციები შეიძლება ორი სცენარით განვითარდეს — საომარი სიტუაცია აწყობს სააკაშვილს, ნახევრად საომარი — ნინო ბურჯანაძეს

# რედაქტორის გვერდი



ვახტანგ ხარჩილავა

**როგორც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, ალასანია და ქართული ჯარი ნატოშია, საქართველო კი ჯერჯერობით აქაა და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. საპრეზიდენტო არჩევნები რას გვიშველის, მაგრამ რადგან დემოკრატიული ქვეყანა გვქვია, წესია ასეთი — არჩევნები უნდა ჩატარდეს და პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ. აბა, მაგის გარეშე როგორ იქნება?**

ამ საარჩევნო კამპანიას რომ ვაკვირდები, რაღაც ირეალური, მისტიური სიტუაციაა.

წესით, ახლა საარჩევნო ციებ-ცხელებისგან ქვეყანა უნდა დუღდეს და ბაბანებდეს, თუმცა მსგავსი არაფერი ხდება — საპრეზიდენტო კანდიდატები ლანდებივით დალასლასებენ აქეთ-იქით და ისე ულიმღამოდ და უხალისოდ ლაპარაკობენ, გეგონება, პრეზიდენტობა არ უნდათ და ვიღაცები აძალებენო.

თითქოს პანაშვიდზე არიან და დარდისგან დამძიმებულებს ლაპარაკის თავიც არ აქვთ.

არადა, თავიდან ენერგიულად და ომახიანად დაიწყეს, მაგრამ უცებ შუა გზაზე ყველამ ერთდროულად დაამუხრუჭა და დავრჩით ასე „დატორმუზებულ“ მდგომარეობაში — ინერციით წინ გადაქანებულნი და კისერწაგდებულნი.

რა მოგივიდათ, თქვენ, კაცო, რაღაც მოიგონეთ, რაღაც მოგვატყუეთ, რაღაც ინტრიგა შემოაგდეთ, თორემ დავრჩებით ასე გადაკუზულ პოზაში.

თუ ასე გაგრძელდა, არჩევნების დღეს ხალხი არჩევნებზე აღარ მოვა და დავრჩებით უპრეზიდენტოდ.

უპრეზიდენტობას კიდევ გავუძლებთ, მაგრამ უპრემიეროდაც რომ ვრჩებით, ამას რა ვუყოთ?

მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში გადადის და იქედან აპირებს ჩვენთან ერთად პოლიტიკური პროცესების მართვას და ხელისუფლების გაკონტროლებას.

ეს ხომ არ არის, ნეტავ, არჩევნების წინა პერიოდში დასადგურებული ამ დიდი საყოველთაო-სახალხო მოწყენილობის მიზეზი — რა აზრი აქვს პრეზიდენტი ვინ იქნება, რა აზრი აქვს პრემიერ-მინისტრის სახელი ვის ერქმევა — მაინც ერთმა კაცმა, ბიძინა ივანიშვილმა უნდა ზიდოს ქვეყნის ჭაპანი ყველას ნაცვლად და ყველას მაგივრად.

არჩევნების დღე 27 ოქტომბერი, იმით კი არ არის ღირსშესანიშნავი, რომ ახალი პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ, არამედ, პირველ ყოვლისა, იმით არის გასახარელი, რომ ძველი უნდა წავიდეს.

**ძველს კი, როგორც ჩანს, შიში შეუდგა ტანში და სიყვარულზე დაიწყო ლაპარაკი — ეს ათასწლოვანი შუღლი და მტრობა მაინცადამაინც 27 ოქტომბერს, ჩემი პრეზიდენტობიდან წასვლის დღეს უნდა დავამთავროთ და ამიერიდან სიყვარულით და სიამტკბილობით ვიცხოვროთო.**

**ის კი არ უთქვამს, მაპატიეთ მე, ცოდვილს, მაპატიეთ მე, ავაზაკს და არამზადას, რაც თქვენთვის ტკივილი მომიყენებია, 27 ოქტომბერს რომ გადავდგები, წავალ, თვალით არ დაგენახვებით, სადმე სენაკში დავეყუდები ბერად, რომ დარჩენილი ცხოვრება ვილოცო და ცოდვები გამოვისყიდო, ცოტა ხანში ისევ უკან მოვბრუნდებიო, დაგვპირდა.**



ვითომ არაფერი დაუშავებია, ვითომც არაფერი მომხდარა, ისე არხეინად და უტიფრად გვიყურებდა თვალებში და სიყვარულზე გვებაასებოდა.

კი, ბატონო, სიყვარული მართლაც დიდებული რამ არის, მაგრამ ჯერ საქართველოს შეურაცხყოფისთვის აგოს პასუხი ამ კაცმა და სიყვარულზე მერე გველაპარაკოს.

**მართლაც რაღაც ირეალური, მისტიური, ფანტასმაგორიული სიტუაციაა ქვეყანაში.**

თითქოსდა ცხადში კი არა სიზმარში ხდება ეს ყველაფერი, სიზმარში, სადაც „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი კი არა შალვა რამიშვილია — ყველა ტელეარხზე შალვაა, ყველა კითხვას შალვა პასუხობს, ყველას ნაცვლად, მათ შორის მარგველაშვილის ნაცვლადაც შალვა ლაპარაკობს.

კაცი იფიქრებს, მარგველაშვილს ამ ერთი შალვას გარდა თანამდგომი და მხარდამჭერი არ ჰყავსო.

სიზმარში ხდება, რა თქმა უნდა, ეს ამბები, თორემ ცხადში როგორ შეიძლება გიორგი მარგველაშვილის პიარ-მენეჯერი სააკაშვილის ყოფილი პიარი შალვა რამიშვილი იყოს?

შალვას მარგველაშვილის სიყვარულზე მონოპოლია აქვს გამოცხადებული და ახლოს არავის აკარებს — ემანდ, ვინმე არ ჩამეზიაროს მომავალი პრეზიდენტის მთავარი ვეზირის პოსტზეო.

ისიც სიზმარია, ალბათ, მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიას დავით საგანელიძე რომ ხელმძღვანელობს და „ქართულ ოცნებაში“ „პალაჟენიას“ რომ აყენებს, თორემ რეალურ ყოფაში საგანელიძე „ქართულ ოცნებაში“ რატომ უნდა იყოს საერთოდ?

**სიზმარია ეს ყველაფერი — ეს კოაბიტაციაც სიზმარია, „ნაციონალებით“ გადაჭედილი სპორტის სასახლეც სიზმარია, სიყვარულზე მოჭიკჭიკე სააკაშვილიც სიზმარია, შალვა რამიშვილის პიარ-მენეჯერობაც და საგანელიძის „ოცნებისტობაც“ სიზმარია, საპრეზიდენტო არჩევნებიც სიზმარია და რაც ამ სიზმრის შემდეგ მოხდება, ისიც სიზმარია.**

**სიზმრის ქვეყანაში ვცხოვრობთ, სიზმარში ვართ ჩათბუნებულ-ჩათვლემილნი და იმდენად გაგვიტკბა იქ ყოფნა, რომ გაღვიძება და თვალის გახელა გვეზარება.**



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „პაგონიანი“ ჟურნალისტები, სამტრედიელი „კონკია“ ანუ მიჯირყვნილები



## რომელია ის სუფთა ჟურნალისტი, რომელიც კოწია ფოსტალიონივით აღიარებს საკუთარ წილ დანაშაულს?

უცნაური რამ მოხდა ქართულ რეალობაში, პატივსაცემი პროფესია „ჟურნალისტი“ თვალსა და ხელშუა გადაიქცა „მატყუარას“ სინონიმად. ჟურნალისტების მისამართით მანამდე კულუარულად მოარული შეფასება „პაგონიანი ჟურნალისტები“, ხმამაღლა პირველად 2010 წლის მაისში, კოსტავას ქუჩაზე, ტელევიზიის შენობის წინ ბატონი ლევან გაჩეჩილაძისგან გავიგე. მახსოვს, ამბობდა, ტერიტორიაზე შემომსვლელი ჟურნალისტების აკრედიტაცია უნდა ხდებოდეს, „პაგონიანი ჟურნალისტები“ დეზინფორმაციას ავრცელებენო.

სწრაფად გავიდა დრო და მოვედით დღევანდელ დრომდე, თუმცა დრო მხოლოდ გავიდა, დავიწყებას არ მისცემია. ამდენად, დღევანდელი აგრესია გუშინ-გუშინწინ „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე შექმნილ-შობილი ჟურნალისტების მიმართ მთლად გასაკვირიც არ უნდა იყოს.

დიახ, ბატონი პრემიერი, შეიძლება, ზოგ საკითხში მართლაც არ ბრძანდებოდა ჟურნალისტებთან მიმართებაში მართალი, როდესაც ჟურნალისტურ სფეროში იჭრებოდა, მაგრამ ფართო საზოგადოებამ ეს ასპექტი არაფრად ჩააგდო ერთი მარტივი მიზეზის გამო, ძლივს ნახეს ერთი კაცი, რომელიც ყოველდროების რატომღაც გაფუფუნებულ ჟურნალისტებს რაღაცნაირი ფორმით მაინც დატუქსავდა.

ბრაუნს ჰქონია გამოთქმა „ჟურნალისტიკა მტრობის ფულად გადაქცევის ხელოვნებააო“ — ნეტავ, ბრაუნის ეს გამოთქმა იცოდნენ დღევანდელმა ე. წ „ელიტარულმა ჟურნალისტებმა“ თუ თვითონ მივიდნენ ამ დასკვნამდე? ასეა თუ ისე, ეჭვია, რომ სწორედ ამიტომ დაეწყოთ „თავს ლაფის დასხმა“...

პირად აზრებს გვერდზე გადავდებ, საკმარისზე მეტია ნათქვამი. განზე გავდგები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ საწყენია, როცა პროფესია „ჟურნალისტი“ ილანძღება...

„ეს ის ჭურ(ა) ნალისტები არიან, ვინც „გნაცანალების“ პიარით იყვნენ დაკავებულნი. ეს დეზინფორმატორ-პროპაგანდისტები ის რუპორები არიან, ვინც მოსახლეობას ტყუილში აცხოვრებდა; ვინც დახვრეტებს ამართლებდა; ვინც წაგებულ ომს მოგებულად ასაღებდა. მოკლედ, ეს ნაძირალები, როგორც დამნაშავეები, უნდა ჩამოსცილდნენ მედიას“.

„ისე, რაც ბიძინამ ჟურნალისტებისა და ექსპერტების „ჯირყვნაში“ დრო და ენერგია დახარჯა, ეს დრო ბიზნესში რომ დაეხარჯა, მოგებული ფულით ახალ ჟურნალისტებს და ექსპერტებს იყიდდა და პრობლემაც ჩკა!“

„ქართული „ჭურნალისტიკის“ მარად კაშკაშა ვარსკვლავზე, ინგა გრიგოლიაზე მოგახსენებთ, რომელმაც ისე ჩაგვიტარა საკუთარი თავის მორიგი „რებრენდინგი“, ვითომც არაფერი. მორიგი, რადგან „იმედის“ დარბევის შემდეგ არაერთხელ გარებრენდგინგდა „სამტრედიელი კონკია“ და „ჭურნალისტიკაში“ დაბრუნდა!.. აგერ, ახლაც, ისე უტიფრად დაგვიბრუნდა „ტვ-3-ით“ ვითომ „გალსტუკიანი ხვლიკის“, გიორგი თარგამაძის „ქდმ-ს“ დეპუტატი თბილისის საკრებულოში და იქედან იმავე ხვლიკის ფავორიტი მაჟორიტარი კანდიდატი მე ვიყავი შარშანდელი 1 ოქტომბრის არჩევნებში.

დაგვიბრუნდა და — სადა ხართ ის ბიჭები 17 მაისს საწყალ პედერასტებს რომ დასდევდით ტაბურეტკიან მღვდლებთან ერთად, რატომ არ მიდიხართ დიცში რუსეთის ოკუპაციის გასაპროტესტებლადო, ერთად დაგვამუნათა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ის ხალხი, ვინც ვერასდროს დავუშვებთ პედერასტების პარადებს საქართველოში და თავად ითავა „პატრიოტული აქციის“ მოწყობა კონფლიქტის ზონაში!

ჰოდა, აქა ვართ ქაბატო-ჯან, აქა!“

„საქართველოს ეკლესიაც, რომლის საჭეთმპყრობელს კარგად ესმის, რომ რუსეთთან ურაპატრიოტული საპროტესტო აქციებით ვერაფერს გავხდებით და „ის ბიჭებიც“ აქ ვიქნებით, ინგა-ჯან და ხვალაც იგივე პასუხს მიიღებენ პედერასტები, რაც გუშინ მიიღეს — დასავლეთში უკვე დამთავრდა გეი-პარადების აღლუმების ბუმი და ახლა ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების პარადები დაიწყო!

იგივეს ვერ ეღირსებით საქართველოში!

ახლაა და, ბიძინა ივანიშვილს ის შესჩივლა, რატომ დაიხურა ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის თოქ-შოუებიო? — მოკლედ, თავის სტიქიაშია „სამტრედიელი კონკია“...

და საერთოდ, ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი შოუს შემყურეს, სადაც, ძირითადად, ლიბერასტი „ჭურნალისტები“ იყვნენ მიწვეულნი, რომელთაც რაღაც ეთიკის თუ სხვა სირობის ქარტიაზე აქვთ ხელი მოწერილი, ერთი აზრი გამიჩნდა — ვისაც პირველ რიგში პედერასტების კი არა, სამშობლოზე, ქართველი კაცის უფლებებზე შეგვტკივა გული, ჩვენც, ასეთმა ჟურნალისტებმა ხომ არ შევიმუშავოთ რაღაც ეროვნული ქარტიის მსგავსი და მის გარშემო გავერთიანდეთ?!

იქნებ, მაშინ მაინც დაგვდონ პატივი და მსგავს შეხვედრებზე დაგვიძახონ რათა შინ და გარეთ ყველამ გაიგოს, რომ ლიბერასტების გარდა, სხვა, ეროვნულად მოაზროვნე ჟურნალისტებიც ვართ საქართველოში!!!“

„სჯობს კოჰაბიტაციასა ნაძრახსა, მიჯირყვნა სახელოვანი!“

„ჟურნალისტებო, თქვე ტლუებოოო... მიშამ დაკარგა ამხელა ტერიტორია და რატომ მიშას არ უსვამდით მაგ კითხვებს? დიდი ხანია ტყუილად ქებაში ფული არ აგიღიათ? როგორ დასდევდით მიშას მაკრატლით და ტრიბუნით რომ დარბოდა? — ბიძინას გაკეთებულზე? უნამუსოები ხართ და მეტი არაფერი... სეირობთ ამ სიტუაციაზე, რაც დღეს ხდება, ახლა... არ გადარდებთ თქვენ რუსეთის ქმედება. დიახ, ზუსტად — სეირობთ... ინგა გრიგოლია, რა მდაბიო ხარ — ეს შენს ინტონაციაშიც ჩანს, საუბარშიც. შენი ფსიქო-პორტრეტი შექმნილია, არ გეგონოს, რომ ვერ ვიგებდეთ. მიშამ გაყიდა მთელი საქართველო არაბებზე, ინდოელებზე, ჩინელებზე, ეს რუსეთის მავთულხლართებიც მიშას ქმედების რეზულტატია — 500 სოფელი დაკარგა 2008-ში... ახლა დგახართ და ამ ადამიანს, რომელმაც გიხსნათ გაუპატიურებისგან, ცემისგან, შიშიდან და დაჩმორებიდან, იმის მაგივრად, რომ ფეხის ხმას აჰყვეთ და მიჰხედოთ ქვეყანას, ჩასაფრებულები ხართ... გამყიდველები ხართ და ზედ გაწერიათ. ხალხი რომ იხოცებოდა ციხეებში, გრიგოლია, და ქუჩაში, დღისით, მზისით, ბიჭებს ხოცავდნენ, სად ეგდე მაშინ? — „ეგდე“, ეგვიპტეში, „ზაგარს“ იღებდი მაგ მახინჯ სიფათზე...“

„აფსუს, ალისტრახო... სად იყავი შენი ლეგენდარული კითხვით „ვინ გაფინანსებთ?“ — მერე ვნახავდი ბიძინას გაჩუმებულს, თან კიდევ ბევრჯერ რომ ჰკითხავდი „ვინ გაფინანსებს?“

„ჟურნალისტების ნაწილი პრემიერის ტონით უკმაყოფილოაო... მამაცხონებულებო, ცხრა წელიწადი გეხვეწებოდით საკუთარი უფლებები და პროფესიონალიზმი დაიცავითთქო და არააა, ვაზელინგადასმულები დარბოდით „მაღლიუკანალში“ და... ახლა აღარ მოგწონთ პრემიერის ტონი, ხო?!“

„როგორ შემოინახავს ისტორია ინგა გრიგოლიას ჟურნალისტიკაში მოღვაწეობას — მას რატომღაც ჰგონია, რომ ხმა, რომელიც ღმერთისგან და დამბადებლისგან აქვს მინიჭებული, აუცილებლად ყვირილით საუბრისთვის უნდა გამოიყენოს, თუმცა ავიწყდება, რომ მისი ხმის არავის ეშინია და მისი ეს დაყენებილი ტონი მხოლოდ მის უზრდელობაზე მეტყველებს. ეს არის ქალი, რომელმაც ფულზე გაყიდა სინდისი, წესიერება და ის წლები, როდესაც მაყურებელს მოსწონდა, როგორც ჟურნალისტი. შანტაჟზე წავიდა მიშას ძალადობის გამო (ან იყო ძალადობა, ან არა) და მისგან მაქსიმუმი მოითხოვა. ასე დაიწყო შავი ლაქის გავლება მის ცხოვრებაში. იქნებ უნდოდა კიდეც ეს შავი ლაქა? — პოპულარობას კარგავდა და ახალი იმიჯი, თუნდაც ეს ცუდი ყოფილიყო, მის კიდევ ერთხელ წარმოჩინებას შეუწყობდა ხელს. რას წარმოადგენს სინამდვილეში გრიგოლია. ის ყოველთვის იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას და ტელესივრცის ეთერს (თუმცა არც არის გასაკვირი, ის ხომ ნანუკა ჟორჟოლიანის მეგობარია და მათი ამბიცია ძალიან დიდზე გარბოდა ყოველთვის, ერთგან ჩაიძირებოდნენ და მეორე მხარეს ამოყვინთავდნენ და ამას, ყველაფერს ინგა შანტაჟით, ხოლო ნანუკა ფულით აკეთებდა). ინგას ამბიციურობა იმდენად დიდი იყო ყოველთვის, რომ მან პოლიტიკაშიც კი მოსინჯა ძალები, გიორგი თარგამაძეს „ამოუდგა“ გვერდით — ესეც, მიშას რეკომენდაციით... ვითომ ოპოზიციაში ჩაუდგა „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც ქრისტიან-დემოკრატი. სინამდვილეში, ყველამ კარგად იცის, რასაც წარმოადგენდა ეს პარტია პარლამენტში.

მოკლედ, მე ასეთ დასკვნამდე მივედი, გრიგოლია ნაცების მიერ არის შეგზავნილი ჟურნალისტიკაში აგენტად.

„ყველაზე მეტად იცით, რამ „მომხიბლა“ და დამაღებინა პირი გაოცებისგან? — პრემიერთან „ჭიდილიდან“ გამოსული ჟურნალისტები საღამოს ერთხმად რომ აცხადებდნენ, როგორ გვიტევდა ბიძინაო. მთელი ლაშქრით მისულებს ერთი კაცი თუ გიტევდათ და გავიმეორებ, ასე ოსტატურად „ჩაგხადათ“, წარმომიდგენია, მარტო რომ რჩებოდით მიშას რეჟიმის ზონდერ-მონებთან, რა „ხალისით“ ხდებოდა ეს აქტი... ანუ „შეტევისა“ და „დანებების“ აქტი... სირცხვილია, ცოტა დაფიქრდით, რას ლაპარაკობთ...“

„ჟურნალისტები, რომელთაც აგვისტოს ომის დროს ერთი საპროტესტო სიტყვა არ დასცდენიათ და წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადეს... ჟურნალისტებმა, რომელთაც „სტრატეგიულ სვლად“ შეაფასეს წაგებული ომის კონცერტით აღნიშვნა... ჟურნალისტებმა, რომელთაც, რაკი 7 ნოემბერსა და 26 მაისს (სხვა დროსაც) არანაციონალური სისხლი დაიღვარა, ამ სისხლის მფლობელი ადამიანები „ბომჟებად“ მონათლეს... ჟურნალისტები, რომელტავც გაამართლეს გირგვლიანის და სხვათა მკვლელობა, ქონების ჩამორთმევა ბიზნესმენებისთვის (სხვა თემაა, როგორ მოიპოვეს ეს ქონება და ისიც სხვა თემაა, კანონს არღვევდნენ თუ არა)... ჟურნალისტები, რომელტაც გამოხატული პოზიცია აქვთ და ამ პოზიციის გამო ეს ჟურნალისტები დირექტივებს და ფულს ხან ვისგან იღებდნენ და და ხან ვისგან დროისა და გარემოებების შესაბამისად (მეგის ქარდავას, დათა ახალაიასა და სოსო თოფურიძეს თავი რომ დააჯერბოვკებინეს, იმ ჟურნალისტების...) უკაცრავად და ფოსტალიონები რად არიან? ფოსტალიონობა ცუდი საქმეა? ჩახდილ, ჩასვრილ ათასგზის გაყიდულს ხმას რომ ამოაღებინებ, კითხვას დაასმევინებ და პასუხსაც გასცემ, მერე, შენგან წასული კიდევ შენ რომ მოგდგება და გლანძღავს, შენ ვინ ხარ ამ დროს და რას ერჩი ფოსტალიონს როგორც ასეთს? მერე რა, რომ კეთილი ფოსტალიონები ისტორიას ჩაბარდნენ...

ჰო, მართლა, „იმედში“ სპეცრაზმი რომ შევიდა და ინგა გრიგოლიამ „მეშინია რამე რომ ვთქვა, შვილი მყავს და გამიუბედურებენ“ პოზიციიდან სახალხო დამცველ სოზარ სუბარს, რა მოხდა „იმედში“, ამის შესახებ ახსნა-განმარტება რომ არ დაუწერა, ახლა, 2013 წელს რომ აპროტესტებს 2009 წელს გავლებულ მავთულხლართებს, აღარ ეშინია?... არც ერთი გუშინ მიჯირყვნული ჟურნალისტი არაა ფოსტალიონი და თავი დაანებეთ კეთილ ფოსტალიონს, ყოველ დღე რომ დადიოდა ჩვენი სოფლის შარაგზაზე და ბებოსთვის ხან პენსია, ხან „ცისკარი“ და ხან „მნათობი“ რომ მოჰქონდა...“

ინგა გრიგოლიამ და ნინო ჟიჟილაშვილმა ერთმანეთში გაარკვიონ დამამცირებელია თუ არა ჟურნალისტის ფოსტალიონთან გაიგივება, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიკითხოთ: რომელია ის სუფთა ჟურნალისტი, რომელიც კოწია ფოსტალიონივით აღიარებს საკუთარ წილ დანაშაულს?

„მე დავიწყე ომი, მე, თქვე ულმერთოებო, — თქვა ჩურჩულით კოწიამ და თავი სინანულით დაიქნია. მე დავიწყე ომი, მეზობლებო... კესარია სოსელია, ადექი თუ ხარ კრებაზე... ვინ შეგხვდა პირველად სოფელში და ვინ იყო ის კაცი, რომელმაც გითხრა, ომი დაიწყოო...“

ქართული ჟურნალისტიკის დეგრადირებული სახე სრულად არ იყო წარმოდგენილი იმ ჟურნალისტებით, პრემიერს რომ ესხდნენ იმ დღეს წინ და რაღაცას ედავებოდნენ, მაგრამ ვინც ისხდნენ, ან შემდეგ კომენტარებს აკეთებდნენ, მათი დანახვაც საკმარისი. „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში ახალგაზრდების დაპატიმრება, „მოდელირებული ქრონიკა“, „ვარდების რევოლუციისთვის ნიადაგის შემზადება და შემდგომ გაპიარება“, მკვლელობების „გათეთრება“, დაპატიმრებების შოუებად ქცევა, სხვის უბედურებაზე სიუჟეტების დარქმევა და ა. შ. შენიღბული სახელების ავტორები, ყველანი ის ფოსტალიონები არიან, რომლებიც არაფრით ჰგვანან არათუ კოწია ფოსტალიონს, მონანიე ადამიანებს — პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, შავი რომ თეთრად გამოჰყავდათ, ან პირიქით და ახლაც იმავეს აკეთებენ, მათზე უკეთ ვინ იცის?

**ნოდარ ლომჯარია**

# ვინ გააუქმებს საქართველოში „ნაციონალების“ მიერ დამყარებულ ახალი ტიპის ბატონყმობას?

ვახტანგ ხარჩილავა

## ბატონო ბიძინა, სანამ წახვიდოდეთ, ერთი მინირევოლუცია მაინც მოაწყვეთ, ეს მუქთახორების არმია მოგვაშორეთ და მერე წაბრძანდით

ამასწინათ კლუბ „ჯაზუში“ მიმიწვიეს. შეხვედრის დაწყებამდე გარეთ ვიდექი და სიგარეტს ვეწეოდი.

უცებ ორი „ჯიპი“ მოვარდა.

ერთ-ერთი მანქანიდან ოთხი ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა გადმოხტა, მეორე „ჯიპს“ შემოერტყნენ გარშემო, თან გაიწიეთ გაიწიეთო, — ყვიროდნენ და ავად აბრიალებდნენ თვალებს.

— რა ხდება, ნეტავ? ასეთი ვინ მოვიდა-მეთქი? — გავიფიქრე.

გავიხედე და რას ვხედავ — მანქანიდან ერთი პარლამენტარი გადმოვიდა, მედიდურად დაგვიკრა თავი და დაცვის თანხლებით კლუბში შებრძანდა.

გავოგნდი.

ამ პარლამენტარს დიდი ხანია ვიცნობ.

სანამ გაპარლამენტარდებოდა, ერთი კეთილი, ყველასთვის საყვარელი, უშუალო და გულღია ბიჭი იყო.

ყოფილი სპორტსმენია ეს ყმაწვილი, რომ მოინდომოს, ერთ ხუთ კაცს გალახავს მარტო, თუმცა, როგორც გითხარით, ახლა დაცვით დადის.

ვისგან ან რისგან იცავს ეს დაცვა ამ პარლამენტარს, საინტერესოა.

ერთი რიგითი პარლამენტარია, ზის ჩუმად სხდომებზე და ხმას არ იღებს, თუმცა სანამ პარლამენტში შევიდოდა, ძალიან ეროვნულს აწვებოდა და ოღონდ ამირჩიეთ და ამას ვიზამ და იმას ვიზამო, — იქადნებოდა.

დაუჯერეს, აირჩიეს და ახლა დაცვით გარშემორტყმული დადის — ემანდ, ახლოს არ მივიდეს ვინმე და არ შეაწუხოს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ოთხ მუტრუკსაც ხომ რჩენა უნდა, მანქანასაც ხომ საწვავი ჭირდება, ყველაფერი ეს კი საკმაოდ დიდ ხარჯს მოითხოვს, რომელსაც ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბიდან ვიხდით.

ერთი კაცი ავირჩიეთ ჩვენდა ჭირად და ხუთის რჩენა და შენახვა გვჭირდება.

ეს პარლამენტარი გამონაკლისი ხომ არ არის — მაგისთანა 150 გვყავს კიდევ, იმ ასორმოცდაათსაც თავისი დაცვა ჰყავს, ყველას მანქანა ემსახურება, მანქანებს საწვავის ჩასხმა სჭირდება, იქით სატელეფონო მომსახურების ხარჯები და კიდევ ათასი წვრილმანი და მსხვილმანი ხარჯია.

ცხადია, ყველაფერი ეს ჩვენი გადასახდელია.

**პარლამენტარებს მთავრობაც დაუმატოთ თავის მინისტრებიანად, მინისტრის მოადგილეებიანად,**



**დეპარტამენტების უფროსებიანად, განყოფილებების გამგეებიანად და, რა თქმა უნდა, დაცვის წევრებიანად — უზარმაზარი ხარჯებია, მილიონებია, რასაც, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიხდით.**

ჩვენო, რომ ვამბობთ, ბარემ ისიც გავარკვიოთ, ვინ ვართ ჩვენ, ამ მილიონებს რომ ვიხდით და ამდენ მუქთამჭამელს რომ ვინახავთ?

ვინ ვართ და გაძვალტყავებული, ნახევრად მშიერი მასა, საიდანაც ნახევარი მილიონი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ანუ პროლეტარია, ერთი მილიონი — სიღარიბის ზღვარზეა, ანუ პროლეტაროზის კანდიდატია, 800000-მდე პენსიონერია, დანარჩენები ქვეყნიდან არიან გაქცეულები.

აი, ეს ვართ ჩვენ, თავად მშივრები ხელისუფლებაში მყოფი საპატიო გვამების მაძღრად და ფუფუნებით ცხოვრებას რომ უზრუნველვყოფთ.

წესით და რიგით, ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახურებოდეს, ქართულ სინამდვილეში კი პირიქითაა — ხალხი ემსახურება ხელისუფლებას და უკანასკნელ გროშებს დებს იმისთვის, რომ ხელისუფლებამ იცხოვროს განცხრომით.

**რაღაც ახალი ტიპის ბატონყმობაა — ჩვენ ყმები, ანუ ხალხი იმისთვის ვარსებობთ, იმისთვის ვწვალობთ და ვჯახიროზთ, რომ ბატონებს, ანუ სახელმწიფო მოხელეებს და პოლიტიკურ ელიტას სარჩო-საბადებელი უხვად დავაყაროთ თავზე და საკალანდო ღორებივით დავასუქოთ.**

აი, ეს არის თურმე ერთადერთი ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობა, ჩვენი არსებობის ერთადერთი დანიშნულება.

ბატონყმობაო კი ვთქვით ზემოთ, თუმცა ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ბატონყმობაზე გაცილებით ამორალური და ცინიკურია.

* * *

ბატონყმობის ახალ ქართულ ვარიანტს საფუძველი 2004 წელს „ნაცმოძრაობამ“ ჩაუყარა, როცა სახელისუფლო „ვერხუშკას“ ხელისუფლების საშუალო და ქვედა რგოლს და საერთოდ, საბიუჯეტო ორგანიზაციებს მკვეთრად გაუზარდა ხელფასები და, ამასთან ერთად, საშუალება მისცა, ფაქტობრივად, შეუზღუდავად ესარგებლათ ე.წ. პრემიალური დანამატებით.

არავინ შეუწუხებია სინდისს იმის გამო, რომ ეს ყველაფერი იმ გადამხდელების ხარჯზე უნდა მომხდარიყო, რომელთა უმრავლესობის შემოსავალი 200-300 ლარს არ აღემატებოდა, ეს იმ დროს, როცა ბიუროკრატიული აპარატის, მინისტრების, მათი მოადგილეების და სხვა მაღალჩინოსნების ხელფასები თავისი პრემიალური დანამატებით 15-ჯერ აღემატებოდა მოქალაქეთა საშუალო ხელფასს.



„ნაცმოძრაობამ“ იმაზეც იზრუნა, რომ განსაკუთრებით კმაყოფილი ჰყოლოდა ძალისმიერი სტრუქტურები — პოლიცია, სპეცსამსახურები, კუდი, სოდი და კიდევ უამრავი სხვა სტრუქტურა.

ამგვარი მიდგომის დასტურია თუნდაც ის, რომ რიგითი პოლიციელის ხელფასი თითქმის ორჯერ მეტი იყო პედაგოგის ხელფასზე.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, „ნაცმოძრაობამ“ შექმნა ე.წ. პრივილეგირებულთა „კასტა“, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, უხვად დაფინანსებული კასტა, რომლის წევრებიც უამრავი სიკეთით სარგებლობდნენ.

**„ნაცმოძრაობა“ — ეს იყო სახელმწიფო სახელმწიფოში.**

უფრო ნათლად რომ ვთქვათ, „ნაცმოძრაობამ“ თავისთვის ცალკე სახელმწიფო შექმნა, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სახელმწიფო მაღალი ხელფასებით, ათასგვარი შეღავათებით, კომფორტული ყოფით, მდიდრული სახლებით, ძვირადღირებული მანქანებით, ელიტარული მაღაზიებით და მარკეტებით, ელიტარული რესტორნებით და კლუბებით, საბანკო ქსელით, სასტუმროებით, საუნებით, ბორდელებით, სავაჭრო და ბიზნეს-ცენტრებით. ეს სახელმწიფო და მისი „საზღვრები“ საიმედოდ იყო დაცული პოლიციის კორდონებით, სპეცსამსახურებით, საჯარისო ნაწილების სპეციალური ქვედანაყოფებით, ზონდერბრიგადებით.

**ამ სახელმწიფოს პარალელურად საქართველოში არსებობდა მეორე სახელმწიფოც, სახელმწიფო კი არა გეტო, კონცლაგერი, რეზერვაცია „მეორეხარისხოვანი“ თუ „მესამეხარისხოვანი“ მოქალაქეებისთვის, მშიერი და ღატაკი ქართული პროლეტარიატისთვის, ცრემლით, უილაჯობით, გაჭირვებით, უუფლებობით გატანჯული სახელმწიფო, იმ პირველი სახელმწიფოს პრივილეგირებული**

**კასტის მიერ დაპყრობილი.**

„ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის კერძო საკუთრებაში არსებული მდიდრულად გაწყობილი „სახელმწიფოს“ მთავარი „დონორი“ და „სპონსორი“ ღარიბების ის მეორე სახელმწიფო იყო, რომელსაც ცხრაპირად აძრობილ ტყავს მეათედ აძრობდნენ.

თუ შევარდნაძის დროს ფული გზაში იკარგებოდა და ბიუჯეტის ყულაბამდე ვერ აღწევდა, სააკაშვილის პერიოდში ტაქტიკა შეიცვალა – ფული ბიუჯეტში სრულად კი შედიოდა, მაგრამ ბიუჯეტიდან მისი ხარჯვა, ფაქტობრივად, უკონტროლოდ ხდებოდა.

დადგენილია, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ბოლო წლებში ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 900 მილიონი გაედინებოდა გაურკვეველი მიმართულებით.

აი, ასე მოვედით 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე.

ამ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ დაიწყებოდა რევოლუციური რეფორმების, ძირეული ცვლილებების ჟამი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა.

* * *

– სისტემა უნდა დაინგრეს! – ასეთი იყო „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობით უკმაყოფილო ადამიანების მთავარი მოთხოვნა, თუმცა ახალ ხელისუფლებას სისტემის ძირფესვიანი შეცვლა და მისი დემონტაჟი არც უცდია.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალ ხელისუფლებას შეეშინდა, სისტემის დემონტაჟს სახელმწიფო შენობის სრული ნგრევა არ გამოეწვია.

არსებობს რეალური საფრთხე დროთა განმავლობაში ახალი ხელისუფლებაც ძველს დაემსგავსოს, თუმცა, მოდით, ამ წუთას თავი დავანებოთ ამ თემას და გაგებით მოვეკიდოთ ახალი ხელისუფლების ტაქტიკას და სტრატეგიას იმასთან დაკავშირებით, რომ მკვეთრი რყევები დიდ რისკთან არის დაკავშირებული და, ამდენად, სჯობს სისტემური ცვლილებები თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ევოლუციური გზით განხორციელდეს.

კი, ბატონო, აღვიჭურვოთ მოთმინებით და ვიაროთ ევოლუციური გზით, თუმცა, საკითხავია, რატომ არ გადადგა ახალმა ხელისუფლებამ დღესვე ის ნაბიჯები, რომლებიც არ საჭიროებდა მატერიალურ დანახარჯებს, არ შეიცავდა სერიოზულ რისკებს და რომელთა გადადგმას ერთადერთი რამ პოლიტიკური ნება,სჭირდებოდა?

* * *

– ჩვენ უნდა ავაშენოთ ევროპული ყაიდის სახელმწიფო!

– ჩვენი მთავარი მიზანი ევროპასთან ინტეგრაციაა!

– ჩვენ ევროპული ოჯახის ნაწილი ვართ!

მსგავსი ხასიათის განცხადებები ხშირად ისმოდა წინა ხელისუფლებისგან და ხშირად ისმის ახლისგანაც, თუმცა რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, უფრო არაბული და აზიური სახელმწიფოების რეალობას ჰგავს.

ძნელი სათქმელია, ისეთი რა სენი სჭირთ და რა ემართებათ ამ ქართველებს, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავების შემდეგ უცებ რომ გადასხვაფერდებიან და სულთნებს და შეიხებს რომ ემსგავსებიან?

დიდკაცობის ისეთი რა ჭია გვიზის გულ-გვამში, ერთი მტკაველით რომ ავიწევით და იმწამსვე მედიდურად და ქედმაღლურად რომ გადმოვხედავთ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ ხალხს?



## საქართველო ევროპული კი არა რომელიღაც არაბულ ქვეყანას უფრო ჰგავს, სადაც ადამიანები ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მომენტალურად სულთნები და შეიხები ხდებიან






პროვინციალიზმის, გაუნათლებლობის, შინაგანი სიცარიელის, ხეპრეობის და გონებაჩლუნგობის ბრალია ეს ყველაფერი, თუმცა მიზეზი მხოლოდ ეს არ არის.

სხვას რას უნდა ელოდო იდიოტისგან, რომელსაც საწყალი პენსიონერის პენსიაზე 40-ჯერ (!) მეტ ხელფასს დაუნიშნავ, 80000 დოლარად ღირებულ მანქანაში ჩასვამ, შიგ ბენზინს ჩაუსხამ, დაცვას მიუჩენ და ძალაუფლებით აღჭურვავ?

ამით ხომ მას პირდაპირ უთხრეს, შენ იდიოტი კი არა სინამდვილეში დიდი, განსაკუთრებული ვინმე ხარ და განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებო.

ვითომ ევროპისკენ რომ მივდივართ და ევროპელობას რომ ვჩემულობთ, ერთი ევროპულ ქვეყნებში ნახეთ, როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი და მერე ჩვენსას შეადარეთ.

ევროპელები მაშინ ვიქნებით, ჩვენი მინისტრები ევროპელი მინისტრებივით საქალაქო ტრანსპორტში რომ იკადრებენ ჩაჯდომას.

თუმცა ეს თავისით არასოდეს მოხდება, თუ სახელმწიფომ არ აამუშავა შესაბამისი ბერკეტები და ჩვენგან დაქირავებული მოხელე ჩვენ არ მოგვისვა გვერდით და ჩვენ თუ არ გაგვითანაბრა.

საერთოდ, ვინმემ ის თუ დაიანგარიშა, რაში სჭირდება ამ ერთი ხელისდადება ქვეყანას თავისი 4-მილიონიანი მოსახლეობით ამდენი „მომსახურე პერსონალი“, ამდენი ჭკუის დამრიგებელი და გეზის მიმცემი, ამდენი „კვალიფიციური“ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლებიც ასევე ჩვენი ჯიბიდან ითხოვენ დაფინანსებას?

პრივილეგირებული კასტა ვახსენე ზემოთ.

ეს პრივილეგირებული ჩვენს სისხლს დაწაფებული პარაზიტული კასტა, როგორც ვთქვით, სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ იმისთვის სჭირდებოდა, რომ ბიუჯეტის ხარჯზე, ჩვენს ხარჯზე, საკუთარი ძალაუფლება განემტკიცებინათ.

როგორ დავიდო ცოდვა და როგორ ვთქვა, რომ ახალმა ხელისუფლებამაც იმიტომ არ ახლო ხელი ამ პრივილეგირებულ კასტას, რომ ისიც მასზე დაყრდნობით აპირებს ქვეყნის მართვას?

**ხანხადან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთი ნაწილი იქით, მეორე, „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის მიერ შექმნილ მდიდარ და მაძღარ სახელმწიფოში გადაბარგდა საცხოვრებლად და „ნაციონალებს“ ჩაესიძა თუ „ჩაუზრატ-ჩაუსასტავდა“, ხოლო ღარიბ-ღატაკთა და უპოვართა სახელმწიფოს, რომელმაც ხელისუფლებაში მოიყვანა, ზურგი აქცია და უღალატა.**

„ოცნებელებო“, გახსოვთ, „ნაცების“ სახელმწიფომ თქვენი ძარცვა და დაყაჩაღება რომ დაიწყო, ამ მეორე, ნამდვილი ქართული სახელმწიფოს ღარიბ მოქალაქეებს ბოლო ხუთლარიანი თუ ბოლო ათლარიანი რომ შეჰქონდათ „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად გახსნილ ანგარიშებზე?

თქვენ, აი, ამ მეორე ქართული სახელმწიფოს მოქალაქეებმა აგირჩიეს თავიანთ წინამძღოლად, იმ იმედით, რომ სამართლიანობას აღადგენდით და ჩაგრულებს მჩაგვრელთა უღლიდან გაათავისუფლებდით.

„ნაცების“ პრივილეგირებულ კასტას „მეოცნებეთა“ პრივილეგირებული კასტა დაემატა, ქართულ პროლეტარიატს კი ცხოვრება კიდევ უფრო გაუჭირდა და დაუმძიმდა.

აი, ასეთია სამწუხარო რეალობა, ბიძინა ივანიშვილი კი პოლიტიკიდან მიდის.

**ბატონო ბიძინა, სანამ წახვიდოდეთ, იქნებ ერთი „მინირევოლუცია“ მაინც მოგვეწყოთ, ეს პარაზიტები გაგვეკულაკებინათ და მერე წასულიყავით, თორემ საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში მალე შეიძლება გაისმას „აღსდექ კრულვითა დაღდასმულო, ქვეყანავ, მშიერ მონების“.**

**P.S.** წერილს რომ თვალი გადავავლე, მივხვდი, წერილი 1917 წლის ოქტომბრის პროლეტარულ რევოლუციამდე დაწერილს ჰგავს.

**რა ვქნა, რა ვილონო, ამ „საერთო გაზეთს“ „ისკრა“ ხომ არ დავარქვა, რომ ამ დაყრუებულ ხალხს რაღაც გავაგებინო და შევასმინო.**

## მამუკა არეშიძე:

# ხომ ამბობენ, 27-ში დამთავრდება კოაბიტაციაო, ჰოდა, დამთავრდეს და დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენა

## გადაიცვამს თუ არა ბიძინა ივანიშვილი გლახუნას ტანსაცმელს, რომ ქვეყანა „კონსპირაციულად" შემოიაროს და ბოლოს და ბოლოს გაიგოს, რა ხდება მის „საბრძანებელში"?



*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში* ***მამუკა არეშიძე:***

**— ბატონო მამუკა, ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ერთი წელი გავიდა. რა შესრულდა რეალურად, რა — ვერა და რა გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს?**

— ძალიან რომ მოგენდომებინა, რთული იქნებოდა იმის გაკეთება, რაც ივანიშვილმა და უფრო მეტად „ქართულმა ოცნებამ" რეიტინგის დაცემის კუთხით მოახერხეს. პარადოქსი ისაა, რომ ვერც იმას იტყვი, თითქოს ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია, ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ფუჭად. მაგალითად კეთილშობილური საქმე გაკეთდა, როცა გლეხებს მიწები მოუხნეს, ზოგი მიწა 20-30 წელი მოუხნავი იყო. მაგრამ საქმე სხვა რამეშია — მიწები მოხნეს, ასე ვთქვათ, ყამირი გატეხეს, მაგრამ ამას შემდგომ კულტივაცია სჭირდებოდა, რაც არ გაკეთებულა. ამიტომ ეს თანხა წყალში ჩაიყარა. ჯერ საკითხის შესწავლა, მოკვლევა უნდა მომხდარიყო, რათა გაერკვიათ — კონკრეტულ გლეხს შემდგომში შეეძლო თუ არა მიწისთვის ისე მოევლო, რომ მოსავალი მოეყვანა. საინტერესო ისაა, რომ რიგ რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს გლეხები საძოვრებად იყენებდნენ. მთავრობამ კი მოუხნა, კულტივაცია ვერ მოხერხდა და საძოვარიც განადგურდა. ანუ კარგი საქმის კეთების სურვილი იყო, მაგრამ ვერ განხორციელდა. მაგალითად, ექსპერტებთან შეხვედრისას ივანიშვილმა აღნიშნა, რომ 209 ქარხანა გახსნა. ყველა ქარხანაზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ 46 ქარხნის შემთხვევა ამოვიღეთ, აქედან რვა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში — ქვემო ქართლშია, შევამოწმებინე. ამ რვიდან ოთხი ისედაც მუშაობდა, ორის ადგილზე როგორც ადრე იყო, ისეთივე მინდორი დაგვხვდა, მარტო ორის შემთხვევაში იყო მშენებლობა დაწყებული. ანუ 209 საწარმო უკვე მართალი არ არის, მაგრამ მას ასეთ ინფორმაციას აწვდიან. თამრიკო ჭოხონელიძე მისი ოჯახის წევრია, ბერას ნათლიაა და მან ივანიშვილს ურჩია — გლახუნას ტანსაცმელი ჩაიცვი, ქვეყანა შემოიარე და ნახე, სინამდვილეში რა კეთდებაო. ქარხნების ნაწილი ისევ ჩანასახის მდგომარეობაშია, ნაწილი ისედაც მუშაობდა და უბრალოდ დამატებითი სესხი მიიღეს. ეს სესხიც იცით ვინ მიიღო? — ვისაც ისედაც გამართული წარმოება ჰქონდა, ანუ „ნაციონალებთან" დაახლოებულმა პირებმა.

**— ივანიშვილი შეხვდა როგორც ექსპერტებს, ისე ჟურნალისტებს. რაიმე კონკრეტული შედეგი თუ ჰქონდა ამ შეხვედრებს?**

— შეხვედრიდან მესამე დღეს მივიღე დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რას დაჰპირდა ხელისუფლება მოსახლეობას და რა შეასრულა. ხომ შეიძლებოდა ეს დოკუმენტი აქამდე მიმეღო, მაინცდამაინც ხელჩართული ბრძოლა უნდა გამართულიყო ამის მისაღწევად? ანუ კომუნიკაცია არაა, საზოგადოებამ არ იცის, რა, როგორ კეთდება, არ ხდება ამის შეფასება. შე კაი დედმამიშვილო, გააკეთე ისე, რომ ყველამ ყველაფერი იცოდეს და ხალხი პროცესებში ჩართული იყოს. ასე საზოგადოება უფრო იოლად გამოგყვება. თუ ხალხს პასუხისმგებლობა არ გაუნაწილე, იგი მომხმარებელი ხდება, აქედან გამომდინარე, ჭიჭყინა და პრეტენზიულიც. ამიტომ საზოგადოება ამ პროცესში უნდა ჩართო — როცა პასუხისმგებლობა განაწილებულია, ყველა თვლის, რომ პროცესის მონაწილეა და საქმეც მარტივად კეთდება.

**— წელან ახსენეთ, დოკუმენტი მივიღე, სადაც წერია დანაპირებიდან რა შესრულდა და რა არაო. უფრო კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა წერია ამ დოკუმენტში, რა არ შესრულდა?**

— მთავარი რაცაა — მუხრუჭდება, ანუ არ ხდება სამართლიანობის აღდგენა. ხალხი ამის გამო იყო ქუჩაში გამოსული. მისმა დიდმა ნაწილმა ხმა მისცა არა იმიტომ, რომ მათთვის მიწა მოეხნათ, არამედ სამართლიანობის აღსადგენად. სამართლიანობის აღდგენა ამ მოძრაობის ბაირაღი იყო. შეხვედრაზე ივანიშვილმა გვითხრა, ქონების დაბრუნება ბიუჯეტს ძალიან მძიმე ტვირთად დააწვებაო. ჩვენ გვესმის ეს ყველაფერი, ამიტომ, შევთავაზე, იქნებ უკანონოდ წართმეული მანქანები მაინც დავაბრუნოთ-მეთქი. ეს მანქანები ეკონომიკის სამინისტროში მიჰყავდათ და ხალხს აიძულებდნენ გადაეფორმებინათ, თუ არადა დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. ჩემი მეგობარი ისრაელის ელჩის თანაშემწეა და ამ მხრივ ისრაელის საელჩომაც კი ვერ უშველა. მის მეუღლეს შარი მოსდეს, მანქანა უკანონოდ ჩამოართვეს და ეკონომიკის სამინისტროზე გადააფორმებინეს. დავაბრუნოთ ეს მანქანები, აქ ხომ ბიუჯეტი არაფერ შუაშია? ივანიშვილმა თქვა, მაინც გაიწელება ეს პროცესი, რთული გასკეთებელიაო. ჯოზეფ ქეისთვის ამხელა მეტალურგიული გიგანტის, ქარხნის დაბრუნება ხომ მოხერხდა? არ მჯერა, რომ ივანიშვილი ამ ყველაფერს იგებს და შესაბამისად არ რეაგირებს. დარწმუნებული ვარ, მას არასწორ ინფორმაციას აწვდიან, მივიდეს და ადგილზე ნახოს როგორი საწარმოა გახსნილი გარდაბნის რაიონის ზოგიერთ სოფელში. სამართლიანობის აღდგენის პროცესის დამუხრუჭებამ გამოიწვია ის განწყობები, რაც საზოგადოებაშია. ამიტომაც დაეცა „ქართული ოცნების" რეიტინგი.

**— სააკაშვილი როცა ხელისუფლებაში მოდიოდა, მან თქვა — ვაპირებ ქართველ ხალხს მენტალიტეტი გამოვუცვალოო და მთელი 9 წლის მანძილზე ასეც იქცეოდა. ივანიშვილიც ხომ არ აპირებს ჩვენს ხელახლა აღზრდას?**

— ამას ყველა ხელისუფალი ცდილობს. ეს ყოველთვის ასე იქნება, აშშ-იც ასეა. რატომ აწყობს ობამა ბრიფინგს? — იმიტომ, რომ საზოგადოებას თავისი ინფორმაცია მიაწოდოს და ამის მიხედვით შექმნას საზოგადოებრივი აზრი. ეს ზუსტად საზოგადოების აღზრდის მცდელობაა. ივანიშვილის შემთხვევაში ეს საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელი იყო. სხვათა შორის, ხელისუფლების ხელშია, რას ჩამოაყალიბებს ხალხისგან — ბრბოს თუ საზოგადოებას. მიშა მაქსიმალურად ცდილობდა ბრბო ჰყოლოდა. ივანიშვილს რა ამოცანა აქვს, ჯერჯერობით, არ ჩანს. ზოგ შემთხვევაში იცით რა გამოდის? ივანიშვილი, როგორც — გენერალი ოფიცრებს, ისე გვიბარებს. ესა და ეს დავალება რატომ ვერ შეასრულეთო. ეს ფორმა არ ვარგა, ჯარში ხომ არ ვართ?

**— ბატონო მამუკა, თქვენ ახსენეთ, რომ მოვა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ყველაფერს „წალეკავს". რას გულისხმობთ, რა ძალაა და რაზე დაყრდნობით ფიქრობთ ასე?**

— კი არ წალეკავს, არამედ მე შემდეგს ვამბობ: დღეს ასეთი სიტუაციაა — გვაქვს მმართველი კოალიცია და ოპოზიციად დანიშნული „ნაცმოძრაობა". არჩევნების მეორე დღეს რეალური ოპოზიცია იყო, დღეს დანიშნული ოპოზიცია გვყავს იმიტომ, რომ თავად ხელისუფლება უწყობს ხელს ოპოზიცია ამ ფორმით შენარჩუნდეს. რაც შეეხება მმართველ ძალას, მათში გარკვეული კონკურენციაა. არჩევნების მერე ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, მაგრამ ეს მხოლოდ პრემიერობიდან წასვლას ხომ არ ნიშნავს, არამედ პარტიის თავმჯდომარის პოსტის დატოვებასაც. წარმოიდგინეთ, როგორი იქნება თავმჯდომარის გარეშე დარჩენილი „ქართული ოცნება", რამდენ ჯგუფად დაიყოფა და რა ამბები ატყდება. ეს ხომ კონგლომერატია და არა მკაცრად ვერტიკალის მიხედვით განსაზღვრული პოლიტიკური ძალა? ამაზე კამათს „ქართული ოცნებიდან" ვერავინ დამიწყებს იმიტომ, რომ კარგად ვიცი, იქ რაც



ხდება. აქედან გამომდინარე, ვიღებთ შემდეგ სურათს — დანიშნულ ოპოზიციას და მძაფრი კონკურენციის პირობებში მყოფ კოალიციას — უხელმძღვანელო გამარჯვებულ პარტიას. ამ დროს კი მალევე მოდის ადგილობრივი არჩევნები, უფრო სერიოზული, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებია. რეალური, ძლიერი ოპოზიციის ნიშა ცარიელია. დარწმუნებული ვარ, ეს ნიშა ცარიელი არ დარჩება. ამას აუცილებლად შეავსებს გარკვეული პოლიტიკური ძალა. იმიტომ, რომ ხალხში უკმაყოფილება საკმაოდ მაღალია, მათ უამრავი კითხვა აქვთ, რომელზეც პასუხი არ არსებობს. რა ტიპის ძალა შეიძლება იყოს ეს? — ხალხს დღეს ყველაზე მეტად აწუხებს ტრადიციული ურთიერთობების რღვევა, ეროვნულობა, სოციალური საკითხები და სამართლიანობა, ანუ ეს ახალი პოლიტიკური ძალა ეროვნულობაზე და მემარცხენეობაზე ორიენტირებული უნდა იყოს. ვვარაუდობ, რომ ეს ძალა უახლოეს მომავალში აუცილებლად გაჩნდება. მით უმეტეს, რომ საზოგადოებაში პოლიტიზირების მუხტი ძალიან მაღალია.

**— ამ ძალის გაჩენის რა პერსპექტივა არსებობს, მაშინ, როცა NDI-ს უკვე მეორე კვლევით პირველ ადგილზე მარგველაშვილია, თანაც პროცენტულმა მაჩვენებელმაც იმატა, ხოლო მეორეზე — ბაქრაძე? აქვე გკითხავთ, როგორ ფიქრობთ, ამ კვლევის დანიშნულება ის ხომ არაა, რომ გარკვეულწილად საზოგადოება ამ შედეგს შეაგუონ?**

— მართალი ხარ, ძირითადი ამოცანაა, შეგვაგუონ ამ შედეგს, მაგრამ ეს ნომერი არ გამოუვათ. არჩევნების გაყალბება აბსოლუტურად წარმოუდგენელია. რეალური სურათის მიხედვით კი კონკურენტები მარგველაშვილი და ბურჯანაძე არიან. ამიტომ, თუ სურვილი აქვთ ბაქრაძე მეორე ადგილზე გაიყვანონ, ამის დამტკიცება ხმების დათვლის შემდეგ ძალიან გაუჭირდებათ. ამიტომ ამ შედეგს გვაგუებენ.

არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებას გარკვეული ვალდებულება აქვს აღებული, რათა ეს სურათი დაიდოს. განსაკუთრებით, დასავლელი პარტნიორების წინაშე, რომლებიც „ნაცმოძრაობას" ლობირებენ. თუმცა არჩევნების მერე, ამ ხელისუფლებას შეუძლია მათ უთხრას — ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ ხალხს არ უნდა და ხომ არ გავაყალბებდით არჩევნებსო? დასავლეთი ხომ არ იტყვის, უნდა გაგეყალბებინათო?

**— ზოგადად, რა ხდება ქართულ პოლიტიკაში — საარჩევნო კამპანია დუნედ მიდის, ყველა ისე ელოდება 27 ოქტომბერს, თითქოს უკვე ყველაფერი გარკვეულია.**

— შეიძლება ასეც ითქვას, პრინციპში, ხალხს საპრეზიდენტო არჩევნები არ აინტერესებს, რადგან იციან, პრეზიდენტის პოსტი შეზღუდუ-

9 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რატომ აფარებს ხელს ახალი ხელისუფლება ყაჩაღების ბანდას, რომელმაც „კავკაზუს ონლაინის“ მფლობელს მამია სანადირაძეს 80%-იანი წილი „აახია“ და კომპანიას თვითონ დაეპატრონა?

*ვაგრძელებთ სააკაშვილის რეჟიმის მიერ დატერორებულ ბიზნესმენთა თემას, რომლებსაც ბიზნესის წართმევა არ აკმარეს და ციხეშიც გამოამწყვდიეს. დღევანდელი ნომრის სტუმარი, კომპანია „კავკაზუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი, ორგანიზაცია „დააბრუნეს“ თავმჯდომარე მამია სანადირაძე საზღვარგარეთ რომ არ გადახვეწილიყო, გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა. რა პრობლემები შეუქმნეს და როგორ „აახიეს“ 80%-იანი ბიზნესწილი ხსენებულ კომპანიაში სააკაშვილის კარის ბიზნესმენებმა, იგი თავად გვიამბობს.*

*ინტერნეტპროვაიდერი კომპანია „კავკაზუს ონლაინი“ „კავკაზუს ნეტვორკის“, „ჯორჯიან ონლაინის“ და „სანეტის“ გაერთიანებით 2005 წელს შეიქმნა. იმავე წელს მოხდა სახელმწიფო სატელეკომუნიკაციო ოპერატორ „ელექტროკავშირის“ პრივატიზაციაც, რომელიც მაშინ მონოპოლისტი იყო. „ელექტროკავშირის“ მფლობელი ყაზახური კომპანია გახდა, რომლის პარტნიორიც გახლდათ გიორგი რამიშვილი, იგივე „ზარალა“. სწორედ ამ პრივატიზაციის შემდეგ დაეწყო „კავკაზუს ონლაინს“ პრობლემები.*



**მამია სანადირაძე:** „აშკარა იყო, რომ ამ ახალი მფლობელებისგან არაკეთილსინდისიერი კონკურენცია მოგველოდა, რადგან მაშინდელი ინტერნეტპროვაიდერები ძალიან ვიყავით დამოკიდებული ამ მონოპოლისტ კომპანიაზე, მისგან ვქირაობდით მიწისქვეშა კანალიზაციას, რომ იქ გაგვეტარებინა ჩვენი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები და ა.შ. ჩვენი ურთიერთობა კანონმდებლობით რეგულირდებოდა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისია, რომელიც არეგულირებდა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს შორის ურთიერთობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტელეკომუნიკაცია არ განვითარდებოდა საქართველოში. ეს კომისია ავალდებულებდა „ელექტროკავშირს“, რომ ალტერნატიული სატელეკომუნიკაციო კომპანიებისთვის მიეწოდებინა შემდეგი მომსახურეობა, სარგებლობა მიწისქვეშა კანალიზაციით, ავტომატური სადგურების შენობებით, სპილენძის სატელეფონო კაბელის წყვილებით, რომელიც საბოლოო მომხმარებელთან, აბონენტთან მიდიოდა. ავტომატურ სატელეფონო სადგურში ყველა ოპერატორისთვის გამოყოფილი იყო ერთი ოთახი, სადაც განთავსებული გვქონდა ჩვენი ინტერნეტ აპარატურა და ა.შ. სანამ „ზარალა“ და მისი პარტნიორები შეიძენდნენ ხსენებულ კომპანიას, ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვქონია, ვიხდიდით მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ მომსახურეობის საფასურს და გამართულად ვმუშაობდით. ამ კომპანიის გასხვისების შემდეგ, ყველასთვის ცალსახად ნათელი გახდა რომ წარსულში მხედრიონელი „ზარალა“ დადგენილი წესებით არ ითამაშებდა. ამიტომ ყველა ჩემმა კონკურენტმა ინტერნეტპროვაიდერმა გაყიდა თავისი კომპანიები, წვრილი კომპანიები მე შევიძინე და მე, მარტო მომიწია ხსენებულ გავლენიან დაჯგუფებასთან დაპირისპირება“.

**— რაში გამოიხატებოდა დაპირისპირება და თქვენი პრობლემები?**

— „ელექტროკავშირმა“ უარი განმიცხადა, რომ მქონოდა წვდომა მიწისქვეშა საკანალიზაციო ჭებთან, რომ გამეყვანა კაბელები, მივერთებულიყავით სპილენძის მავთულებზე და პირდაპირ ჩავრთულიყავით აბონენტებთან, ასევე უარი გვითხრეს 18 საათის შემდეგ საოპერატორო ოთახებით სარგებლობაზეც, არადა ჩვენ 24-საათიანი ინტერნეტმომსახურება გვქონდა და მარეგულირებელი კომპანიაც ავალდებულებდა „ელექტროკავშირს“, რომ ჩვენთვის 24-საათიანი მომსახურეობა გაეწია. ხსენებულმა მონოპოლისტმა, მარეგულირებელ კომისიაზე ზეწოლით გაგვიოთხმაგა გადასახადები, 18 საათის მერე გვითიშავდნენ აპარატურას და კაბელებს და შესაბამისად მომხმარებელს ინტერნეტი ეთიშებოდა, ჩართვის საშუალებას კი არ გვაძლევდნენ.

**ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ჩვენი კომპანია გაენადგურებინათ და თავიანთ კუთვნილ კომპანიას, რომელსაც თავიდან ინტერნეტ მომსახურება არ ჰქონდა, მიეწოდებინა ეს მომსახურება მომხმარებლისთვის. ვერც აწვდიდნენ, რადგან არ იცოდნენ ეს როგორ გაეკეთებინათ და რომ იტყვიან, აგონიაში იყო დედაქალაქის მთელი ინტერნეტსივრცე. ამ ყველაფერს „ზარალა“ და კომპანია“ ახერხებდა სახელმწიფო ინსტიტუტების დახმარებით,**

ჩინოვნიკების მოსყიდვით და ა.შ. მაშინ მარეგულირებელ კომისიას გიორგი არველაძე (ოღონდ არა ტახირიჩი — მ.ს.) ხელმძღვანელობდა. „ზარალა“ მოგეხსენებათ, მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილთანაც ძალზე დაახლოებული გახლდათ და სახელმწიფო ინსტიტუტები ყველანირად ხელს უწყობდნენ, რომ ჩვენი კომპანია ჩაეძირა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულება არ მომწონდა, იმისათვის, რომ, როგორმე თავი დამეცვა და გამეხმაურებინა, რა ზეწოლასაც განვიცდიდით, შევქმენით ინტერნეტ გაზეთი „პრესა გე“. საერთოდ, ინტერ მედიის განვითარება დავიწყე, რადგან სხვა მედია საშუალებები ფაქტობრივად დახშული, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი იყო. გავაკეთეთ ინტერნეტ ტელევიზია „აიტივი“ (2007-2008 წლები) და ვცდილობდით მკითხველისა და მაყურებლისთვის ობიექტური ინფორმაციები მიგვეწოდებინა. ამ ყველაფერმა კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენს შორის დაპირისპირება, რომელმაც კულმინაციას 2008 წლის ბოლოს მიაღწია. რუსეთთან ომში დამარცხებულმა სააკაშვილის მთავრობამ შური ჩვენზე იძია, დაიწყეს ჩვენი კაბელების გადაჭრა, „ელექტროკავშირი“ აღარც ახალ აბონენტებს გვართვევინებდ, ამიტომ გადავწყვიტეთ, გვერდი აგვევლო მათი კომუნიკაციებისთვის და პირდაპირ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით მიგვეწოდებინა მოსახლეობისთვის ინტერნეტი.

მაშინ საქართველოს ინტერნეტ სივრცე ორ გიგანტ მონოპოლისტს, რუსეთსა და თურქეთს, ანუ რუსტელეკომსა და თურქტელეკომს შორის იყო მოქცეული, მათ ჰქონდათ დაფიქსირებული ფასი, საქართველოსთვის რამდენად უნდა მოეწოდებინათ ინტერნეტი, რაც ასჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე ევროპაში. ამიტომ, შევიმუშავე პროექტი და შავი ზღვის გავლით, გავიყვანეთ 1300-კილომეტრიანი კაბელი, რომლის მეშვეობითაც, ბულგარეთში პირდაპირ მივუერთდით ევროპის სატელეკომუნიკაციო ქსელს, რამაც ცხადია, ჩვენი ინტერნეტმომსახურების ხარისხი გააუმჯობესა. ნაციონალების მთავრობა და „ელექტროკავშირის“ ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ჩვენი გაჩერება შეუძლებელი იყო, ასე ვერ დაგვამარცხებდნენ და 2009 წელს ახალი ოპერაცია დაგეგმეს, რომელშიც ჩართული იყვნენ შსს, მერიის საზედამხედველო სამსახური, საგადასახადო ინსპექცია, მარეგულირებელი კომისია. მათ ერთობლივი შეტევა დაიწყეს ჩვენი კომპანიის წინააღმდეგ, გაურკვეველი კრიმინალები ჭრიდნენ ჩვენს კაბელებს ქუჩაში, გაწამებული მოსახლეობა ჩვენთან ერთად დასდევდა და იჭერდა ამ ბოროტმოქმედებს, მათ პატრულებს ვაბარებდით, მაგრამ მაშინვე ათავისუფლებდნენ. მიუხედავად ჩვენი არაერთი მოთხოვნისა, სს-ის საქმეების აღძვრას თავს არიდებდნენ, რომელი საქმეც აღიძრა, არც მას მისცემია მსვლელობა. ერთი შემთხვევა ტელეკამერითაც გვაქვს გადაღებული, თუ როგორ დავაკავეთ ეს „გადამჭრელი“ და გადავეცით პატრულებს, რომლებმაც მას ხელბორკილი დაადეს. დაკავებულმა მაშინვე ვიღაცას დაურეკა, დაალაპარაკა პატრული ამ პიროვნებას, რომელმაც მათ მითითება მისცა, წაიყვანეთ ეს კაცი და გაუშვითო. ცხადი იყო, რომ ამ ყველაფერში შსს და პირადად ვანო მერაბიშვილი იყო ჩარეული.

**ხმები მოგვდიოდა, როგორ იხილებოდა საკითხი შსს-ში თათბირზე, „კავკაზუს ონლაინის“ დანგრევის შემთხვევაში როგორ უნდა ემოქმედათ, როგორ გადაეყვანათ ჩვენი აბონენტები „ელექტროკავშირში“. როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს განხილვები და დაგეგმვები უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მეთვალყურეობით ხდებოდა, რადგან პირადად მას აღიზიანებდა ჩვენი დამოუკიდებელი მედია.**

მერაბიშვილმა ისიც კარგად დაინახა, თუ რამხელა ძალა აქვს ინტერნეტს ინფორმაციის მოპოვების კუთხით. სწორედ, ამიტომ გამოგვიგზავნეს მიყურადებისა და თვალთვალის სამსახურის უფროსი ბორია მიტიჩაშვილი, რომელმაც მოგვთხოვა, რომ ჩვენი აბონენტების სახლებში ხარვეზების გასასწორებლად ჩვენი ტექნიკოსების მაგივრად, გადაცმულ პოლიციელებს ევლოთ, რათა იქ ვიდეოკამერები და მოსასმენი აპარატურა დაეყენებინათ. რა თქმა უნდა, ამ „შეთავაზებას“ არ დავთანხმდი, ეს კრიმინალია, მაშინ მოსმენა-თვალთვალზე სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილება მომეცით-თქო. კრიმინალს ვერ ჩავიდენდი, რადგან ეს სამომავლოდ შსს-ს მონობას ნიშნავდა. არავითარი გადაწყვეტილება, ამას ყველა სატელეკომუნიკაციო ოპერატორი დოკუმენტის გარეშეც აკეთებს, შენ რა „წითელი კვერცხი“ ხარო. ჩვენ შორის ურთიერთობა ამის შემდეგ უფრო დაიძაბა.



ტრამპი და ზარალა

**— რას გულისხმობთ?**

— 2009 წლის შემოდგომაზე შსს-თან კოორდინირებულად საგადასახადო ინსპექცია შემოვიდა ჩვენს კომპანიაში ბოლო ხუთი წლის ფინანსური საქმიანობის შესამოწმებლად, ამასთან ერთად ყველა სახელმწიფო უწყება გაითიშა ჩვენი ქსელიდან, მერე მერიამ დაგვაჯარიმა იმ მოტივით, რომ თითქოს ჩვენი კაბელები სათანადოდ არ იყო გაკიდებული, არადა ათი სატელეკომუნიკაციო კომპანიის კაბელები მაინც იყო ანალოგიურად გაკიდებული, თუმცა მათთვის არაფერი უთქვამთ. ამის პარალელურად მარეგულირებელმა კომისიამ დაგვაჯარიმა 270.000 ლარით, ოფისი რომ შეიცვალეთ, მისამართი დროზე რატომ არ გვაცნობეთო და ასეთ წვრილმანებზე. აშკარა იყო, მიზეზს ეძებდნენ. სამჯერ დაგვაჯარიმეს, საერთო ჯამში 660.000 ლარით, რის შემდეგაც მივიღეთ გაფრთხილება, თუ ერთხელ კიდევ დაგვაჯარიმდით, ინტერნეტპროვაიდერის ლიცენზიას ჩამოგართმევთო. ფინანსურმა პოლიციამ დარღვევა რომ ვერ მოგვინახა, პირიქით, ბიუჯეტში ზედმეტი გვქონდა გადახდილი, ბრალი ინტერნეტმომსახურების იაფად გაყიდვაში დაგვდო, ძვირად რომ გაგეყიდათ, ბიუჯეტი 11 მილიონით მეტ დღგ-ის თანხას მიიღებდაო და ამ ოდენობის თანხის გადახდა დაგვევალა. მე იაფად როგორ ვყიდდი, როცა მაშინ ბაზარზე ხსენებული მომსახურება 15 ლარი ღირდა, ამ ფასშივე ყიდდა „ელექტროკავშირი“ და მე რომ ძვირი მომეთხოვა, ცხადია, აბონენტებს დავკარგავდი. ამ არგუმენტის პასუხად ცინიკურად გამიცინეს და მითხრეს, შენ ეს 11 მილიონი გადაგვიხადე და მერე სადაც გინდა, იქ გვედავე, თუ ამ თანხას 45 დღეში არ გადაიხდი, ციხეში წახვალ, როგორც კომპანიის დირექტორი და მერე იქ ამტკიცე, იაფად რომ არ ყიდდიო. ამხელა თანხა კომპანიას არ ჰქონდა, არც ბანკები მასესხებდნენ, ასე რომ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი, მითუმეტეს, რომ, როგორც გითხარით, მარეგულირებელი კომისიაც მემუქრებოდა ლიცენზიის ჩამორთმევით, მოკლედ, ჩიხში შემიყვანეს. ზუსტად ამის შემდგომ „მესტუმრნენ“ მიხეილ სააკაშვილის ბიზნეს ჯგუფ „ჯი.ემ.სის“ წარმომადგენლები. ეს ჯგუფი მართავს სააკაშვილის ბიზნესებს (მას 700-მდე ბიზნესი ჰქონდა, ხალხისთვის წართმეულ ბიზნესებს სააკაშვილი ითვისებდა და სამართავად ამათ გადასცემდა) და შემომთავაზეს, ყველა პრობლემა მოგეხსნება, თუ თქვენი კომპანიის 50%-იან წილს შეღავათიან ფასში გადმოგვიფორმებთო. თავიდან ხვიჩა მაქაცარია, ლევან ხუნდაძე და ერთი სხვა პირი მოვიდნენ, შემდგომში კი ლევან ყარამანიშვილი გამოჩნდა, რომელიც დღეს „რუსთავი-2“-ის მფლობელია. მოკლედ, ერთი ბანდაა. სხვა გამოსავალი არ მქონდა და დავთანხმდი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში აღმოვჩნდებოდი, თუმცა არც ციხეში წასვლა იყო გამოსავალი, შეიძლებოდა ლიცენზიაც წაერთმიათ. „შუამავლები“ 18 მილიონი დოლარის გადახდას დამპირდნენ, 3 მილიონი ბეს სახით გადამიხადეს, დანარჩენ თანხას, სამი წლის განმავლობაში გადაგიხდითო. ეს წილი რომ გადავუფორმე (სულ 80%-იან წილს ვფლობდი), ამის შემდეგ წამართვეს ინტერნეტ გაზეთი და ტელევიზია, რადგან უკვე მათ აიღეს ხელში კომპანიის მართვა, ჩემს გარეშე განკარგავდნენ კომპანიის კუთვნილ თანხებს, სადაც უნდოდათ იქ რიცხავდნენ. სხვათა შორის, ეს ყვითელი „მარშრუტკებიც“ ჩვენი კომპანიის ფინანსებითაა შეძენილი და შემოყვანილი. ყველაფერი ამით არ დამთავრებულა,

**ხსენებული წილი რომ გადამაფორმებინეს, მერე მითხრეს, ძალიან ბევრი მოგვთხოვე, გამოგვეცი**

9 gv.



# აგენტს რომ გიწოდებენ და ხმას არ ამოიღებ, ე.ი. აგენტი ხარ!

## „ქართული ოცნების" თითქმის 70% „ნაცმოძრაობის" აქტივისტებითაა დაკომპლექტებული

*გვესაუბრება მოძრაობა „ეროვნულების" ერთ-ერთი ლიდერი*
***სანდრო ბრეგაძე***

**— ბატონო სანდრო, დღეს ძალიან აქტუალურია ჩანერგილების საკითხი „ქართულ ოცნებაში". საინფორმაციო საშუალებებით უკვე დასახელდა კონკრეტული პირების სახელები და გვარები, რომლებიც თურმე „ქართულ ოცნებაში" ყოფილან ჩანერგილი ნაციონალების მიერ. ეს ადამიანები კვლავ რჩებიან მმართველი ძალის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ხელისუფლება აგენტების გარემოცვამ და როგორ უნდა მოხდეს მათი გაუვნებელყოფა?**

— სიმართლე გითხრათ, მე გაოცებული ვარ არა ხელისუფლების, არამედ იმ ადამიანების მოქმედებით, რომელთა შესახებაც გამოქვეყნდა დოკუმენტები. იმიტომ, რომ, როდესაც ასეთ რამეს, ვთქვათ, გაბრალებენ, მაშინ შენ, რა თქმა უნდა, ადეკვატური პასუხი უნდა გასცე და ყველანაირად უნდა დაიცვა შენი ღირსება. არანაირი ნაბიჯი, რომ გაებათილებინათ ეს ეჭვები, მე არ მინახავს. პირიქით, სახეზეა სირაქლემას პოზიცია, რომელმაც, არ შეიძლება რაიმე კარგი მოუტანოს ამ ადამიანებს. მე შემიძლია გითხრათ, რომ „ქართული ოცნება" დაკომპლექტებული არის დაახლოებით 70% „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებით და ყოფილი აქტივისტებით.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ „ნაციონალების", „ქართული ოცნების" რიგებში ჩანერგვაში საკმაოდ დიდ მონაწილეობას იღებდა გია ხუხაშვილი, ადამიანი, რომელმაც რაც დასანგრევი იყო, დაანგრია.

**— თქვენი აზრით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდება თუ არა ახალი ხელისუფლების ე.წ. „წმენდა" და გაირჩევა თუ არა, ასე ვთქვათ, მავნე და სასარგებლო ძალები ერთმანეთისგან, მით უმეტეს, პრეზიდენტობის კანდიდატები და მათ შორის თვით გიორგი მარგველაშვილიც კი კოჰაბიტაციის დასრულებას ჰპირდება ხალხს.**

— მე ვფიქრობ, თუკი ბიძინა ივანიშვილი წავა პოლიტიკიდან, არანაირი წმენდა არ მოხდება და ის ადამიანები ჩაინერგენ, რომლებიც მოვიდნენ. არ ვიცი, საიდან მოვიდნენ, მაგრამ დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, არიან თანამდებობის პირები, რომლებიც არ ასრულებენ და ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, აქვთ საშინელი ბიოგრაფია, წარსულიც, აწმყოც და მომავალი ხედვებიც. რა თქმა უნდა, ისინი ისევ დარჩებიან ხელისუფლებაში და მე ვამბობ, რომ ბიძინა ივანიშვილი რომც რჩებოდეს ხელისუფლებაში მე არა მაქვს არანაირი იმედი, რომ რაიმე შეიცვლება ამ კუთხით. აქედან გამომდინარე, არა მაქვს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ვივარაუდო, ვინმე მოახდენს ამ ცვლილებას დღეს. საგანელიძე და გია ხუხაშვილი, ადამიანი, რომელსაც ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული პიროვნება არის თავისი არსით, თავისი ქმედებით, თავისი წარსულით, თავისი აწმყოთი და მომავლით. ასეთი ტიპის ავაზაკები, რა თქმა უნდა, ვერ მოახდენენ იმ განწმენდის პროცესს, რომელზეც თქვენ საუბრობთ.

**— რამდენიმე დღის წინ მამუკა არეშიძემ განაცხადა, რომ სულ მალე ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდება. თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა ახალი ძალის გამოჩენა და რა ძალაზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი?**

— ასეთი პოლიტიკური ძალის გამოჩენა, რა თქმა უნდა, აუცილებელია და არის გარდაუვალი. იმიტომ, რომ ნამდვილად ეროვნულად მოაზროვნე, ეროვნული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალა შეძლებს ქვეყანაში ეროვნული ინტერესების დაცვას. და მე გარწმუნებთ, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლისთანავე აქტუალური გახდება ეროვნული ინტერესების დაცვა, ვიდრე დღეს ეს არის და ამის თქმის საფუძველს მაძლევს ბევრი ის ფაქტორი, რომელიც ქვეყანაში განვითარებულია და ჩამოყალიბებულია. ამიტომ ასეთი პოლიტიკური ძალები აუცილებლად გამოჩნდება და აუცილებლად იქნება ქართულ პოლიტიკურ სპექტრის ავანგარდში და ის დაიკავებს ღირსეულ ადგილს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ამის გარანტიის მიცემა მე შემიძლია.

**— შეძლებს თუ არა რესპუბლიკური პარტია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი ადგილის დამოუკიდებლად დაკავებას?**

— კი შეძლებს, რა თქმა უნდა, ეს 1%-იანი რეიტინგის მქონე პოლიტიკური ძალა იქნება თუ 5%-იანი რეიტინგის მქონე პოლიტიკური ძალა, ეს რესპუბლიკელებზეა დამოკიდებული, მაგრამ რესპუბლიკური პარტია ვერასოდეს 5%-იან რეიტინგს ვერ ასცდება და ეს ბუნებრივიც არის. კარგიც არის იმიტომ, რომ არ შეიძლება ქვეყანაში სერიოზულ რეიტინგს ფლობდეს ორგანიზაცია, რომელიც თავისი არსით ეწინააღმდეგება ყოველივე ეროვნულს, ტრადიციულს, ღირებულს, ქრისტიანულს და მართლმადიდებლურს. რა თქმა უნდა, მათ ეყოლებათ თავიანთი ამომრჩევლები, თუმცა არის ერთი საშიშროება: მე მაინც ვფიქრობ რესპუბლიკელების, „ნაციონალური მოძრაობის", თავისუფლების ინსტიტუტის, კერძოდ, გიგა ბოკერიას ჯგუფის ადრე თუ გვიან გაერთიანება, ეს, უბრალოდ,



დროის ამბავია და ეს ამბავი მოხდება იმიტომ, რომ „ნაციონალების" და, თავისუფლების ინსტიტუტის ნათესაობა, სულიერი, იდეოლოგიური ნათესაობა ყველასთვის ცნობილია და მათი გაერთიანებაც არ იქნება რაღაც მოულოდნელი პირადად ჩემთვის.

**— თქვენ „ეროვნულების" ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრებით. „ნაციონალურმა მოძრაობამ" ბოლო ხანებში სახელი შეიცვალა და დაირქვა „ახერმოძი",ეროგორ ფიქრობთ, ეროვნული ძალები არის თუ არა წარმოდგენილი ახალი ხელისუფლების სტრუქტურებში და სად არიან საერთოდ ეროვნული ძალები?**

— ეროვნული ძალები არ არიან წარმოდგენილი. მე ვფიქრობ, მათი უმრავლესობა ეროვნული აღარ არის და არც ყოფილა არასოდეს, იმიტომ, რომ ეს ფარისევლობა იყო. ერთ მაგალითს გეტყვით: იმდენად დაღონებული, შეშინებული კურდღლების ჯოგი მივიღეთ, ვერც ერთმა მათგანმა შეპასუხებაც კი ვერ გაბედა ივანიშვილისთვის, როდესაც მან განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი ერთნაირი ტიპის ლიდერები არიან და ერთნაირად მიუძღვით წვლილი ქვეყნის ნგრევაში. ეს რომ მცდარი შეხედულებაა, მგონი, ამაზე კამათი არ ღირს და ბიძინა ივანიშვილი რომ მწარედ ცდება, ესეც გასაგებია. თანამდებობის, კარიერის წყურვილმა ამ ადამიანებს დააკარგვინა ის გრძნობა, რომელსაც ეროვნული გრძნობა ჰქვია. ამიტომ ეროვნული ძალები 0%-ით არიან წარმოდგენილი ხელისუფლებაში.

**— თქვენი პროგნოზით მომავალი პრემიერ-მინისტრი რომელი სტრუქტურიდან იქნება არჩეული — პარლამენტიდან, მთავრობიდან თუ ივანიშვილის საახლობლო წრიდან?**

— მე ვფიქრობ, რომ მომავალი პრემიერ-მინისტრი იქნება უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეული პიროვნება, რომელიც იქნება პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული მემკვიდრე. ამიტომ რომელი სტრუქტურიდან იქნება, მარჩიელობას არ დავიწყებ და ეს რომ ასე იქნება, დარწმუნებული ვარ.

**ნაია მალანია**
**551 53 46 52**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## დემურ გიორხელიძე: საქართველოში მეზობელი ქვეყნებიდან განუკითხავად შემოდის სრული ნაგავი




„საქართველო ეს არის სანაგვე, სადაც განუკითხავად შემოდის მეზობელი და შორეული ქვეყნებდიან სრული ნაგავი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ დაუშვებდა. ასევე უხარისხოა ადგილობრივი პროდუქცია, რადგან კონტროლს არ ექვემდებრება,"- ასე უპასუხა "მედიანიუსს" ეკონომიკის ექსპერტმა დემურ გიორხელიძემ სურსათის ხარისხთან დაკავშირებულ კითხვას.

მისი შეფასებით, სურსათის უვნებლობის სამსახურის მუშაობა ფორმალურია, მაშინ როდესაც მათ პურ-ფუნთუშეულის შემოწმება აკრძალული აქვთ.

"ესე იგი ვილაცის ინტერესი ჩნდება. პურ-ფუნთუშეულს არ ამოწმებენ. რაც თბილისში პური იყიდება, ნორმალურმა ადამიანმა არ უნდა იკვებოს იმიტომ, რომ ეს საშინელი ხარისხის პურია და ამას ყურადღება ჭირდება. არაფერს ვამბობ იმპორტულ საქონელზე, იქ სრული განუკითხაობაა. ისევ იმპორტიორები უკვეთავენ თამაშის წესებს და მთავრობა ემორჩილება იმპორტიორების ნებას, რადგან ჯერჯერობით საბაჟოზე წესიერი კონტროლი არ არსებობს. სახელმწიფომ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქცია უნდა შემოუშვას,"-აღნიშნა დემურ გიორხელიძემ.

ექსპერტის მონაცემით, არ არსებობს სტატისტიკა, თუ რა ცვლილებებს იწვევს ჯანმრთელობაზე და გენეტიკურად რაში გამოიხატება უხარისხო პროდუქტისგან მოწამვლა.

გიორხელიძის ინფორმაციი, მუშავდება საქართველოს სოციალურ –ეკონომიკური სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება პროდუქტზე კონტროლის ხარისხი, საბაჟოზე ტექნიკური პირობები და სტანდარტები.

სურსათის უვნებლობის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი გიგა ქურდოვანიძის ცნობით, საქართველოს მასშტაბით 50 ათასზე მეტი მარკეტია რეგისტრირებული. მათი შემოწმება ყოველდღიურად შეუძლებელია. რაც შეეხება მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფის მექანიზმს, ქურდოვანიძე ამბობს, რომ მარკეტებში ამოღებული ვადაგასული პროდუქტები სააგენტოს თანამშრომლების მიერ ილუქება, რეალიზატორს კი მისი რეალიზაცია ეკრძალება. ვადაგასული პროდუქტების განადგურება მის მფლობელთან შეთანხმებით ხდება. ამასთან, განადგურების პროცედურა შესაბამის პროცედურებსაც მოითხოვს.

„მედიანიუსი"

6 gv.

ლი ფორმატითაა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი მთავარსარდალიც იქნება, ყველამ იცის, რომ პირველი პირი — პრემიერია და შინაგანად ყველა ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება. აქედან გამომდინარე, დაბალი ინტერესი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზეც იმოქმედებს. არა მგონია, ხალხი 27 ოქტომბერს გაგიჟებული მიაწყდეს საარჩევნო ყუთებს, განსაკუთრებულ აქტივობას არ ველი. აქტივობა 50, მაქსიმუმ 60% იქნება. ანუ საპრეზიდენტო არჩევნებზე დაბალი აქტივობა იქნება, ადგილობრივ არჩევნებზე კი პირიქით — მაღალი.

**— დასაწყისში გკითხეთ, ერთი წლისთავზე რა გაკეთდა-მეთქი, ასევე საინტერესოა, რა გაკეთდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით — საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ვითარება კვლავ გართულებულია. მავთულხლართები ხომ 2009 წლიდან იყო და რატომ გახდა ამაზე საუბარი დღეს აქტუალური?**

— ქართული საზოგადოება ნახევარი ყურით ისმენს კონფლიქტურ რეგიონებში რა ხდება, ამიტომ არ იცის, რომ მავთულხლართები 2009 წლიდანაა გაბმული. მაგალითად, გუგუთიანთკარში გამყოფი ბადე სამი წელია გაჭიმულია. ამირან გუგუთიშვილის ეზო უძლიათ თქვან, რომ საკითხში გარკვევა სჭირდებათ. აი, ამიტომ გააქტიურდა ეს საკითხი ახლა.

**— ეს იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთი სააკაშვილს უჭერს მხარს?**

— რუსეთი უკვე აღარ უჭერს სააკაშვილს მხარს. სააკაშვილი აღარავის სჭირდება — არც დასავლეთს და არც ჩრდილოეთს. მაგრამ მისი გუნდის წევრები სჭირდებათ. რუსეთს თავისი გავლენის აგენტურა ჰყავს საქართველოში, მათ შორის, პოლიტიკურ ორგანიზაციებში, ალბათ, „ნაცმოძრაობაშიც“. დასავლეთისთვის არსებობს გუნდი — „ნაცმოძრაობის“ ნაწილი, რომელიც უნდა შეინარჩუნონ — ეს ბოკერიას გუნდია, რომელიც მათთვის დასავლური ფასეულობების მატარებელია. რუსეთისთვის სულ ერთია, ვინ იქნება — ივანიშვილი თუ სხვა, მთავარია, მიზანს მიაღწიოს. ეს მიზანი 2015 წელს ევრაზიული კავშირის შექმნაა. ახალი ხელისუფლება ამ კავშირზე არ მიდის, აქედან გამომდინარე, ახალი ხელისუფლება მისთვის მიუღებელია.

**— ერთ-ერთი მაღალჩინოსანის ინტერვიუ წავიკითხე, წერდა დვანში ივანიშვილის ჩასვლა სპეციალურად უნდათ, რათა პროვოკაცია მოუწყონ და მისი ლიკვიდაცია მოხდესო. რამდენად არსებობს ასეთი საფრთხე?**

—შეიძლება, არ გამოვრიცხავ. შეიძლება არსებობს ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა,

# ხომ ამბობენ, 27-ში დამთავრდება კოაბიტაციაო, ჰოდა, დამთავრდეს და დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენა



რამდენიმე წელია გაყოფილია და ტუალეტი მეორე მხარესაა. ეს ხომ ახლა არ მომხდარა?! ვიცი, რატომაც მიიღო ამაზე საუბარმა ახლა ინტენსიური ხასიათი — იმიტომ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, რომელმაც საქართველოს ეკონომიკური კორიდორი გაუხსნა, რასაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაც ავალდებულებდა, ამის დახურვა ერთი ხელის მოსმით აღარ შეუძლია. ამიტომ მეორე ხელით ცდილობს საქართველო როგორმე ევრაზიულ პროექტზე დაითანხმოს. რაც ყველაზე მთავარია, რატომ ახლა? — იმიტომ, რომ 20 ნოემბერს საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს ევროკავშირთან ასოცირებულ წევრობაზე. ამ ხელშეკრულებაზე ოთხ ქვეყანას უნდა მოეწერა ხელი — მოლდოვას, უკრაინას, საქართველოს და სომხეთს. სომხეთი უკვე დაითანხმეს და აღარ აწერს ხელს. ახლა არნახული ზეწოლა მიმდინარეობს მოლდოვასა და უკრაინაზე. საქმე იქამდეა მისული, რომ მოლდოვას, მომავალში დნეპრისპირეთის შემოერთებაზე ლამისაა ყოველგვარ უფლებას უზღუდავენ. იგივე ხდება საქართველოსთან მიმართებაში. ახლა, საქართველოს ხელისუფალმა, პრემიერმა მოსკოვში რომ დარეკოს და თქვას — უარს ვამბობთ ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე და მზად ვართ ევრაზიულ კავშირში შემოვიდეთო, ამ ღობეებს მაშინვე, ერთ ღამეში აალაგებენ. ეს პოლიტიკური თამაშის წესია. ივანიშვილს სურს, ამ სიტუაციას განერიდოს. მას არ სურს ისეთ დოკუმენტზე მოაწეროს ხელი, რომელიც მომავალში წინ დახვდება. დროის გაჭიმვის თვალსაზრისით, ეს მომგებიანია. რუსები ახლადდანიშნულ პრეზიდენტს და ვერც პრემიერს ვერაფერს მოსთხოვენ იმიტომ, რომ 20 ნოემბრამდე ცოტა დრო დარჩა და მათ შედაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. „ნაცმოძრაობას“ ჭკუა რომ ჰქონდეს, პირიქით უნდა მოუფრთხილდეს ივანიშვილს იმიტომ, რომ დასავლეთთან სწორედ მას აქვს „ნაცების“ კოაბიტაციასთან დაკავშირებით ვალდებულებები აღებული. თუ ივანიშვილი არ იქნება (ღმერთმა ნუ ქნას), აქ ისეთი ამბავი ატყდება, „ნაციონალებს“ სახლებიდან გამოყრიან. ასე რომ საზოგადოებას ივანიშვილის ავტორიტეტი აკავებს. მარგველაშვილი ამბობს, რომ კოაბიტაცია 27-ში დამთავრდება. პირადად მე, ამის ბოლომდე არ მჯერა იმიტომ, რომ კოაბიტაციის პროცესი დასრულებულია, ახლა სიმბიოზის რეჟიმია — ერთად გადასარევად გრძნობენ თავს და ზოგნი ფულებსაც იყოფენ. ვთქვათ, ახალმა ხელისუფლებამ თავიდან მართლა არ იცოდა, რომ კონკრეტული ორგანიზაციის პროფილი ენერგეტიკა იყო, ამ დროს უამრავი თანხა ხიდების, გზების მშენებლობაში დაახარჯინეს. ივანიშვილს ბიზნესის ნგრევა არ უყვარს, ამიტომ იძულებული გახდა თამაშის პირობები მიეღო, ასე მოხდა ბევრ სფეროში, საზღვრის საკითხებშიც კი. რა ტიპის ვალდებულებები აქვს სააკაშვილს აღებული თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, პირადად არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რატომ ჩამოიწია საზღვარი მარნეულის რაიონში ჩრდილოეთისკენ, რატომ ამოიწია სომხეთთან ვერ გავიგე. ეტყობა, რაღაც ვალდებულებებია იგივე თურქეთთან. ეს ახალმა მთავრობამ არ იცოდა, მაგრამ ახლა ხომ იციან? ხომ ამბობენ, 27-ში დამთავრდება კოაბიტაციაო, ჰოდა, დამთავრდეს და დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რატომ აფარებს ხელს ახალი ხელისუფლება ყაჩაღების ბანდას, რომელმაც „კავკაზუს ონლაინის“ მფლობელს მამია სანადირაძეს 80%-იანი წილი „აახია“ და კომპანიას თვითონ დაეპატრონა?

7 gv.



**შენი ის დარჩენილი 30%-იც და 10 მილიონს დაგიმატებთ, ანუ 80%-იან წილში 13 მილიონს გადაგიხდით, თუ არა და ციხეში აღმოჩნდებიო. მივხვდი, რაც მელოდა, ამიტომ მოვკიდე ჩემ ოთხ შვილსა და მეუღლეს ხელი და ინგლისში გავიქეცი. იმ სამი მილიონით სახლი ვიყიდე და დღემდე იქ ვცხოვრობთ.**

მართალია, თავიდან ეს 30% არ გადავუფორმე, მაგრამ უკვე ინგლისში მყოფს დამემუქრნენ, რომ კომპანიას გააკოტრებდნენ. საფრთხე რეალური იყო, რადგან კომპანიას ვალები ჰქონდა, ესენი კი იმის მაგივრად, რომ ვალები დაეფარათ, სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას აფინანსებდნენ, ვალს ვალზე უმატებდნენ, ძარცვავდნენ კომპანიას და დღესაც იგივე გრძელდება. უამრავი კომპანია ჰყავდა საკაშვილის კარის ბიზნესჯგუფს ნაცადი სქემით გაკოტრებული, ასე რომ, მათი მუქარის იგნორირება არ შეიძლებოდა. ამიტომაც იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავი დარჩენილი წილიც მათთვის გადამეფორმებინა, თუმცა მერე ეს დაპირებული 10 მილიონიც აღარ გადამიხადეს. სხვათა შორის, მათი ეს მუქარები ჩაწერილი მაქვს და მტკიცებულების სახით გადავეცი პროკურატურას. ხელისუფლება რომ შეიცვალა, საქართველოში მაშინვე ჩამოვედი, განცხადებით მივმართე პროკურატურას და მათი დანაშაულობების დამადასტურებელი ყველა მტკიცებულებები გადავეცი. გარდა ამ მასალებისა, არსებობს უამრავი მოწმეც, რომლებიც ჩემ სიმართლეს დაადასტურებენ. დაველოდე რომ საქმეს გამოიძიებდნენ, მაგრამ...

**— დღეს რა მდგომარეობაა?**

— თავიდან სწრაფად დაიწყო გამოძიება, მაგრამ გაჩერდა, რის შემდგომაც ისევ დაიწყო იძულებით წართმეული კომპანიის ძარცვა, რომელსაც ისევ ის ხალხი მართავს, ვერანაირი კონტროლი ვერ ავიღე, მიუხედავად იმისა, ყველა უკანონობის დამადასტურებელო დოკუმენტები ჩამოვიტანე. პროკურატურა აშკარად არ იძიებს საქმეს, უფრო სწორად, ყველა ფაქტი გამოძიებულია, მაგრამ დამნაშავეებს დასაკითხად არ იძახებენ. ამის მიზეზი კი თურმე, პროკურორ-გამომძიებლების მოუცლელობა ყოფილა. ეს არ არის ბოროტმოქმედებისთვის ხელის დაფარება, დანაშაულის დაფარვა და გარიგებაში შესვლა? იქ სადაც დიდ თანხებზეა საუბარი, ცხადია, არიან დაინტერესებული პირებიც, დამნაშავე იმისთვის იყენებს ამ ფულს, რომ დანაშაული შერჩეს. ძალიან დიდი ეჭვი არსებობს, რომ ეს თანხა იმ პირების მოსასყიდად იხარჯება, რომლებსაც დიდი გავლენა აქთ ხელისუფლებაში, მეფის, ანუ ბიძინა ივანიშვილის კარზე, სწორედ მათზეა დამოკიდებული, დაიწყება თუ არა გამოძიება, მითუმეტეს, რომ ბატონმა ბიძინამ თავის ცნობილ პრესკონფერენციაზე ცალსახად თქვა, რომ მის ხელშია გასაღები, გამოიძიებს თუ არ გამოიძიებს დანაშაულს, დასჯის თუ არ დასჯის ბოროტმოქმედებს, გამოდის თვითონ პრემიერ-მინისტრი ყოფილა პასუხისმგებელი, ჩემი საქმის გამოძიება რომ გაჩერდა. რატომ უნდა ჰქონდეს პრემიერ-მინისტრს ბოროტმოქმედის დასჯის თუ არ დასჯის უფლება?

**იქ არგუმენტად იყო მოყვანილი, სახელმწიფოს 7 მილიარდი ექნება გადასახდელი და დაიქცევაო. რა შუაშია ჩემ საქმესთან სახელმწიფო, როცა მე კერძო პირებს ვედავები. ვსვამ კითხვას, რატომ არ არიან დაკითხული და დაპატიმრებული ბოროტმოქმედები, როდესაც სახეზეა დანაშაული და ეს ხალხი ისევ აგრძელებს კომპანიის ძარცვა-ნგრევას.**

ჩემი აზრით, ამ ბოროტმოქმედებთან გარიგებულები არიან. მე არ ვიცი კონკრეტულად რა მიზეზით არ იძიებენ, მაგრამ ეს არის მათი მხრიდან დანაშაულში თანამონაწილეობა. ხომ ფაქტია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძოდ, პროკურატურა ისე არ მუშაობს, როგორც უნდა მუშაობდეს.

**— კოჰაბიტაციის დამთავრებას ხომ არ უცდიან? გამოდის ყველაფერი ისევ პოლიტიკურ ნებაზე ყოფილა დამოკიდებული.**

— კოჰაბიტაცია არ ჭირდება დამნაშავი დაკითხვას, ამ „ბიზნესმენებს“ დასაკითხადაც კი არ დაუძახეს, არადა სხვა უამრავ საქმეზე იკითხება ხალხი. ახლა სასამართლოს ძალითლა ვცდილობ ამ საქმის ადგილიდან დაძვრას, რადგან პროკურატურა არაფერს აკეთებს. გეთანხმებით, რომ ყველაფერი ისევ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს უკვე პოლიტიკაც აღარ არის, დანაშაულებრივი ქმედებაა. დანაშაულს პოლიტიკით ვერ შენიღბავ. ქართულ პოლიტიკაში იმიტომაც არიან მრავლად ხელმოცარული, უსაქმური მედროვეები, რომ ელოდებიან იმ დღეს, როცა ექნებათ პოლიტიკური თანამდებობა, რომ ბოროტმოქმედებს შეეკრან და გაიყონ ქართველი ხალხის სისხლზე და ცრემლზე „ნაშოვნი“ ქონება. აუცილებლად უნდა შეიცვალოს მთელი სახელმწიფო სისტემა, ჩამოყალიბდეს ისეთი ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა ადამიანის ქონების ხელშეუხებლობას, სამართლიანობას, სამართლიან სასამართლოს და ა.შ. როდესაც ბატონმა ბიძინამ თავისი ქონება დაიბრუნა, ე.ი. მას ეკუთვნოდა, რადგან ძლიერია, სუსტებმა ვერ დაიბრუნეს.

**ძლიერებისთვის ყოფილა მხოლოდ კანონი, ესეც ხომ შერჩევითი სამართალია., რაც ასე არ მოგვწონდა სააკაშვილის რეჟიმის დროს. ბატონ არჩილ კბილაშვილთან ერთ-ერთ შეხვედრაზე როცა ვიყავი (სულ სამჯერ შევხვდი ჩემ საქმესთან დაკავშირებით), ვკითხე გაიყონ, როგორ შეიძლება ისევ ის პროკურორები მუშაობდნენ თქვენს უწყებაში, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს-თქო, არ გაინტერესებთ რა მიპასუხა? იცით რა კარგი ხალხია, რა კარგი ოჯახები ყავთ, ბავშვები, რომლებიც ლექსებს ამბობენ... ცოდვაა ეს ხალხი, რომ დავიჭიროთ და ციხეში ჩავსვათო. კი მაგრამ ის 300.000 პატიმარი და პრობაციონერი ცუდი ხალხი იყვნენ, ოჯახი და შვილები არ ყავდათ?**

ასე მიზეზი ყველაფერზე შეიძლება მოიძებნოს, ყველა ბოროტმოქმედს შეიძლება რაღაც ისეთი მოვუძებნოთ, რომ პასუხი არ ვაგებინოთ. აქამდე კიდევ მიჩნდებოდა რაღაც კითხვები გამოძიების გაჩერებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბატონმა ბიძინამ თავადვე გაამჟღავნა, რომ ყველაფერი მის ხელშია, ანუ ის განაგებს პროკურატურას. ეს არის დემოკრატიული ქვეყანა? რატომ იღებს ბატონი ბიძინა ვალდებულებას ჩემი ქონების დაბრუნება-არ დაბრუნებაზე. მან ისიც საჯაროდ თქვა, რაც ნაციონალებმა ხალხს ფული წაართვეს, იმ ფულით ლობისტები იქირავეს, რომლებმაც ხელში შემიკლესო. თუ შეგიკლეს, მაშინ შენი ქონებით გაეცი პასუხი, სხვის ქონებაზე რატომ პირდები რომ არ დააბრუნებ, როგორ უნდა ივაჭრო სხვისი ქონებით? მაინტერესებს, რატომ აძლევს ბატონი ბიძინა თავს იმის უფლებას, რომ ვიღაც ლობისტების წინაშე იღებს ვალდებულებას, ნაციონალ ბოროტმოქმედებს რომ არ დაკითხავს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი აგენტების მხილებას, რომ ბიძინა ივანიშვილს სიმართლე გავაგებინოთ, როგორც ეს გია ხუხაშვილის შემთხვევაში მოხდა



ინტერვიუ გაზეთ „ქრონიკა+“ რედაქტორთან **ელისო კილაძესთან**

**— ქალბატონო ელისო, დღევანდელი ჩვენი საუბარი მიმდინარეობს რუბრიკით „გისმენთ, კოლეგა!“ ჩვენ გვაქვს დაბეჭდილი რამდენიმე ინტერვიუ ჟურნალისტებთან, დღეს კი საუბარს, ალბათ, ვერ დავიწყებთ იმის გარეშე, რომ არ გავიგო თქვენი შეფასება და შთაბეჭდილება პრემიერ-მინისტრის და ტელეჟურნალისტების შეხვედრაზე.**

— საერთოდ, მომწონს, რომ პრემიერი ხვდება ექსპერტებს და ჟურნალისტებს, მაგრამ მისი გაცხარება და გალიზიანება ჩემთვის მისაღები არ არის. პრემიერს შეუძლია დაარიგოს თავისი თანამშრომლები, შეიძლება ასწავლოს ვინმეს ეკონომიკურ ლაბირინთებში გზის გაკვლევა, ბიზნესის საიდუმლოებანი, რადგან ის ბევრად უფრო კომპეტენტურია ამ საკითხებში, მაგრამ მას არ აქვს უფლება ჭკუა ასწავლოს ჟურნალისტებს.

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ცხადი გახდა, რომ ის არ არის ინფორმირებული. მას არ მიაწოდეს ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად სჭირდება და ეს გამოჩნდა კიდევაც, როცა „რუსთავი-2“-მა ტრადიციულად ოპერატიულ რეჟიმში გადაამოწმა და აღმოჩნდა, რომ მინისტრები დიცში არ იყვნენ ნამყოფი. ეს არ იცოდა პრემიერ-მინისტრმა. პრემიერს დატვირთული სამუშაო რეჟიმი აქვს და პრესსამსახურმა უნდა მიაწოდოს არა ის ინფორმაცია, რომელიც ესიამოვნება, არამედ ის, რაც რეალურად ხდება.

იგივე იყო ჩემს შემთხვევაში, როცა ფარესიშვილი-ამირეჯიბის სკანდალზე პრემიერ-მინისტრი ინფორმირებული არ იყო და გაუგებარ კონტექსტში 16-ჯერ ახსენა ჩემი სახელი და გვარი. მერე დავითვალე, **სოსო ცისკარიშვილი** ახსენა 11-ჯერ, მე — 16-ჯერ. მოკლედ, ჩემი რეკორდი ჯერ ძალაშია. ეს ხუმრობით, მაგრამ საქმე ისაა, რომ მან არ იცოდა საქმის არსი, ელისო კილაძე კი არ ითხოვს ნაცვლიშვილის გადაყენებას, არამედ ის საქმეები, რომლებიც პროკურატურაში დევს. 3000-ზე მეტი საჩივარია შეტანილი პროკურატურაში და არ სჭირდება ამის განხილვას პოლიტიკური ნება.

მე კატეგორიულად ვაცხადებ — **გიორგი მარგველაშვილი** და ყველა სხვა, ვინც ამბობს, რომ კოჰაბიტაცია 27 ოქტომბერს დასრულდება იტყუება, რადგან არც პრემიერს და არც პრეზიდენტს არ აქვს უფლება სასამართლოს საქმიანობაში ჩაერიოს.

ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც საზოგადოებას უდგას არის ის, რომ სამართლიანობის აღდგენა არ ხდება. ჩვენ სისტემატიურად ვწერთ კონკრეტულ საქმეებზე. ადამიანებს საჩივარი შეაქვთ და ეს საქმეები კვლავ იგივე პროკურორებისა და გამომძიებლების ხელში ხვდება, ვინც ამ დანაშაულებში, მინიმუმ, ეჭვმიტანილნი არიან.

ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრი, აუცილებლად უნდა შეხვდეს პრესის წარმომადგენლებს, მოსწონს თუ არა მას ჩვენი პოზიცია.

**პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური, ზოგადად, ფიქრობს იმაზე, რომ ბატონ ბიძინას დისკომფორტი არ შეუქმნას. თამამად ვიტყვი, პრემიერ-მინისტრის პიარ-სამსახური მუშაობს ცუდად.**

არის რაღაცები, რაც ახალმა ხელისუფლებამ გააკეთა, მაგალითად, სადაზღვევო სფეროში, სოფლის მეურნეობის კუთხით და ა.შ. სამწუხაროდ, მე ვხედავ, რომ ხელისუფლების პიარ-ჯგუფებთან არავის აქვს სურვილი ეს მიღწევები მოსახლეობამდე მიიტანოს.

ამიტომ, მე მგონია, უფრო რთულად არის საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა პრემიერი ამბობს, რომ არ სურს განსხვავებული აზრის მოსმენა და მას ჰყავს კარგი და საუკეთესო მინისტრები. მე ასე არ ვფიქრობ და ამის დასტურია ბაჩო ახალაიას ფარული მოსმენები, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა ყოფილიყო სანქცირებული. სინამდვილეში კი ფარული კადრები გამოიტანა, სავარაუდოდ, ციხის რომელიმე თანამშრომელმა.

**ციხეებში გაცილებით მძიმე სიტუაციაა. იმაზე რთული, ვიდრე თვით პრემიერს წარმოუდგენია. ექსკლუზიურად გეტყვით, მივიღე ინფორმაცია, რომ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ციხეებში იგეგმება ბუნტი. კერძოდ, მე-15, მე-17 და მე-8 დაწესებულებებში.**

**— ვინ შეიძლება იყოს ამ ბუნტის მაპროვოცირებელი?**

— თქვენ გგონიათ, სოზარ სუბარის უწყებაში ყოფილი ხელისუფლების მომხრეები და ძველი კადრები აღარ არიან დარჩენილი?

არც ერთ ძალოვან სტრუქტურაში სრულფასოვანი რეფორმა არ ჩატარებულა და ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მერაბიშვილის სადღეგრძელოს მაგიდებზე შემდგარი სვამდნენ, კვლავ ძველ თანამდებობებზე არიან. ეს რომ მართლაც ასეა, მაგალითიც შემიძლია მოგიყვანოთ: ქუთაისში ვარციხესთან ჩატარდა სპეცოპერაცია. სპეცოპერაციის ხელმძღვანელი იყო იმერეთის სამხარეო სამმართველოს მაშინდელი უფროსი **ლევან კახიანი**.

ამ სპეცოპერაციის დროს ერთ-ერთ გარდაცვლილს, გვარად კიზირიას, 53 ტყვია აქვს მოხვედრილი. **გურამ დონაძემ** კი ისეთი ინსცენირება დადგა, თითქოს გარდაცვლილს ავტომატი ეჭირა ხელში, თუმცა ის ვერ გაითვალისწინა, რომ კიზირია ბავშვობიდან ინვალიდი იყო და მარცხენა ხელით ყავის ჭიქასაც ვერ იჭერდა.

არსებობს მძღოლი, მოწმე, რომელსაც გარდაცვლილი თავის მეგობრებთან ერთად ვარციხეში მიჰყავდა. იგი ირწმუნებოდა, რომ მგზავრებს არანაირი იარაღი არ ჰქონიათ. 3 ადამიანი ჩახოცეს და მერე დაიწყეს ამ საქმის „გაპრავება“.

სპეცოპერაციის ხელმძღვანელი **ლევან კახიანი** ისევ შსს-ში ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის მოადგილეა, საკმაოდ მაღალი თანამდებობა უჭირავს.

ასეთი კონკრეტულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები დასჯილნი არ არიან და ეს არის ძალიან ცუდი.

რამდენიმე ხნის წინ პრემიერ-მინისტრი მისმა გარემოცვამ შეახვედრა **გაგიფ აქბეროვს**, მუსულმან შეიხს. წინა ხელისუფლება მას მუსულმანურ ლიდერად აღიარებდა, თუმცა აქბეროვს 12 წელიწადი ჰქონდა მოხდილი გაუპატიურების გამო. ეს ის გაგიფ აქბეროვია, რომელსაც შაქრო კალაშოვის სახლი აჩუქეს.

აქბეროვის კვლავ აღზევებამ უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენს აზერბაიჯანელ მოქალაქეებში, რადგან ბიძინა ივანიშვილი მათაც დაჰპირდა სამართლიანობის აღდგენას და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ „დანიშნული“ შეიხის მოხსნას პრივილეგირებული პოსტიდან. არადა, ასე არ მოხდა. აქბეროვი კვლავ შეიხია და კვლავ გავლენებით სარგებლობს.

ძალიან კარგი იქნება, მაგრამ თუ პოლიტიკიდან მიდის და ამით არის გამოწვეული მისი ინდიფერენტული დამოკიდებულება სიმართლისადმი, მაშინ საქმე მთლად სახარბიელოდ არ უნდა იყოს.

**— მაგრამ ის სამოქალაქო სექტორში გადასვლას გეგმავს და ეროგორც თვითონ ამბობს, იქედან აკონტროლებს ხელისუფლებას.**

— მე ვფიქრობ, როგორც მას წარმოუდგენია, ისე რბილად არ განვითარდება მოვლენები. მისი წასვლის შემდგომ კოალიციაში ბევრად უფრო მძიმე პროცესები დაიწყება.

თანაც, როცა ამბობს, რომ თავად უნდა წარადგინოს მემკვიდრე, თუ ის მიდის პოლიტიკიდან და მიდის, როგორც კოალიციის ლიდერი, მაშინ რიგით ადამიანს, თუნდაც მილიარდერს სამართლებრივად არ აქვს უფლება წამოაყენოს პრემიერის კანდიდატურა.

სამწუხაროდ, კოალიციაში არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც მას ამას ეტყოდა.

**პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური, ზოგადად, ფიქრობს იმაზე, რომ ბატონ ბიძინას დისკომფორტი არ შეუქმნას. თამამად ვიტყვი, პრემიერ-მინისტრის პიარ-სამსახური მუშაობს ცუდად.**

იგივე სიტუაციაა ქვემო ქართლშიც. პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ მისივე თანამებრძოლები, ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე თავი გასწირეს ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო, და მოინდომეს მისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია **თედო ფეიქრიშვილის** შესახებ, რომელიც ფლობს 14 მლნ. ლარის ღირებულების მიწებს ამ რეგიონში. მათ აინტერესებდათ საიდან შეიძლება ჰქონოდა საკრებულოს რიგით დეპუტატს 14 მლნ. ლარი.

**ჩვენ გამოვაქვეყნეთ თაღლითური სქემა, რომლითაც სარგებლობდა ფეიქრიშვილი მიწების მითვისების საქმეში და ვვარაუდობდით, რომ მას დაკითხვაზე დაიბარებდნენ, რადგან ის გარდაბანში, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, გაყალბებული არჩევნების გზით გახდა დეპუტატი, მაგრამ, სამაგიეროდ, მივიღეთ ის, რომ ფეიქრიშვილი ზვიად ძიძიგურმა პარტიაში მიიღო და დღეს კონსერვატიული პარტიის, ანუ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენს.**

სამწუხარო რეალობაა ეს, მაგრამ ამ რეალობის მოსმენა პრემიერს არ სურს.

მე მჯერა, მას უნდა, რომ ჰყავდეს კარგი გარემოცვა და არ სურს, შეცდეს გარემოცვის შერჩევაში, მაგრამ ეს ასე არ არის.

რაც მალე დაუბრუნდება რეალობას,

**რამდენიმე დღის წინ ბატონმა პრემიერმა განაცხადა აგრეთვე, რომ მისი აღმოჩენა არის ლევან მურუსიძე, იუსტიციის საბჭოს მდივანი. შეიძლება ბატონ ბიძინას ლევან მურუსიძეზე ინფორმაციას არ აწვდიან, მაგრამ მას შეუძლია ინტერნეტის საშუალებით მოიძიოს მასზე ცნობები და აღმოაჩენს, რომ ეს ადამიანი იყო ერთ-ერთი მოსამართლეა გირგვლიანის საქმეზე** და ბევრ ძალიან მძიმე გადაწყვეტილებაზე აქვს ხელი მოწერილი, მათ შორის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. ასე რომ, მისი აღფრთოვანება სრულიად უადგილოა. ასეთი ტიპის შეცდომები პრემიერს არ უნდა მოსდიოდეს.



**— ქალბატონო ელისო, საზოგადო ხმაური გამოიწვია აგენტების თემამ, რომელიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდა. რა გამოძახილი ჰპოვა ამ ინფორმაციებმა უმაღლეს სტრუქტურებში. დაიწყო გამოძიება?**

— ბოლო ორ ნომერში „ქრონიკა+“ აქვეყნებს ძალიან სკანდალურ მასალებს. მე ბევრი ვიფიქრე, გამომექვეყნებინა თუ არა ეს მასალები, მაგრამ გამოვამზეურე, როცა დავრწმუნდი, რომ ინფორმაციები არ იყო ყალბი. მე ვასახელებ ადამიანებს, რომლებიც დღეს არიან „ქართული ოცნების“ წევრები და წარმოადგენენ პოლიტიკურ ელიტას. თუმცა ამ ინფორმაციების გასაჯაროებას სრული დუმილი მოჰყვა. ეს ჩემთვის გამაოგნებელია, რადგან ველოდი სასამართ-

ლო პროცესებს, გავიარე კონსულტაციები იურისტებთან და ა.შ. ეს ადამიანები, რომელთა სახელები და გვარები გავამჟღავნე, არავინ იცის, რა კონკრეტულ დავალებებს იღებდნენ კუდიდან „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელთა წევრები ახლაც არიან. „ნაციონალურ მოძრაობას“ ვგულისხმობ.



სოციალურ ქსელში ამას წინათ მომწერეს: საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურთან თუ თანამშრომლობდა, ეს შეიძლება პატივიც იყოსო.

კარგია, როდესაც თანამშრომლობ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, მაგრამ ბაჩანა ახალაიას, მეგის ქარდავას და სხვების კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი ჩვენი ქვეყნის საზიანოდ იყო შექმნილი.

**— გამოდის, რომ ერთმა სახელმწიფო სტრუქტურამ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციაში აგენტები ჩანერგა, რათა მომხდარიყო ანგარიშსწორება პარტიულ ჯგუფებს შორის?!**

— ამას ერთი მარტივი სახელი ჰქვია. ეს იყო ვაჭრობა ქვეყნით და ხალხით.

დარწმუნებული ვარ, ხდებოდა გარიგებები. ყველაფერი „გვარდებოდა“ ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან და იმ ადამიანების უგულებელყოფით, რომლებიც იდგნენ ქუჩაში და პროტესტს გამოხატავდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

ციხის კადრები რომ არა, ჩემი ინფორმაციით, შედეგებზე შეთანხმებულნი იყვნენ და ეს იყო შებრუნებული თანაფარდობა 40/60 „ნაციონალების“ სასარგებლოდ.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ყბადაღებული კოჰაბიტაცია, რომელიც ასე აღიზიანებს საზოგადოებას კომპრომატებით არის განპირობებული და აიძულებენ იმ ადამიანებს, რომელთაც ევალებათ სამართლიანობის აღდგენა, იყვნენ უმოქმედოდ.

**— შეიძლება, პრემიერის პრესსამსახური არ ეცნობოდეს გაზეთებს?**

— ზუსტად ვიცი, არა მხოლოდ კითხულობენ, არამედ ყველა გაზეთს ეცნობიან და კომენტარებსაც ერთმანეთს უზიარებენ, ოღონდ პრემიერამდე არ მიაქვთ.

**სხვათა შორის, შალვა რამიშვილის დირექტივაა — არ გაბედოთ კომენტარის გაკეთება ჩანერგილი აგენტების თაობაზე, რადგან არავის არ აწყობს ამ თემის გაქექვაო.**

მინდა გითხრათ, რომ ეს ინფორმაციები მე ახლა ჩამივარდა ხელში, ადრე რომ მქონოდა, მაშინ გამოვაქვეყნებდი. შეუძლიათ ჰკითხონ ადვოკატ ზურაბ ჯორბენაძეს, რომელიც თავად იყო კუდის აგენტი. მისმა ძმამ, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ **ომარ ჯორბენაძემ** აიძულა, რომ აგენტი გამხდარიყო და როცა დამთავრდა არჩევნები, ამ ადამიანმა, სხვებისგან განსხვავებით, განაცხადა, რომ იყო კუდის აგენტი, იყო ჩანერგილი. მივიდა პროკურატურაში და 32-გვერდიანი ჩვენება მისცა. რა ქნას მეტი ზურაბ ჯორბენაძემ? ეს მისი მხრიდან სამოქალაქო გმირობა არ არის?

მას აყურებინეს, გლდანის ციხეში როგორ აუპატიურებდნენ მამაკაცებს და უთხრეს, რომ ამ არჩევანის წინაშე იყო. ამას აცხადებს ის ხმამაღლა და ჩემდა გასაოცრად, ძალოვანი სტრუქტურებიდან არავის გასჩენია სურვილი და ინტერესი, ამ ადამიანს დალაპარაკებოდა.

**— სხვათა შორის, თქვენც არაერთხელ გითქვამთ პრესაშიც და ტელევიზიითაც ამა თუ იმ საკითხზე დამკითხეთო. გამოგეხმაურათ ვინმე?**

— მე მქონდა კონკრეტული მასალა ქვემო ქართლში ნარკოტიკების მიმოქცევის თემაზე. დამიბარეს ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში დაკითხვაზე, დავწერე ჩვენება, სადაც დავასახელე ორი პირის სახელი და გვარი, რომელთა მეშვეობითაც აზერბაიჯანიდან ნარკოტიკი შემოდის ქვემო ქართლში. დავასახელე სქემა, როგორ შემოაქვთ ნარკოტიკი. კერძოდ, წყალს ატანენ და ქვემოთ ხვდებიან. იქვე შევთავაზე, წავიდეთ ახლავე და **ხევიაშვილის** ნაკრძალში სარწყავი არხი ვნახოთ, რომელიც აზერბაიჯანიდან შემოდის, იმ არხს ატანენ ნარკოტიკს-მეთქი.

არავის არ გასჩენია სურვილი, ერთად გვენახა ეს არხი და არც საქმის გამოძიება წასულა წინ. უკვე ორი თვე გავიდა მას შემდეგ.

**— რა ხდება, ქალბატონო ელისო, „ქართული ოცნება“ მართლა „არ მუშაობს“?**

— მესმის, რომ ეს, რაზეც თქვენ მიმანიშნეთ, არის უფასო პოლიტიკური რეკლამა და იყენებენ ოპონენტების დისკრედიტაციისთვის, მაგრამ რატომ არ აღმოჩნდა არც ერთი ადამიანი, მათ შორის, „ქართული ოცნების“ პიარის თანამშრომელი, რომელიც ამას პასუხს გასცემდა? იმ კლიპში ბევრი უზუსტობაა და ეს პასუხგასაცემია. თუმცა პასუხის გამცემიც არავინ არ არის.

**— გამოდის, რომ ხელისუფლებაში კლანები არსებობს, ერთი მათგანი მეორეს იმით ებრძვის, რომ პრემიერ-მინისტრამდე სწორი ინფორმაცია არ მივიდეს და რეაგირება არ მოხდეს. ასეთ სიტუაციაში თქვენ, ვინც ცდილობთ, ასე ვთქვათ, თვალი აუხილოთ პრემიერს, საფრთხის ქვეშ არ აღმოჩნდებით?**

— სამწუხაროდ, ნეგატიურ ჯგუფებს, როგორც ეტყობა, აქვთ გავლენები ბიძინა ივანიშვილზე და ყველანაირად ცდილობენ სწორი ინფორმაციები არ მივიდეს პრემიერ-მინისტრამდე.

რაც შეეხება საფრთხეებს, ჩვენს გაზეთში პროფესიონალები მუშაობენ. გამოცდილებაც დიდი აქვთ. ყველა მათგანს თვალდახუჭული ვენდობი. ისინი გმირობებს ჩადიან.

ჩვენ სააკაშვილის ხელისუფლებას არ ვეპუებოდით. ახალაიებს, მერაბიშვილებს და მათნაირებს ვებრძოდით და ბოლოს და ბოლოს, იმასაც შევძლებთ, პრემიერ-მინისტრმა ყურად იღოს მედიის ხმა.



**— გია ხუხაშვილი სასამართლოთი რომ გემუქრებოდათ, გიჩივლათ? როგორ განვითარდა მოვლენები ამ კუთხით?**

**— დღეს გია ხუხაშვილი აბსოლუტურად იგნორირებულია ბიძინა ივანიშვილის მხრიდან. ჩამორთმეული აქვს ყველა უფლება და დაკარგული აქვს ყველა გავლენა. ასე რომ, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ჩვენც და ბეჭდურმა პრესამაც, ზოგადად, იბრძოლა და დადგა დრო, რომ გაარკვია ბიძინა ივანიშვილმა, ვინ იყო გია ხუხაშვილი.**

პრესკონფერენციაზე, როცა ბატონმა ბიძინამ 16-ჯერ ახსენა ჩემი სახელი და გვარი, მაშინაც ვამბობდი, მჯერა, ის მალე მიიღებს სწორ ინფორმაციას-მეთქი. იმ დღიდან ორი თუ სამი თვის შემდეგ **ხუხაშვილმა** იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. მაშინ ძალიან უსინდისოდ მოიტყუა **ხუხაშვილმა,** თითქოს მე დავურეკე და ვუთხარი, რომ არაფერში დამნაშავე არ იყო და ა.შ. მე გავასაჯაროვე ჩემი მობილური ტელეფონის იმდროინდელი ზარები და ცხადი გახდა, რომ არც ერთი ზარი ჩემი მხრიდან ხუხაშვილის ტელეფონზე არ განხორციელებულა. თან მოვითხოვე, თუ სხვა ნომრიდან არის დარეკილი, გამოამჟღავნოს ის ნომერიც-მეთქი. ამის შემდეგ ხუხაშვილი ორი კვირა მედიასთან აღარ გამოჩენილა.

ასეთი უსინდისო ტყუილი პრემიერის მრჩეველმა არ უნდა იკადროს.

**— ქალბატონო ელისო, შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გელა ხვედელიძემ, რომელიც თანამდებობიდან ფარული ვიდეო-ჩანაწერის გავრცელების ბრალდებით გაათავისუფლეს, შემდეგ დააკავეს და გირაოთი გაათავისუფლეს, რამდენიმე დღის წინ სასამართლოზე განაცხადა, რომ მას ხელთ არ ჰქონია ეს ჩანაწერი.**

**როგორ ფიქრობთ, საიდან გაჩნდა ეს ვიდეო და რა კონკრეტულ მიზანზე შეიძლებოდა ყოფილიყო გათვლილი?**

— ჩემთვის ეს ძალიან მძიმე თემაა იმიტომ რომ ეს ეხება ჩემს მეგობარს **ლაშა ამირეჯიბს.**

ჩემთვის ეს ისტორია დაიწყო იმით, რომ იმ დღეს, როცა გავრცელდა ეს ვიდეო-მასალა, მთელი დღე მე კომპიუტერთან არ ვყოფილვარ, ისეთი საქმეები მქონდა, კომპიუტერთან დასაჯდომად ველარ მოვიცალე.

საღამოს 7 საათზე პირადში ვნახე ის, რაც ვინმე დათო ბერიძეს ჰქონდა გაგზავნილი ყველა ჟურნალისტისთვის.

ეს იყო ფარესიშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო-მასალა.

შემდეგ მოვიდა ჩემთან ლაშა ამირეჯიბი და მითხრა: ფარესიშვილი თვითმკვლელობამდე მისულ მდგომარეობაშია და მოვიყვან თქვენთან ოფისშიო.

გიორგი ფარესიშვილი ძალიან უსინდისო და უზნეო ადამიანია. ის ჩვენ შევიფარეთ მაშინ, როცა მისი სახელის და გვარის ხსენება იყო ძალიან სამარცხვინო. ჩავატარებინეთ პრესკონფერენცია. ხელს ვუწყობდით და ერთი კვირის განმავლობაში ჩვენთან, რედაქციაში ცხოვრობდა. როცა შს მინისტრმა თავისი მოადგილე თანამდებობიდან გაათავისუფლა და დააკავა, სამი დღის შემდეგ მე ვიგებ, რომ **ფარესიშვილი თემურ კენკებაშვილის** საშუალებით ცდილობს კონტაქტი დაამყაროს **ვანო მერაბიშვილთან** და ეძებს კავშირებს **თამარ ჩერგოლეიშვილთან** და სთხოვს მათ ფულს, რადგან ბინა აქვს ბანკში ჩადებული და სანაცვლოდ მზად არის შეასრულოს ნებისმიერი დავალება ივანიშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ.

**ფარესაშვილი** ახლა რომ ამბობს, რუსული ფულით ფინანსდებიან, და **ნუგზარ ფოფხაძის** პროექტიაო და ა.შ. მართლა ძალიან უსინდისო ადამიანი უნდა იყო, ეს რომ ილაპარაკო, რადგან, გარწმუნებთ, თბილისში არ აღმოჩნდებოდა არც ერთი ოფისი, სადაც გიორგი ფარესიშვილს კარს გაუღებდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო უმძიმეს დაპირისპირებაში ხელისუფლების გავლენიან ადამიანებთან.

მან ყველაფერი მოიგონა თქვენთან ინტერვიუში. იგი არც დიმიტროვთან ყოფილა და არც მე არასდროს მითქვამს მისთვის – ნუგზარ ფოფხაძის გეშინია თუ არა-მეთქი. ჩვევად არ მაქვს ჩემს მეგობრებზე უცხო ადამიანებს ველაპარაკო და მეორეც, მისი საქმე იყო, ელჩებს შეხვდებოდა თუ სად წავიდოდა.

მე დავწერე და აქაც გავიმეორებ: თუ ვინმეს მიაჩნია, რომ რუსული ფულით ვფინანსდებით, დუგინის ფონდიდან და ა.შ. მით უმეტეს, საერთოდ არ ვიცი, დუგინი ვინ არის იმის გარდა, რომ **ირინა გოგოსაშვილს** ჰქონდა მასთან ინტერვიუ ჩვენი გაზეთის მე-4 თუ მე-5 ნომერში და ამით ამოიწურა ჩვენი შეხება ამ თემასთან. თუ ფარესიშვილი თვლის, რომ ეს იყო რუსული ფული, კეთილი ინებოს და ყველა ის თანხა, რაც მან ჩვენგან ისესხა, ერთი კვირის განმავლობაში აქ ცხოვრების პერიოდში, დააბრუნოს.











**ელისო კილაძე: სხვათა შორის, შალვა რამიშვილის დირექტივაა – არ გაბედოთ კომენტარის გაკეთება ჩანერგილი აგენტების თაობაზე, რადგან არავის არ აწყობს ამ თემის გაქექვაო.**

**დღეს გია ხუხაშვილი აბსოლუტურად იგნორირებულია ბიძინა ივანიშვილის მხრიდან. ჩამორთმეული აქვს ყველა უფლება და დაკარგული აქვს ყველა გავლენა. ასე რომ, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ჩვენც და ბეჭდურმა პრესამაც, ზოგადად, იბრძოლა და დადგა დრო, რომ გაარკვია ბიძინა ივანიშვილმა, ვინ იყო გია ხუხაშვილი.**

12 gv.

## ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს სიმართლე გავაგებინოთ, როგორც ეს გია ხუხაშვილთან დაკავშირებით მოხდა

11 gv.

თქვენ ზემოთ **გელა ხვედელიძეზე** მკითხეთ. მე ვაპირებ მომდევნო სასამართლო პროცესზე წავიდე. პირველ სხდომაზე, რამდენადაც ვიცი, განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს. ყურადღებით დავაკვირდები ამ პროცესს და თუ გელა ხვედელიძე ამ საქმეში უდანაშაულოა, ცხადია, ჩემს მხარდაჭერას ის მიიღებს. კიდევ ვიმეორებ, ამას იმ შემთხვევაში გავაკეთებ, თუ დავრწმუნდები სასამართლო სხდომებზე, რომ მას ეს ვიდეო-ფაილი არ ჰქონია და არ აუტვირთავს.

ეს საქმე ჩემთვის ბოლომდე გახსნილი არაა, იმიტომ, რომ იმ ვერსიით, რაც აქამდე ვიცოდით, ამ საქმეში ბევრად უფრო მეტი ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული, ვიდრე გვეგონა. კერძოდ, პირი, რომელმაც ამერიკაში შეიძინა საიტი კვერცხები.კომ. გადარიცხულია ფული აქედან. არ ვიცით იმ პირის ვინაობა, ვინც



ტექნიკურად შეარულა ეს სამუშაო და ატვირთა ვიდეო-მასალა ამ სერვერზე. ეს წრე, შეიძლება, უფრო გაფართოვდეს და აქ მხოლოდ გელა ხვედელიძის ბრალეულობაზე არ იყოს საუბარი, მით უფრო, რომ ბატონი ხვედელიძე ამბობს: მე არც ფირი მქონია და არც ამიტვირთავსო.

ვფიქრობ, საინტერესო თემაა — ეს იყო პირადი შურისძიება თუ შურისძიება და ბრძოლა შს მინისტრის ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილის** წინააღმდეგ.

**— ქალბატონო ელისო, თქვენს მიმართ ამ ბოლო ხანებში სოციალურ ქსელში მწვავე, მეტიც, უხამსი კომენტარები გაკეთდა. ეს თქვენს მიერ აგენტების დასახელებას მოჰყვა. როგორ ფიქრობთ, თქვენს მიმართ ანგარიშსწორებას ამ ხერხით ხომ არ აქვს ადგილი იმ კლანების მხრიდან, სახელისუფლებო კლანები ერთმანეთს ებრძვიანო, ზემოთ რომ ვლაპარაკობდით, თქვენ ხომ არ ხართ ერთ-ერთი სამიზნე?**

— მე მზად ვარ ნებისმიერი პოლემიკისთვის, როცა საქმე არგუმენტებთან გვაქვს. ის, რაც ზოგჯერ გვესმის, მათ შორის გაუგონარი ცილისწამებები სასაცილოა, უბრალოდ. თუნდაც სოციალური ქსელიდან, ავატარები და გვერდები იქმნება ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. ის ლანძღვაგინების კორიანტელი, რომელიც წამოვიდა ამ დღეებში, პირადად **ცოლ-ქმარი ყანდიაშვილების** პროვოცირებული იყო.

**იმ ლანძღვის ისტერიაში ფეისბუკზე ძალიან მარტივი ექსპერიმენტი ჩავატარე. დავწერე — რა უნდა ყანდიაშვილს, დედა მოუკითხო თუ ცოლი-მთქმი? ამის შემდეგ ეს ტალღა შეწყდა. მარტივია ჩემთვის ახლა იმის გარკვევა, არის თუ არა ეს კანცელარიის IP მისამართებიდან, მაგრამ, ვწუხვარ, თუ „ქართული ოცნებაც“ იმ გზას დაადგა, რომელზეც „ნაცმოძრაობა“ იდგა.**

მე ამ მხრივ, ასე ვთქვათ, გამოცდილი ადამიანი ვარ, იმიტომ, რომ თეა თუთბერიძის, ანი ნადარეიშვილის, ბაჩანა ახალაიას მომხრეების მხრიდან მსგავსი თავდასხმები არაერთგზის მომიგერიებია. გვერდიც კი შექმნეს — სახელმწიფოს მტრები და იქ მოვხვდი საპატიოთა სიაში. ასე რომ, არ მაკვირვებს უსინდისო ადამიანების საქციელი, თუმცა ძალიან სამწუხაროა, როცა ამას აკეთებს ის ხელისუფლება, რომელსაც მე მხარს ვუჭერდი და ვუჭერ. ამას აკეთებს ის ხელისუფლება, რომლის გამარჯვებაში მცირე, მაგრამ წვლილი მაქვს შეტანილი.

ვწუხვარ, მაგრამ ეს ადამიანები არ იყვნენ ჩვენთან ერთად ოპოზიციურ ბრძოლაში 2007 წლის შემდეგ. მაგალითად, კოკა ყანდიაშვილი კუბაში, თბილ ქვეყანაში იყო მშვიდად მოკალათებული, ჩამოვიდა და უცებ გახდა მაღალი რანგის პერსონა.

რა ვქნათ, თუ უფრო კრეატიული აზროვნება არ აქვთ და არ შეუძლიათ სხვა მეთოდებით, ანუ ინფორმაციების წესიერად გადამოწმების და გარკვევის გზით იარონ, ეს ამ ხელისუფლებას კარგ შედეგებამდე არ მიიყვანს და ყველაფერი რომ მართალი იყოს, რასაც ჩემზე წერენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები, რომელთა სიებს აგენტების ნუსხაში ვაქვეყნებთ, აგენტები არ არიან.

**ირანდა კალანდაძე**
**5 93 56 11 18**



## „ახალი მსოფლიო წესრიგი“ არის ყველაზე უბოროტესი მოძრაობა, რაც კაცობრიობისთვის აქამდე ცნობილი ყოფილა და სააკაშვილის ხელისუფლება იყო მისი დოქტრინის მიმდევარი“

**გვესაუბრება საავტორო გადაცემა „თავისუფალი თემას“ ავტორი და წამყვანი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრი გიორგი გერმანიძე**

**— „ობიექტივში“ ერთ-ერთ ბოლო გადაცემაში საუბრობდით „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დოქტრინის შესახებ, მოგვიყევით, რას ითვალისწინებს ეს დოქტრინა?**

— ათი წლის განმავლობაში, ჯერ ევროპაში ვცხოვრობდი და ვსწავლობდი, შემდგომ ამერიკაში ვმუშაობდი. ვიკვლევდი გლობალიზაციის საკითხებს წლების განმავლობაში და ცხოვრებისეული გამოცდილებაც დამეხმარა. მე ამერიკული ცხოვრება გავიარე არა სათბურის პირობებში, როგორც ეს სააკაშვილმა გაიარა, არამედ შუბლით დავეჯახე ყველა ცხოვრებისეულ ნიუანსს. უამრავ პროფესორთან მისაუბრია და მაქვს ჩემი კვლევები. ბოლოს მიწვეული ვიყავი შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის სახელმწიფო დეპარტამენტში, ამერიკელ დიპლომატებს ვამზადებდი. მქონდა პატივი, ამერიკის დღევანდელი ელჩი საქართველოში და მისი მეუღლე ყოფილიყვნენ ჩემი სტუდენტები. აგრეთვე სხვა დიპლომატები, რომლებიც დღეს ამერიკის საელჩოში მუშაობენ. აქ ვკითხულობ ლექციებს გლობალიზაციის საკითხებზე.

კვლევების შედეგად დავინახე საშინელი სურათი, რომ ჩემი სამშობლო ბორკილებდადებულია და ნელ-ნელა კიდევ უფრო მეტად ებმება მონობაში. ახლა დაიწყეს საუბარი ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის შესახებ, ეს ახალი მსოფლიო წესრიგის დოქტრინის ნაწილია, კაბალიზაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ვალებში და ჯარიმებში ჩაგდებას. ძალიან ბევრმა დაკარგა საქართველოში უძრავი ქონება, იპოთეკარების პრობლემას ვგულისხმობ, ეს იყო სწორედ, გეგმის ნაწილი, რომ კრედიტი გაეხადათ ხელმისაწვდომი, არა პირობებით, არამედ ფიზიკურად, რათა მოსახლეობას აელო ვალები. ეს კეთდება იმისთვის, რომ ბანკების და ფინანსური კორპორაციების ხელში (რომელთა უკან უცხოელები დგანან) გადავიდეს ყველაფერი და შემდგომ ისევ მფლობელებს მიაქირაონ. საერთოდ ბანკთან ურთიერთობა ყველგან საშინელებაა, მაგრამ აქ ბევრად უარესი პირობებია, ვიდრე ამერიკაში.

**— როდიდან დაიწყო ამ გეგმისთვის მზადება?**

— საბჭოთა კავშირის დროსაც არსებობდა ეს გეგმა, მაგრამ ვერ შემოდიოდნენ საბჭოთა კავშირში, ებრძოდნენ გარედან, ეკონომიკას სწავლობდნენ. აშშ-ს დასავლეთ შტატებში იყო გამოყოფილი რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც სწავლობდა ეკონომიკას, როგორ დაექციათ საბჭოთა კავშირი. მე საბჭოთა კავშირს კი არ მივტირი, როგორ შეიძლება უღმერთო სისტემას ადამიანი მისტიროდეს, იმიტომ კი არ დაანგრიეს, რომ ხალხის გადარჩენა უნდოდათ, დაანგრიეს, რათა დაემონებინათ ყველა ქვეყანა, რომელიც მის შემადგენლობაში შედიოდა. „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ეს ტერმინი ეკუთვნის სესილ როდს ბრიტანელ ბიზნესმენს. ეს ტერმინი გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ეს არის დემონურ-ლუციფერული რეჟიმის ჩამოყალიბების გეგმა მსოფლიოში, სადაც იქნება ორფენიანი საზოგადოება, პირველი ფენა, რომელიც ფლობს ყველას და ყველაფერს — მთელ შემოსავლებს და მეორე ფენა —პ დანარჩენი ხალხი, ანუ ან მონა, ან ყველაფრის პატრონი. რა სამართლიანობასა და დემოკრატიაზეა საუბარი, როცა მსოფლიოს ერთი პროცენტი ფლობს მსოფლიოს მთელი შემოსავლების 40%-ს. მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ერთ დოლარზე ცხოვრობს დღეში. ეს არის უსინდისო ხალხის მოგონილი დემოკრატიული ფასეულობები, გარე მოხმარების პროდუქტი, რომლებიც მოიხმარება საქართველოსნაირ მეორე-მესამე კატეგორიის სახელმწიფოებში, იმისთვის, რომ შემოვიდნენ, დააქციონ შენი კულტურა, სულიერება, მოსპონ შენი ფასეულობები, დაგაჭერინონ ხელში „კოკა-კოლა“ და „ჩიპსი“ და ეს იყოს მთელი შენი ფილოსოფია. გამოგიფხეკონ ჯიბეები, არაფრის პატრონი და მფლობელი არ იყო, დღე და ღამე იმუშაო, როგორც მონამ, მთელი ფული გადასახადების სახით გადაუხადო ამ კორპორაციებს, რომლებიც მათ ხელშია, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ავტორების ხელში. თან უნდა გაჭამონ გენმოდიფიცირებული საკვები, რომ შენზე ბევრი ფული არ დაიხარჯოს. შტატებში და ევროპაში ეს უკვე ნაწილობრივ გაკეთებულია, ახლა სრულ დამონებაზეა ლაპარაკი, ბევრად გაუარესდება პირობები. რეალურად ახალი მსოფლიო წერიგი არის ჯოჯოხეთი დედამიწაზე უსაშინლესი ცხოვრების პირობებით. შენი თითოეული ნაბიჯი უნდა იყოს გაკონტროლებული, ეს გეგმის ნაწილია, საბჭოთა კავშირის სამოცდაათმა წელმა საშინელი დაღი დაასვა მოსახლეობას, მაგიტომ უადვილდებათ საქმე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ევროპაში და შტატებში ეს შედარებით ძნელი გასაკეთებელია, იმიტომ, რომ მათ დიდი ხნის გამოცდილება აქვთ დემოკრატიის და თავისუფალი საზოგადოების, პირობითად, თუმცა არც იქ იყო დემოკრატია და თავისუფლება რეალურად. დემოკრატიის მახინჯი ფორმები არსებობს, ნამდვილი სახით დემოკრატია პრინციპში არც არსებობს, ეს არის ტყუილი და დიდი ბლეფი, 60-იანი წლების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა ახალი მსოფლიო წესრიგი შტატებში. ამ წლებიდან დაიწყო ამერიკელების თავისუფლების დანგრევა უსაფრთხოების ხარჯზე. ამერიკელ ხალხს და ჩვენ დღეს ერთი მტერი გვყავს, მე ანტიამერიკული განწყობის კი არ ვარ, ამერიკულ ხელისუფლებასაც იგივე მტერი ჰყავს, რაც ჩვენ, ის რეალურად გადაწყვეტილებას აღარ ღებულობს, არამედ კორპორაციები და ინსტიტუციები — ახალი მსოფლიო წესრიგი!

**— ბატონო გიორგი, ჩამოგვითვალეთ, ვინ დგას „ახალი მსოფლიო წესრიგის“ უკან...**

— მასონები მათი შემადგენლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, ეს არის აგრეთვე სამმხრივი კომისია, ბილდერბერგერების ჯგუფი, კომიტეტი 300, საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო, როკფელერების ოჯახი ამერიკაში, როტშილდების ოჯახი ევროპაში, ფინანსური ინსტიტუციები, ბანკები და ა.შ. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლებშიც შტატები შედის, თან ქიმიურ იარაღზე ლაპარაკობს. როგორ შეიძლება მას ქიმიურ იარაღზე ლაპარაკის უფლება ჰქონდეს, როცა ვიეტნამში შხამი მოასხა და 400000 ადამიანი მოკლა იქ. ერაყში ატომური იარაღის ნარჩენები გამოიყენეს, რომლითაც, გაეროს დასკვნის მიხედვით, აბსოლუტურად დაანგრიეს ერაყელი მოსახლეობის გენეტიკური მთლიანობა. ეს არის კაცობრიობის წინაშე დამნაშავე ყველაზე ბოროტი ძალები, რაც კი დედამიწაზე არსებულა ოდესმე. „ახალი მსოფლიო წესრიგი“ არის ყველაზე უბოროტესი მოძრაობა, მათ შორის, რაც კაცობრიობისთვის აქამდე ცნობილი ყოფილა და ცხრა წელი სააკაშვილის ხელისუფლება იყო აბსოლუტური წარმომადგენელი მისი, მისი დოქტრინის მიმდევარი.

**ნინო კობაიძე**



# პარლამენტში ახალი კანონი განიხილება, რომლის თანახმადაც, შეიძლება, მშობლებს შვილები უბრალო მიზეზითაც წაართვან

*გვესაუბრება გლობალიზაციის პოლიტიკის მკვლევარი* ***ზვიად ირემაძე***

**— ბატონო ზვიად, გლობალურ პოლიტიკას იკვლევთ. რა გამოიკვეთა ამ კვლევებში, რა არის გლობალური პოლიტიკა და რას მოუტანს ის ჩვენს ქვეყანას?**

— მე გლობალიზაციას ვეძახი გაოფიალურებულ კრიმინალს და რატომ ვფიქრობ ასე, ამას ფაქტებით დაგისაბუთებთ. 30-40 წლის და მეტი ხნის ადამიანები დამეთანხმებიან, რომ საქართველოში არასდროს არავინ არ უდევნიათ, არანაირი კატეგორიის ადამიანი არ დაუჩაგრავთ. მათ შორის არც ჰომოსექსუალები, ახლა კი უმცირესობებად ითვლებიან, მათი უფლებების განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვენ და გვავალდებულებენ, პატივი ვცეთ, ესენიც აწყობენ აღლუმებს. აღლუმის განმარტება კი ენციკლოპედიაში ასეთია: აღლუმი არის გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმი. ე.ი. საქართველოში გეებმა გაიმარჯვეს და ცხვირპირმოხატულებმა აღლუმი ჩაატარეს. ამას ხედავენ ბავშვები, ახალგაზრდები, ეს ტრაგედიაა. არადა, საქართველო „ევროპულ ოჯახში“ რომ მიიღონ, ამას უნდა შეეგუოს.

გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი ჭრილი არის ჰომოსექსუალიზმი, რადგან ქვეყანაში, სადაც ჰომოსექსუალიზმი ვითარდება და მატულობს, დემოგრაფიული პრობლემა კატასტროფულია. ეს ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციაა და პირდაპირი სახელმწიფო გენოციდი.

გლობალიზაციის ეგიდით საქართველოში მძვინვარებს ეკონომიკური საბოტაჟი მოქალაქეების წინააღმდეგ. ყველა კარგად ვხედავთ, რომ ათასობით ადამიანი კარგავს საცხოვრებელ სახლს. მე საბჭოეთის მეხოტბე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ნორმალური გონებით შევხედოთ და შევადაროთ: საბჭოთა კავშირში ადამიანები მუშაობდნენ, იდგნენ რიგში და იღებდნენ საცხოვრებელ ბინებს უსასყიდლოდ. დღეს რა ხდება? საკუთარ სახელმწიფოში არსებული ბანკი ადამიანს ართმევს საცხოვრებელ სახლს — თუკი არ გადაიხდის ბანკიდან გამოტანილ ვალს. სხვათა შორის, თვით ეს ბანკებიც იპოთეკარები არიან და ფედერალური ბანკიდან „ნასესხებ“ ფედერალური ბანკი პროცენტებს იღებს უბრალო მოქალაქეების ჯიბეებიდან და იმხელა ვალებში ვარდება ადამიანი, უსახლკაროდ რჩება. მეტი რა არის ქვეყნის დაპყრობა? მტერი რომ ამა თუ იმ ქვეყანაში შედიოდა, მოსახლეობას სახლებს ართმევდა და უნგრევდა.

პრობლემა ის კი არ არის, საქართველოში ხელისუფლების სათავეში ვინ მოვა და ვინ წავა, საქმე ისაა, რომელი ფინანსებით და რა ძალებით იმართებიან ეს ადამიანები. დააკვირდით, სად დადიან პოლიტიკოსები მოსათათბირებლად ყოველთვე. ესენი არიან მარიონეტული მთავრობები და კარგიც რომ უნდოდეთ ხალხისთვის, მაინც ვერ გააკეთებენ.







გაგახსენებთ, 2003 წელს, როგორც კი გაირკვა, რომ მიშამ და მისმა ამფსონებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, ძალიან მალე ჩამოვიდა ჯორჯ სოროსი. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც ჩამოვიდა სოროსი ივანიშვილის ხელისუფლებასთან.

აქ ყოველი ეროვნული საქმე სიკვდილით ისჯება და გმირობის ტოლფასია. ახლა მახსენდება ბატონი გურამ შარაძე, რომელიც, თუ არ ვცდები, ზუსტად ოქტომბრის თვეშია დაბადებული. გახსოვთ, როგორ მოკლეს შუა ვერაზე დღისით და მზისით? ამით გვაჩვენეს, ვინც შეგვეწინააღმდეგება, დავსჯით სახალხოდ და ვერც კი გამოიძიებთ ამ საქმესო.ბებო

**— ბატონო ზვიად, საქართველოს პარლამენტი იხილავს კანონს, რომელიც ოჯახში ბავშვზე განხორციელებულ ძალადობას შეეხება. ამ საკითხის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები ხშირია. ესეც ხომ არ არის დასავლეთიდან თავსმოხვეული და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ეს კანონი?**

— ჯერ კანონი დამტკიცებული არაა და პირდაპირ ვიტყვი: ღმერთმა დაგვიფაროს, რომ აქამდე მივიდეს საქმე. კანონს საკანონმდებლო ორგანოები უამრავს იღებენ. ეს მათი საქმეა და არ ღირს ამის უტრირება, იტყვის მავანი, მაგრამ ამ მოსაზრებას ახლავე გავაქარწყლებ: ინტერნეტის საძიებელში ლათინური ასოებით ჩაწერონ იუვენალური იუსტიცია და ყველაფერი ცხადი გახდება.

**— ორიოდე დღის წინ განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა, „სკოლებში მანდატურებს ბავშვთა დაცვის ოფიცერი ჩაანაცვლებს, ხოლო მანდატურის სამსახური ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიური სამსახურით შეიცვლება. მათი ძირითადი მოვალეობა ბავშვის დაცვა იქნება, როგორც სკოლაში, ასევე მის გარეთ. ვფიქრობთ, საპილოტე პროგრამას მეორე სემესტრიდან ავამოქმედებთო. ეს იუვენალური იუსტიციის ნიშნებია?**

— ხომ ხედავთ, უკვე სახეზეა კავშირი იუვენალურ იუსტიციასა და ბავშვთა უფლებების დაცვასთან.

იუვენალური იუსტიციის, როგორც ტექნოლოგიის დანერგვის შემდეგ სახელმწიფოში იქმნება, მაგალითად, ისეთი ინსტიტუცია, როგორიცაა საშუალო სკოლაში მანდატური, ოღონდ ეს მანდატური შეითავსებს სოციალური მუშაკის ფუნქციასაც. სოც.მუშაკის მოვალეობა იქნება გამოკითხოს ბავშვებს, თუ როგორ პირობებში არიან ოჯახებში და როგორ ექცევიან მშობლები.

**— ძალიან კარგი, თუ მშობლის გარდა ბავშვზე სახელმწიფოც იზრუნებს.**

— დიახ, ეს ერთი შეხედვით, მაგრამ მე შემიძლია მაგალითები მოგიყვანოთ. იუვენალური იუსტიციის ტექნოლოგიით, მაგალითად, უკრაინასა და რუსეთში ათასობით ბავშვი მოწყვიტეს ოჯახს და სახელმწიფოს გადასცეს.

საკმარისია, ბავშვმა სოციალურ მუშაკს უთხრას, რომ მშობელმა მას თამბაქოს მოხმარება აუკრძალა, დატუქსა, ან ტელევიზორის თუ კომპიუტერის ჩართვა აუკრძალა, არ მისცა საშუალება, 18 წლამდე აკრძალული ფილმის ყურებისა, მაშინვე იწყებს ამოქმედებას იუვენალური იუსტიცია.

**— და მშობელი შვილს ველარასოდეს იბრუნებს?**

— თეორიულად, მშობელს შვილის დაბრუნება შეუძლია სასამართლოს გზით, მაგრამ საქმე უნდა გადაწყვიტოს ევროპის საერთაშორისო სასამართლომ. იუვენალური იუსტიცია გაეროს პროექტია და სამართალსაც ევროპის საერთაშორისო სასამართლო არკვევს.

ეს არის საფუძველთა საფუძველი ოჯახის დანგრევისა, რაც ქვეყნის ძირისძირობამდე მოსპობის ტოლფასია.

**— მშობლებს ჩამორთმეული ბავშვები სად მიჰყავთ?**

— მოგეხსენებათ, დიდი ტენდენციაა დაწყებული ევროპასა და აშშ-ში ერთსქესიანი ქორწინებით შემდგარი ოჯახებისა.

საინტერესო სტატისტიკას მოგაწვდით: 1998 წელს უკრაინაში ოჯახებს ჩამოართვეს 2800 ბავშვი, 2008-ში 14800 და იმ მიზეზით, რომ ამდენ უპატრონო ბავშვს ვერ მოუვლიდა სახელმწიფო, ბავშვები გააშვილეს ევროპაში.

ამ კანონზე ადრეც იყო საქართველოში საუბარი, მაშინ ყური მოგვითელეს, ახლა ისევ იმეორებენ, თუ დღეს ან ხვალ არ მიიღეს ეს კანონი, ზეგ მაინც მიიღებენ.

მაშინ, როცა ქვეყანა ეკონომიკურ სიდუხჭირეში არის ჩაფლული, ბავშვებს არ აქვთ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება და ბევრი სხვა, რასაც სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს, ახლა მათი ხელყოფა ოჯახებში დაიწყეს. ეს ნიშნავს პირდაპირ შთამომავლობის მიტაცებას ოჯახებიდან, ოღონდ, ამჯერად, კანონის ძალით.

უნდა გითხრათ, რომ ოჯახის ინსტიტუტი ჩვენში ყოველთვის წმინდა და ძლიერი იყო, ამ კანონის მიღებას დასავლეთი ჩვენთან მთელი ძალისხმევით შეეცდება, რადგან ოჯახის დანგრევით საბოლოოდ დაანგრევს და დაიპყრობს ჩვენს ქვეყანას.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე საქართველოს წინააღმდეგ დიდ პროვოკაციას გეგმავენ?

## ოკუპირებული რეგიონთან დაგეგმილი პროვოკაციები შეიძლება ორი სცენარით განვითარდეს — საომარი სიტუაცია აწყობს სააკაშვილს, ნახევრად საომარი — ნინო ბურჯანაძეს



**„არჩევნების დღის მოახლოების პარალელურად პოლიტიკური ტემპერატურა მატულობს და პოლიტიკური პროვოკაციებიც პიკს აღწევს“, აცხადებს „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელი ლევან კოჭლოშვილი. იგი არ გამორიცხავს, რომ ამ დაძაბულ ფონზე კონკრეტული პირების პოლიტიკური ინტერესების გამო, საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.**

- ოკუპირებული რეგიონის ე.წ. საზღვართან, იქ სადაც რუსი ჯარისკაცები მავთულხლართებს აბამდნენ, ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები გადასცდნენ იმ კონკრეტულ საზღვარს, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ჩვენმა უშიშროების სამსახურმა თუ პოლიციამ დაუწესა, რასაც აშკარად უდის პროვოკაციის სუნი.

აშკარაა, რომ ეს პროვოკაციები გარკვეული პოლიტიკური ძალების ინტერესებს ემსახურება. აქ არის მოვლენათა მთელი ჯაჭვი.

იქმნება ასეთი ფონი, რომ თუ ოკუპირებული რეგიონის მიმდებარედ, მოხდა სერიოზული პროვოკაცია, მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთხელ ეძლევა შანსი, რომ გაიხანგრძლივოს საპრეზიდენტო ვადა.

**- მოდით ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ.**

- თუ ოკუპირებულ რეგიონთან ერთი გასროლა მაინც მოხდა, მიხეილ სააკაშვილი მაშინვე გამოაცხადებს საგანგებო მდგომარეობას და ბუნებრივია, ჩაიშლება საპრეზიდენტო არჩევნები, ანუ სააკაშვილს გაუხანგრძლივდება საპრეზიდენტო ვადა. აქ არსებობს მეორე შესაძლო ვარიანტიც. თუ რუსეთმა და საქართველომ ოკუპირებული რეგიონის მიმდებარე ტერიტორიის გამო, გარკვეულ საკითხებზე ერთმანეთთან ჭიდაობა დაიწყეს, სავსებით შესაძლებელია, რომ ნინო ბურჯანაძე კრემლიდან პუტინთან ერთად გამოგვეცხადოს და გაკეთდეს მათი ერთობლივი განცხადება, რომ საომარი მოქმედება იქნება თუ რაც იქნება, ნინო ბურჯანაძის ხათრით არის ალკვეთილი. შესაბამისად, ამით ნინო ბურჯანაძის რეიტინგი ხელოვნურად გაიზრდება, ანუ გარე ძალებისა და სპეცსამსახურების ხელშეწყობით. **დააკვირდით, რა დონეზე ემთხვევა სააკაშვილისა და ბურჯანაძის ინტერესები ერთმანეთს, თუ პროვოკაცია ხდება, მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა უხანგრძლივდება, ხოლო ნინო ბურჯანაძე არის ამ ხელოვნურად ინიცირებული კონფლიქტის ასე ვთქვათ, დამლაგებელი,** შესაბამისად უკვე მათ შორის მიდის ვაჭრობა გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებზე. ასე რომ, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია ზუსტად იმისკენ არის მიმართული, რომ გამოჩნდეს, თუ როგორი უსუსურია „ქართული ოცნება“ რუსეთთან ურთიერთობაში. იგივე სცენარია, რაც 2008 წელს გათამაშდა, ანუ პროვოკაცია მოხდება და მერე მთავარია ვინ „მოაგვარებს“ პრობლემას, ნინო ბურჯანაძე თუ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩართული კონკრეტული დასავლელი ლიდერები. ამ ყველაფრის მთავარი შედეგი კი ის არის, რომ „ქართული ოცნების“ განეიტრალება ხდება, თან იმ ფონზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ პოლიტიკიდან მიდის.

**დღეს სამი საპრეზიდენტო კანდიდატია, რომლებსაც რეიტინგზე შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია, ესენი არიან გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე, ამ ორ უკანასკნელს უცხოური სპეცსამსახურები უჭერენ მხარს და უნდათ კუთხეში მიიმწყვდიონ კოალიცია „ქართული ოცნება“.**

**- ძალიან მძიმე ბრალდებებს უყენებთ ამ კანდიდატებს, მაინც რომელი ქვეყნების სპეცსამსახურებს გულისხმობთ?**

- ძირითადად რუსულს, თუმცა ამერიკულის მხარდაჭერაც პირდაპირ გამოჩნდა მაკეინის განცხადებაში, მარტივი ენით თუ ვიტყვით, მაკეინის მხრიდან ეს იყო მოწოდება, რომ წინა საომარი ვითარება შეიქმნას. როდესაც ამ რანგის პოლიტიკოსი აკეთებს განცხადებას, ეს უკვე სერიოზული გზავნილია. ვიმეორებ, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ,



**როცა საზღვარზე ე.წ. „ქვაკაცებს“ დგამდნენ, რუსებს კი არ გადმოუწევიათ საზღვარი აქეთ, საქართველოს შიგნით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა გადმოსწია, დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბადრი ბიწაძის ბრძანებით, რის შედეგადაც რუსებს დიდი ტერიტორიები ვაჩუქეთ, მათ შორის ყადორის ციხეც. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო...**



**აქ ორი სცენარი შეიძლება გათამაშდეს, საომარი სიტუაცია აწყობს სააკაშვილს, ხოლო ნახევრად საომარი ნინო ბურჯანაძეს, ეს საპროტესტო აქციებიც ამას უწყობს ხელს, რომელიც ძალიან ძაბავს სიტუაციას.**

ამ აქციების მომწყობები რომ დაიჭირონ რუსმა ჯარისკაცებმა, ამის მერე ნინო ბურჯანაძე ჩავა რუსეთში, ის საკმაოდ ჭკვიანი პოლიტიკოსია და დარწმუნებული ვარ იტყვის: საპრეზიდენტო კამპანიის წარმართვას, მირჩევნია ამ ადამიანებს ვუშველოთ და რუსებიც დაკავებულებს გამოუშვებენ. აქედან ის გამოჩნდება, რომ აბობოქრებული რუსეთის დაშოშმინება მხოლოდ მას შეუძლია. შიდა ქაოსიც ჩაწყნარდება, ბურჯანაძე მოგვევლინება მესიად, რომელმაც გადაგვარჩინა და რეალურად აქვს შანსი რუსეთთან ურთიერთობები რომ დაალაგოს. რუსეთი ისევ მტრის ხატად წარმოჩინდება, როგორც იყო, სამაგიეროდ ბურჯანაძის რეიტინგი ავტომატურად გაიზრდება.

მე ვსვამ კითხვას, თუ ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთს აქვს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული, ვაპროტესტებთ საქართველოს შიგნით მავთულხლართების გაბმას, მაშინ რატომ ვაძლევთ რუსებს და საქართველოში მოღვაწე კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებს პროვოკაციის მოწყობის საშუალებას? მე არცერთ პარტიას არ ვემხრობი, უბრალოდ რეალობა მინდა ავსახო. ძალიან კარგია, რომ ამ არჩევნების დროს, სახელისუფლებო კოლიცია ადმინისტრაციულ რესურს არ იყენებს, მაგრამ რატომ არ ახდენს მთავრობა რეაგირებას იმ ფაქტებზე, როდესაც პრეზიდენტობის ორ კანდიდატს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები უგეგმავენ მთელ პიარაქციას, აძლევენ ფინანსებს, რომლითაც ხდება საარჩევნო კამპანიის წარმოება, ეს მე ვიცი და ჩვენმა სპეცსამსახურებმა არ იციან? შეიძლება ჩემს ამ გამონათქვამებს დიდი სკანდალი მოყვეს, მაგრამ ეს რეალობაა. მე ჩემი გადმოსახედიდან, უმოქმედობაში ვადანაშაულებ „ქართულ ოცნებას“. დემოკრატიის პრინციპები დაირღვევა თუ ნაცმოძრაობაში და ბურჯანაძის ოფისში რევიზია შევა და დაიწყებს იმ ფინანსების წარმომავლობის მოკვლევას, რომლითაც ისინი საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ, ან ხელოვნურად შექმნილი დაძაბულობის კერების და მოსალოდნელი პროვოკაციების საკითხს თუ გამოიძიებენ? დემოკრატიის დაცვა ზუსტად ის იქნება, თუ სხვა ქვეყნების მიერ დაგეგმილი პიარაქციები და საპრეზიდენტო კამპანია არ იწარმოება საქართველოში.

თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა ხაზგასმით განვაცხადო, რომ მოსალოდნელია სერიოზული პროვოკაციები ოკუპირებულ რეგიონებთან. მე კარგად მინდა დაუკვირდეთ თითქოს უმნიშვნელო დეტალებსაც, რადგან ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. როდესაც დავით სეერგეენკო გორში ჩავიდა, იქ მაშინვე გამოგვეცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი და დაძაბული სიტუაცია შექმნა. სერგეენკო და სხვა მინისტრები მთელი საქართველოს მასშტაბით დადიან, მაგრამ ნაციონალები იქ

ასე არ დასდევენ. მაინც და მაინც ოკუპირებული რეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩავიდა ბარნოვი და სოციალურად შეჭირვებულ ფენაზე გაამახვილა ვითომ ყურადღება. იმავე დღეს სააკაშვილი განმუხურს ეწვია, რომელიც ასევე ოკუპირებული აფხაზეთის მიმდებარედაა. თვითმარქვია პრეზიდენტი თურმე ინფრასტრუქტურის დასათვალიერებლად ჩავიდა, რა ჰქონდა იქ საკეკლუცო, როცა მის მიერ აშენებული ხიდი მოკლე ხანში მდინარემ წაიღო? ან ის დადგმული სპექტაკლი რად ღირდა, ქალები მიშა, მიშას ძახილით, რომ გამორბოდნენ და ეხვეოდნენ. რა ნახა და რის გასარკვევად იყო სააკაშვილი იქ ჩასული? ის პიარაქციაც კარგად ეხსომება საზოგადოებას, სააკაშვილი, მისი დაცვის წევრები და ავტომატგადაკიდებული პარლამენტარი გიორგი ასანიძე ორ კინკილა რუს ჯარისკაცს, რომ დასძახოდნენ, დავაი, ნა ... ოტ სუდაო. ისიც ხომ ვიცით, როგორ გადაუხადეს რუს ოფიცრებს დიდი ფული ამ სპექტაკლში. რა უნდოდა იქ ავტომატიან პარლამენტარს, ეს საქმე არ არის გამოსაძიებელი? ჩვენი საზოგადოების ბრალია, მაშინ კარგად რომ არ იყო ეს აქცია გაანალიზებული.



**მე ერთი რამ მაინტერესებს, ამ მავთულხლართების გაბმა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს შუაგულ საქართველოში და მაინც და მაინც არჩევნების წინ რატომ გახდა ეს თემა ასე აქტუალური, ახლა რატომ ჩაერთო ყველა, მანამდე არ იცოდნენ?**

მე არ ვამბობ, რომ ყველა იქ ჩამსვლელი სპეცსამსახურების თანამშრომელია, მაგრამ ხელოვნურად რომ არის ინიცირებული და წამოწეული ეს თემა, ორი აზრი არ არსებობს. ნაციონალებისგან არის ეს თემა სპეციალურად წამოწეული და გამწვავებული, რომ შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რაც სააკაშვილს საშუალებას მისცემს საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს.

**- ძალიან მაინტერესებს იგივე „თავისუფალი ზონა“, ჟურნალისტები, სტუდენტები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები სააკაშვილის რეზიდენციასთან რატომ არ მართავენ საპროტესტო აქციას, რუსი ჯარისკაცები ხომ სწორედ სააკაშვილის დადგენილ საზღვრებზე აბამენ მავთულხლართებს?**

- მე უკვე გითხარით, რომ „თავისუფალი ზონა“ არის კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გამტარებელი. ამათ სატელიტ ორგანიზაციებს ეძახიან,



იმას, რასაც ვერ აჟღერებს და აკეთებს პოლიტიკური პარტია, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს აბარებენ. საზღვრების მიწერა-მითითებას რაც შეეხება, საქართველო რა საზღვრებითაც შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, იმავე საზღვრებით გამოვიდა, ასეთი იყო შეთანხმება, მართლაც სააკაშვილმა დაუმატა ეს ტერიტორიები და თანაც არამარტო ე.წ. სამხრეთ ოსეთს, რუსეთიც გულუხვად დაასაჩუქრეს. 2007 წელს, როდესაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ბადრი ბიწაძე ხელმძღვანელობდა, საქართველოს მთავრობამ რატომღაც გადაწყვიტა, რომ საზღრებზე უნდა დაეყენებინათ საზღვრის მანიშნებელი ე.წ. ქვაკაცები. ეს „ქვაკაცები“ ძირითადად საქართველო-რუსეთის საზღვარზე დააყენეს.

**მესაზღვრეები ამბობენ, რომ მათ კარგად იცოდნენ სად გადიოდა ეს საზღვარი, მაგრამ როცა ამ „ქვაკაცების“ დადგმაზე დაიწყეს კომპიუტერით და ნავიგაციით დაიწყეს მუშაობა, ცენტრიდან მისდიოდათ ე.წ. წერტილები, რომლებიც ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში იყო გადმოწეული, ანუ ჩვენი ტერიტორიები რუსეთს დაუტოვეს და საზღვარი უფრო შიგნით გადმოსწიეს, სადაც შემდგომ ეს მანიშნებლები დადგეს. რუსებს კი არ გადმოუწევიათ საზღვარი, თბილისიდან, ბიწაძის უწყებიდან მიდიოდა ეს ბრძანება, ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ.**

თუ დაინტერესდებით, ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, რომელ წელს ჩატარდა ამ მანიშნებლების დადგმა და ვინ ხელმძღვანელობდა მაშინ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს. გამორიცხულია მესაზღვრეებს თავიანთი ინიციატივით გადმოეწიათ საზღვარი.

**ამ „დემარკაციის“ შედეგად დიდი ტერიტორიები დავკარგეთ, ისტორიული ციხე-სიმაგრეები, მათ შორის ჟადორის ციხე (კახეთი), რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა საზღვრის დაცვის კუთხით.**

ეს ციხე გრემიდან კარგად ჩანს და აქაური მეციხოვნეები ცეცხლის დანთებით ატყობინებდნენ გრემ-ქალაქს, დაღესტნიდან მტრისა თუ მოყვრის გადმოსვლას. ნინო ბურჯანაძეს, რომელიც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ, რატომღაც არ გაუპროტესტებია ქართული მიწების გაჩუქება.

„თავისუფალი ზონა“ რატომაც არ გამართავს საპროტესტო აქციებს პრეზიდენტის რეზიდენციასთან გასაგებია, მაგრამ ჩემი აზრით, ეს აქციები რეზიდენციასთან კი არა იმ სასამართლოსთან და იმ პროცესის დროს უნდა გაიმართოს, როცა სააკაშვილს, ბადრი ბიწაძეს და მათნაირებს გაასამართლებენ, რომლებმაც ყოველგვარი ომის გარეშე გადააბარეს, 2007 წელს ეს მიწები სხვებს გადააბარეს და საზღვრებიც შემოუხაზეს. სხვათა შორის, ამ საკითხზე ნინო ბურჯანაძემაც უნდა აგოს პასუხი, რომელიც მაშინ ქვეყნის მეორე პირი იყო და პროტესტი არ გამოთქვა.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

# „საერთო გაზეთის“ რედაქციას

**გამარჯობათ, ბატონო ვახტანგ!**

ბიუროკრატია ფრანგული სიტყვაა [bureaucratie] მოგეხსენებათ, და სახელმწიფოს მართვას ნიშნავს ხალხის გარეშე. ნეტარხსენებულმა ზვიად გამსახურდიამ ერთ თავის გამოსვლაში ბრძანა: „ბიუროკრატია გიგანტური ძალაა, მაგრამ ცხოვრებაში სულით მათხოვარნი ახორციელებენო!“ ქვეყანა მოვიარე და ერთადერთი თქვენ და თქვენი გაზეთი ვნახე, რომელმაც გაიგო ატენის სიონის დაკარგვით გამოწვეული უზარმაზარი ადამიანური გულისტკივილი, რადგან გორში უმდიდრეს ადამიანს — მეუფე ანდრიას გადაუწყვეტია საკუთარი სურვილისამებრ VII საუკუნიდან მომდინარე ქართული, ქრისტიანული მადლის „განკარგვა“ და თავისი ფეოდალური სიმდიდრის წყალობით, ბუზს ვინ აუფრენს?! მით უმეტეს, ვინ მოიცლის „გაგანია“ არჩევნებისას. მხოლოდ თქვენთვის არის ნათელი, რომ ატენის სიონი ხალხმა მოიყვანა აქამდე და მისმა აღმაშენებელმაც ის ქვეყნის საკუთრებად დატოვა! სხვას კი ბნელეთის მოციქულს, „ორიოდე გროშის“ მფლობელის ცალტვინა აზროვნებით, ხალხი, რიშელიეს თქმის არ იყოს, „ჯოგად“ წარმოუდგენია და მხოლოდ „გაგანია“ არჩევნებისას თუ ჩააგდებს რამედ, რათა მისთვის სასურველი საპრეზიდენტო კანდიდატი კიდევ უფრო მსუყედ ცხოვრებისთვის შეიგულოს. ამიტომაც ზოგიერთი თუ იხვეწება „ის“ აირჩიეთო, ზოგიც „ბრტყელ-ბრტყელ რჩევას“ იძლევა, და არსებობენ ისეთებიც, საკუთარ კანდიდატს უკვე „არჩეულად“ რომ თვლიან!

დამეთანხმებით, საცოდავი საყურებელია მათი „ფრჩხილთა ბლოჭვანი“, რამეთუ არ იციან, რომ „მოსვლად არს ძე კაცისაი დიდებითა მამითა თვისაითა ანგელოზთა მისთა თანა და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“.

(მათე 16, 27).

უბედურებმა არც ის იციან, რომ დედაღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ბევრი უნახავს ამჟამად ისტორიის ჭაობში მოფუთფუთე მატლი, ხოლო ატენის სიონი კი მთელი თავისი დიდებით კვლავ და კვლავ ამშვენებდა საუკუნეებს და არაერთხელ მისი სიცოცხლის უკვდავსაყოფად გაწყვეტილა ჩემი მშობლიური სოფელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, არც ახლა მოერიდება თავგანწირვას. ხოლო რაც შეეხება 27 ოქტომბრის არჩევნებს, მოვიხდით ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს: დავაფიქსირებთ საკუთარ არჩევანს, ხალხს ვინ ჰკითხა აზრი, თორემ გაიგებდნენ, რომ აღარავის აინტერესებს, ვინ იქნება „ბრმათა შორის ცალთვალი“ და არც უსაფუძვლოდ! ქალბატონი ნინო ბურჯანაძე მის მაღალანაზღაურებად გარემოცვას რომ ჰკითხოთ, უკვე არჩეულია (?!) არადა, ისტორიის შემოქმედი ცოტა სხვაგვარად აზროვნებს: შევარდნაძისეულ პარლამენტში კუბაღლინჯოიანის, ხოლო „ვარდებიანში“ ნოღაიდელის დახმარებით მილიონების შემტყაპუნებლის სახელით მიბრძანებული, საკუთარი ოჯახის ნანინანატრი, 1 ლარად შეძენილ „საოფისო“ აგარაკში გატყლარჭული ქალბატონი, ღია ცის ქვეშ მყოფ უპოვართ, ავადმყოფი ბავშვი პირდაპირ ტროტუარზე რომ ეწვინათ, მოღალატეებს ეძახის, დასაქცევი 7 ნოემბრის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ სპეცრაზმელის მოსანახულებლად მიკაკუნობს საავადმყოფოში და ხან „მსხვერპლი“ და ხან „გმირი“ 26 მაისის დემონსტრაციისა, საზოგადოებას რატომ არ განუმარტავს, მისი პატიმრობაში აყვანილი მეუღლე როგორ გადადის საზღვარზე, როგორ ცხოვრობს ევროპაში ძვირადღირებულ სასტუმროში და როგორ ბრუნდება საქართველოში, ბედნიერი ღიმილით საკუთარ სახლში?! ჰოდა, ერთი ჭკვიანი ქართველის არ იყოს, ხელისუფალში ცოტათი ჯულაშვილი რომ ყოფილიყო...

ან რას ფიქრობენ დღესდღეობით ძვირფას ძონძებში გამოხვეულ „უნახავმა რა ნახა“ ნათელაშვილზე, რომელმაც ვერა და ვერ აუხსნა მავანს, როგორ მოხვდნენ ვანო მერაბიშვილისა და სოსო თოფურიძის უახლოესი ნათესავები „ლეიბორისტული პარტიის“ საარჩევნო სიით პარლამენტში და თვითონ „დამხრჩვალივით მოფართხალე“ რატომ იღებდა თავის ლეკვებთან ერთად პარლამენტარის ხელფასს?

კითხვა არ უნდა „ხვლიკ“ თარგამაძეს, „გმირთაგმირ“ სერგო ჯავახიძეს — ნოღაიდელი რომ ჩაანაცვლა და „იხსნა“ სამშობლო! რა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს?! და სხვათა და სხვათა, ქართული სიბრძნე რომ იტყოდა: „არჩევანში ცხრა იყოო და ნახევარი ბრმა იყოო“. ვაი, რომ მოვა დრო და იმიტომ, რომ ზემოთჩამოთვლილმა „ყოჩებმა“ არ იციან სამყაროს ძირითადი კანონი: „დამდაბლებულნი მაღლდებიან“ და იმიტომ, რომ ხალხს ასწავლის იესო: „ნუ ვიყუარებთ სიტყვითა, ხოლო ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა“ (იოანე 4, 7).

მამა ღმერთის კურთხევით, მემატიანე გამოჰკრავს მათ ერთ ბოლჩაში, დააწერს „ჩემთვის ურგები ქოთანი ქვასაო, შეჭამანდი კი ძაღლსაო“ და გაატანს ჯულაშვილის საფლავიდან ნაგვის ამკრეფ ისტორიის ქარიშხალს, ისეთ მოუსავლეთში, უკან მოხედვასაც რომ ვერ გაბედავენ, იმისდა მიუხედავად, ბატონი ივანიშვილი წავა თუ არ წავა პოლიტიკიდან. ბრძენი ქართველი ხალხი კი ამბობს, რომ ის აუცილებლად უნდა წავიდეს პოლიტიკიდან, რადგან „ვი-



საც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს... იმან ორი სახელი უნდა იქონიოს, ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი“, — წერს ერის მამა და მოძღვარი ილია ჭავჭავაძე, და ბატონმა ივანიშვილმა კოჰაბიტაციური ბორკილებისა და ქართველთათვის გაუგებარ-მიუღებელი პროდასავლურ, პროჩრდილოურ თუ პროსამხრეთ-აღმოსავლურ სამართალთა ფონზე, მოყვასისთვის „ჭიქა წყლის გაწოდებით“ იმდენს მიაღწია, რომ დაიმკვიდრა აქ დასარჩენი, ხოლო თან წასაყოლი სახელისათვის, მამა ღმერთი მას გამოცდას უწყობს, რადგან ისევ უფსკრულის პირასაა მისი სამშობლო, სხვაა მოძმის და სხვაა ქვეყნის პატრონობა, რაც მხოლოდ „ლომთა“ ხვედრია! მე, როგორც ერთი უსახსრო და უპოვარი მოწრმუნე, მართლმადიდებელი ქრისტიანი, ჩემს მამაპაპისეულ სალოცავებთან ერთად, მთელი სულით და გულით ვუსურვებ ბატონ ბიძინა ივანიშვილს უზენაესის გამოცდის წარმატებით ჩაბარებას, რათა მუდმივად ევლოს იმ სავალ გზაზე, რომელზეც მხოლოდ რჩეული, ღმერთშემოსილი მამულიშვილნი დადიან...

უფალმა შეგიწიროთ თქვენ, ღრმად პატივცემულო ბატონო ვახტანგ და „საერთო გაზეთს“ ჩემი სოფლის მოსახლეობის გულისტკივილის ესოდენ თანაგრძნობა!

ღმერთმა ინებოს და ატენის სიონის ძალა, ლოცვა და მადლი არ მოჰკლებოდეს საქართველოს!

უფალს ებარებოდე, ჩემო ტანჯულო სამშობლოვ!

**ქრისტესმიერი სიყვარულით და გულწრფელი პატივისცემით**
**ნატო ხუციშვილი**
**გორი, ატენი**



# აპოკალიფსი, 2008 წელს ხარების დღეს დაიწყო და 2017 წლის იანვარში წყალკურთხევისას დასრულდება!

**„საერთო გაზეთის“ წინა ნომრებში გამოქვეყნებულ მასალას „იესო ქრისტემ უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა“ ახალციხიდან ვასილ ოზოლაშვილი გამოეხმაურა და საკუთარი მოსაზრებების გაზიარება გვთხოვა:**

## ნოეს მოდგმა გადარჩება...

— არამეული ღვთისშვილობასთანაა დაკავშირებული. არამეულში ანბანური ჯამი 150 ან 153-ია. რ-ნ — 150 — ანუ ეს ნიშნავს სახელდიდ მოდგმას. ასერგასის სამი — ანუ გნრ — ეს ნიშნავს მამის სახელდიდ მოდგმას. აქედან მოდის გამოთქმა არან ქართველები. ხშირად 150, 153 ბიბლიაშია გამოყენებული. მაგალითად — ქარი 150 დღე იყო ამოვარდნილი. ამით ხაზგასმულია შემდეგი — ღვთისშვილებმა უფალი რომ დაივიწყეს, იმიტომ მოუვლინა განსაცდელი, გადარჩება ის, ვისაც უფალი სწამს, ანუ ნოეს მოდგმა გადარჩება. ეს ციფრები, ვიმეორებ, ღვთისშვილობასთანაა დაკავშირებული. არამეული ენა ღვთისშვილთა ენაა, აქედან გამომდინარე ქალდეურიც. იმიტომ, რომ არამეული და ქალდეური ენები ერთიდაიგივეა, ოღონდ მაშინ ენის განსხვავება შემდეგნაირად ხდებოდა. მაგალითად, ბევრ მეცნიერს შევადავები და ვეტყვი — ქალდეა არის ქალაქი, რომელიც გზათა გასაყარზე მდებარეობს. აქ ორი ასტრონომიული სკოლაა — ორქენა და ბორსიპპენი, ერთი სხვა მეთოდით ახდენს ვარსკვლავებზე და ცაზე დაკვირვებას, მეორე — სხვა მეთოდით და მერე შედეგებს ადარებენ. საინტერესოა ის, რომ ყველა დაკვირვების ჩაწერა ლურსმულად ხდება და შემდეგ ხდება ანბანურ ტექსტში გადატანა. ასე რომ, ქალდეური და არამეული ერთი და იგივე ენაა, მაგრამ ორი სხვადასხვა სკოლის მიერ შედგენილი ტექსტებით, ორივეს ერთი ბაზისი აქვს. ქალდეურსაც და არამეულსაც — სუყველას ერთი ბაზა, ერთი ანბანი, 38 ასოიანი აქვს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომელმა სკოლამ შეადგინა ესა თუ ის სიტყვა.

## რატომ ცდილობდა მტერი ვაზის განადგურებას?!

ბატონი პეტრე ქოჩაკიძე ამბობს, რომ უფალმა უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ ენაზე წარმოსთქვა. არამეულიც და ქალდეურიც ღვთისშვილთა ენაა. თავად სიტყვა არამ (რ.ნ.) — ღვთისშვილობას ნიშნავს. ქალდეური — ასევე ღვთისშვილთა ენაა. ისინი სხვადასხვა ენაზე არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ დღეს უნდათ თქვან, რომ სხვადასხვა ენაა, ამაშია საქმე. სიტყვის შედგენა ეტაპებს გადიოდა: მოვლენაზე დაკვირვება, მათემატიკური მოდელის შექმნა (სიტყვა), ექსპერტიზა ( მანამდე არსებულ დოგმებს არ უნდა შეეწინააღმდეგოს), ხმარებაში გაშვება ( სხვა სკოლებისთვის გაცნობა). აქვე კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გიამბოთ: ღვთისშვილების ცხოვრება მცენარეებში ვაზს ჰგავს. ყურძნის დაწურვა მოდგმის მოვალეობად ითვლება, რომლის ფესვი წინაპარია, ტანი (სამამულე რქა), საჭირნახულე რქა, რომელიც ტანთან ერთად მტკიცედ დგას ფესვებზე და მისგან საზრდოობს; ნაყოფი — ყურძენია, რომელიც პატრონს მიაქვს; ტარიგგება (უფლისთვის მირთმევა) ღვინოა (ყურძნის ნაჟური), რომლითაც ადიდებენ უფალს და უფალთან ზიარება ხდება. ამიტომაც იყო, რომ მტერი ვაზის ამოგდებას ცდილობდა, რადგან თუ ვაზი არ იქნებოდა, არც ღვინო იქნებოდა და შესაბამისად, არც ზიარება. შინაურ ცხოველებში ღვთისშვილების ცხოვრება თხას ჰგავს. თხა (არან, არვე) ფარის წინამძღოლია, ძაღლი (თარ) ფარის პატრონია, გარეულ ცხოველებში მგელი (გელი) ეული, მუხლმაგარი, გონიერი, გამრავლების უფლება აქვს (ცოლის ყოლის); თევზებიდან ესაა ლოქო, რომელიც ზღვამდე ჩადის და მდინარის შესართავთან ბინადრობს, ხოლო ქვირითობის დროს მდინარის სათავეებს უბრუნდება, სადაც თვითონ გაჩნდა, ანუ ესაა ნოსტალგია. ამიტომაცაა ძველი საფლავის ქვები ულვაშიანი თევზის (ლოქოს) სახით გვხვდება.

რაც შეეხება იესოს უკანასკნელ სიტყვებს — ელი, ელი, ლამ საბაქთან. ეს ნიშნავს — ნუგეშისმცემელო, ნუგეშისმცემელო, ნუ ხარ დაფარულში. ელი — ნუგეშისმცემელია, ეს ანბანიდან გამომდინარეა. ყველა ასოს თავის დატვირთვა აქვს, ყველა ხმოვანს შესაბამისი თანხმოვანი აქვს. ელ (პ=17), რაც ნუგეშისცემას ნიშნავს. თუ ვინაა ნუგეშისმცემელი, ამას საბაქთან — საბა — ბას-ი ამოწმებს, ანუ წმინდა მთა. თავისთავად ცხადია, რომ ნუგეშისმცემელი აქ უფალია. საბაქთან... — ბას პლუს ანათებ (ებ = ქ), ეს ნიშნავს უფალო გამინათე. იმ დროს როცა უფალმა სული განუტევა წყვდიადი იყო. საბაქთან-ს ბოლოდან რომ წაიკითხავ გამოდის — ანათებ წმინდაო — დაფარულში მყოფო ნუგეშისმცემელო, გამინათეო, არ მიმატოვოო და მართლაც მთვარე ამოვიდა.

## რამდენი ორეული გააჩნია ადამიანს და რა მოხდა 26 საუკუნის წინათ?

აქ კიდევ ერთი საინტერესო მომენტია, სხვა ანბანებზე არ გვისაუბრია. ქართული ანბანი საკმაოდ ძველია. ქართულ ანბანში ჩადებულია ადამიანი და მისი ორეულები. რა ორეულები გააჩნია ადამიანს? — ესენია გვამი, ქვაკაცი (ძეგლი), სახელი და სული. ანუ ადამიანს ოთხი ორეული გააჩნია. ფილოსოფიურად რაც ჰგონიათ, რომ ეგვიპტელებისაა, სინამდვილეში აქედან იქეთ წაიღეს. წელან შეგნებულად ვიკითხე, რა არის ჰტახი-მეთქი. ჩვენთან ეს სიტყვა მე-10 საუკუნემდე იხსენიებოდა, იტალიაში იხსენიებოდა ეს სალოცავი — ჰტახი. იმიტომ, რომ ეტრუსკები ხეთები არიან. მთავარი ისაა, 26 საუკუნის წინ რა მოხდა. რატომ არის, რა მიზეზია, რომ ნაბუქოდონოსორი ბიბლიაში ზოგან ძალიან ცუდ პიროვნებად, ზოგან ჩვეულებრივ ადამიანადაა გამოყვანილი? — საიდუმლო სწორედ ამაშია. სიტყვა „მაგი“ თქვენთვის რას ნიშნავს? — ეს არის ღვთისმსახურთა გვარი, რომლებიც იყვნენ მიდიაში და ბაბილონში. გადასახადების აკრეფა ეკლესიებში ხდება. ფული რომ აიკრიფება, ეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის 50/50-ზე ნაწილდება. ეკლესია ვალდებულია მეურნეობის საწარმოებლად დახარჯოს თანხა. მეფეს, რომელსაც თავის წილი მიაქვს, ჯარის და თავის შესანახად იყენებს თანხას. ეკლესიას უფრო მეტი თანხა აქვს. ისინი ისე გამდიდრდნენ, რომ მეფეების თავიანთ ჭკუაზე თამაში მოინდომეს და ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 550 წელს შეთქმულება მოაწყვეს. სწორედ ამ 550 წელს ბაბილონის მეფემ მთავარი მაგი დასაჯა, ანუ ვთქვათ, გვარის მთავარი. მას თავი მოჰკვეთა. როცა დანარჩენმა მაგებმა შეამჩნიეს, რომ მათაც იგივე ბედი ელოდათ, შეთქმულება მოაწყვეს და დიდი ფული შეკრიბეს, რათა სხვა მეფე დაესვათ — კაცი, რომელიც მათ ჭკუაზე ითამაშებდა. ასეთი პიროვნება ფარსთა მეფე აღმოჩნდა. თუ არ გვეცოდინება ვინ არიან მიდიელები, ვერ მივხვდებით დღეს საქმე ვისთან გვაქვს. მიდიაში იგულისხმება ქვეყანა, რომელიც მედეამ დააარსა. როცა მედეა საბერძნეთიდან წამოვიდა, იგი დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე არ დაბრუნებულა, იგი მიდიას ტერიტორიაზე დაბრუნდა, მეორედ გათხოვდა, შვილები ეყოლა და მიდიას სახით სახელმწიფო შექმნა, სადაც მამაღმერთია მთავარი. მიდიას ემორჩილება ფარსებიც, სპარსებიც და მიდიელებიც. იმ დროს არ არსებობდა სპარსული დამწერლობა, ყველა სამეურნეო დოკუმენტი ქალდეურ ენაზე დგებოდა. რატომ გამოჰყავთ მაინცდამაინც მე-3 საუკუნეში მედეა შვილების მკვლელი და არა მთელი 9 საუკუნის შემდეგ? ბიბლიის პოვნაც ამ პერიოდს ემთხვევა. საქმე ისაა, ეს მე-6-მე-7 საუკუნემდე რომ გაეკეთებინათ, ღვთისშვილები მათ არ აპატიებდნენ. მაშინ თავად ისინი იყვნენ მმართველები და ბერძნებს ფაქტების გამრუდებაში დასჯიდნენ. ღვთისშვილები მსოფლიო მმართველი ელიტა იყო ძვ.წ VIIს. შემდეგ ისინი მასობრივად ამოხოცეს, მცირე ნაწილი დარჩა და დანარჩენებში გაითქვიფნენ. კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი — ეგვიპტის მაცხოვრებლები მემფისს იცით რას ეძახიან? — ხათ-კა-პტახ, რაც ნიშნავს — ხათიდან მოვიდა მაცნე და სალოცავი პტახი მოიტანა. პტახს თუ დავუკვირდებით, ეს ნიშნავს — ხატად უფლის (ნუგეშისმცემელი). ეს მამაღმერთის სალოცავია ეგვიპტეში. ამას ხომ ვერსად გაექცევიან. ევროპულ ლიტერატურაში არის სიტყვა მითრა — ეს ისევ ღვთისშვილობასთან კავშირშია. მითრას ოდნავ შევაბრუნებ და მივიღებთ ნ.თ.რ-ს, რაც ყველა ლიტერატურაში, ძველ ოსმალურშიც ფიცს ნიშნავს. ანუ მითრას როცა ვამბობთ, აქ გვირგვინს ვგულისხმობთ და მის ქვეშ ფიცით შეკავშირებულობას.

## უფალი და პლანეტების მოძრაობა

წმინდა ნინომ კერპები დაამსხვრიაო, ხომ ვამბობთ. ეს კერპები იყო გაც, გა და არმაზი. გაც ნიშნავს ორეულს. წელან პტახში რაც ვახსენე. იგულისხმება, რომ ყველა ადამიანი თავის წინაპრის განმეორებაა. გაც — წინაპარია (მფარველი ანგელოზი), ანუ გაც — ღვთისშვილებია, ისინი ვისი ორეულებიც ჩვენ ვართ. გა — არის მამაღმერთი (დავიწყებულია) და არმაზი — არის ძე ღმერთი (მთვარე). იმიტომ ამბობენ ქრისტეზე — ძე ღვთისა, ძე კაცისა. არმაზიც ანბანური ჯამია ერთიდან 38-მდე. გა (741) — მთას ნიშნავს, რომელშიც იგულისხმება უფალი — მთა — მებრძოლი, მთა — ხეგრძელი. მთა — მებრძოლი, ანუ სადაც იბრძოდი. ღვთისშვილები ზოგან ბრძოლით შედიოდნენ, ზოგან ჭკუით. სახარებაში წერია, რომ მამის პატივისცემა დაივიწყეს და ქრისტე იმიტომ მოვიდა. ყველა სხვადასხვა ფუძის ანგელოზებს და პლანეტებს სცემს პატივს. უფლის ბუნებას რომ ჩავწვდეთ, პლანეტების მოძრაობა და მისი ბუნება უნდა ვიცოდეთ. პირველი ცა მთვარისაა, მეორე — ვენერა, მესამე — მერკური, მეოთხე — მზე, მეხუთე — მარსი, მეექვსე — იუპიტერი, მეშვიდე — სატურნი. ადამიანის გონება მხოლოდ მეშვიდე ცამდე სწვდება. მერვე ცა — ვარსკვლავებსა და მეცხრე — ანგელოზების.

## რატომ არ აქვთ ბერძნებს ვ და ჟ ასო?

ბერძნებს ანბანში ვ და ჟ ასო ანუ 6 და 90 ამოგდებული აქვთ. რატომ? — ვ დროისა და სივრცის აღრიცხვასთან კავშირშია — მეექვსე პლანეტა — იუპიტერსა და მთვარეზეა დროის აღრიცხვა ჩაბარებული. რადგან ბერძნები დაბნელებების კანონზომიერებას არ ცნობენ, მათ ეს ჟ ასოც არ სჭირდებათ ფილოსოფიურად თქვეს კიდეც — ყველაფერი შემთხვევით ხდებაო. აქედან გაჩნდა ფილოსოფიაში აუცილებლობისა და შემთხვევითობის პრინციპი. 18 წელი ერთ ადგილზე რომ ვიდგე ერთხელ მაინც მოხდება დაბნელება, ანუ კანონზომიერება ითქვა, რომლის გამოცნობაც მხოლოდ ღვთისშვილებმა იციან, სხვა ხალხებში ეს არ არის. ამიტომაც არ აქვთ ჟ-ასოც. დღეს ჩვენს ფილოლოგებს ჰგონიათ ჟ ასო ქართული ფენომენი არაა. მათ არ იციან, რა დგას ჟ ასოს უკან — ანუ მის უკან ღვთისშვილობა, მისი მეცნიერული ცოდნა დგას, რომელთაც იციან, რომ დაფარული უნდა გამჟღავნდეს. ბერძნებმა არ იციან, დაფარული როგორ უნდა გამჟღავნდეს, ამიტომ არ სჭირდებათ ჟ ასო.

წელან ვახსენე, კიროსმა ეზრა გამოუშვა და ახალი კასტის შექმნა დაავალა, რომელსაც დღეს ებრაელებს ვეძახით. ებრაელები არ არიან ერთი მონო ერი, ეს უფრო სარწმუნოებაა, რომლებმაც ღვთისშვილობიდან ბევრი საწყისი აიღეს და თავიანთ კონცეფციას მოარგეს. აქ ერთი საინტერესო დეტალია. ვინ არიან ეს სადუკეველები, რომლებიც ეზრას თან გამოჰყვნენ? ესაა მცირე კასტა, რომელთაც დიდი ფული და ძალაუფლება გააჩნდათ. იმიტომ, რომ ფარსთა მეფეებს აღარ სჭირდებოდათ თავიანთ ტერიტორიაზე „ამრევები“. ისინი გამოუშვეს, ფულიც მისცეს და უთხრეს — წადით, რაც გინდათ გააკეთეთ, ჩვენს ტერიტორიაზე თავი დაგვანებეთო, ესაა მათი კონცეფცია.

ყრმა ნიშნავს — ყ-რ=8-ს, მე-8 დღეს ხდება დაწინდვა, მე-40 დღეს მიჰყავთ ეკლესიაში, თან ანბანური ჯამია 741. ხათე არის ისევ ანბანის ჯამი — 59 995. ამიტომაცაა რომ ზოგადი სახელი ამ ღვთისშვილების ხათეა. მეგრულში დღესაც სტუმარი როცა მიდის — ხათე მოვიდაო — ამბობენ. ანუ ეს ნიშნავს ღვთისშვილი (უფლის კაცი) მოვიდაო. აქვე ერთსაც გეტყვით, ეგვიპტის ფარაონთა XII დინასტიის ფუძემდებელია ამენემ ხეთი. იგი ჭეშმარიტად ხათიდანაა — უფლის წინ მდგომი. ამენე ამინ-ს ნიშნავს.

## აპოკალიფსი დაწყებულია და 3200 წელს გაგრძელდება

ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერად ხდება. პერიოდულად, პლანეტები გარკვეული კანონზომიერებით ეკლიპტიკაზე ბუნიობის წერტილის მახლობლობაში უნდა განლაგდნენ. ანუ როცა ისინი ერთ ხაზზეა განლაგებული, ამ დროს ტოლქმედები ან უმცირესია ან უდიდესი. ორ უკიდურესობაში ხვდება როგორც მიწისძვრები, ისე წარღვნა. ამას 1200-წლიანი ციკლი გააჩნია. მარტივად ვიტყვი, წარღვნა ძვ.წ. დაახლოებით, 2800 წელს მოხდა. 2400 წლის შემდეგ ქუჯი და ფარნავაზი ქმნიან საქართველოს ერთიან იბერიულ-კავკასიურ სახლს. ამ პერიოდში უკვე ღვთისშვილობა სხვაგან ყველგან დავიწყებულია და მარტო ამ არეალშია. გადმოვიდეთ კიდევ 1200 წლით ადრე, მე-8-მე-9 საუკუნის მიჯნაზე — ბაგრატიონები იწყებენ ისევ ახალი სახელმწიფოს შექმნას. გადმოვიდეთ ისევ 1200 წელი — დადგა მიჯნა. ის რომ აპოკალიფსია მოსული, სხვანაირადაც შეიძლება ვთქვათ, ქრისტე საფლავში 15 საათი და 48 წუთი იყო. 89-ე ფსალმუნში წერია — უფლისთვის 1000 წელია ერთი დღე და ღამის მესამედი, ანუ 1 საათი დაახლოებით 125 წელია (უფრო ზუსტად 128,2წ.). 125 წელი, ეს იგივე ბუნიობის ერთი დღით გადაწევაა. 15 საათი და 48 წუთი. ამ ნორმას თუ გამოვიყენებთ, წესით აპოკალიფსი 2008 წელს, ხარებას დაიწყო და დაახლოებით, 3200 დღე გაგრძელდება, ანუ 2017 წელს, წყალკურთხევას დასრულდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წლის 13 მარტს ეშმაკი უკვე ჩამოვაგდეთ.

მოამზადა **თამარ შველიძემ**
555 23 28 24

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# სოჭი-2014: თვალთვალი იქნება „ინვაზიური და მეთოდური“, მაგრამ საჭირო

**სოჭის ოლიმპიადის მიმდინარეობისას, ნებისმიერი ონლაინ-კონტაქტი და ქსელში ნებისმიერ მოქმედება ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის მაქსიმალურად გამჭვირვალე იქნება – ასეთია ჟურნალისტური გამოძიების შედეგი. თამაშების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის კონტრდაზვერვის უფროსი ოლეგ სირომოლოტოვი და შესაბამისად, პროვაიდერები თითის წვერებზე დადიან. დასავლური მედია გაოცებას ვერ მალავს „ოლიმპიური კორუფციის“ გამო და იმითაც, რომ ჯერ არც ერთი სახელმწიფო მოხელე არ დაუსჯიათ.**

ტერორიზმის საფრთხე და კრემლის პარანოია რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს აიძულებს, მოსმენების უპრეცედენტო სისტემა შექმნან, ამტკიცებენ **The Guardian**-ში დაბეჭდილ წერილში ანდრეი სოლდატოვი, ირინა ბოროგანი და შონ უოკერი. სწორედ სოლდატოვმა და ბოროგანმა **CitizenLab** და **Privacy International**-თან ერთად ჩაატარეს ჟურნალისტური გამოძიება.

სოჭის ოლიმპიადის უსაფრთოების უზრუნველსაყოფად, ეფესბე-ს კონტრდაზვერვის უფროსად ოლეგ სირომოლოტოვი ჯერ კიდევ 2010 წელს დანიშნეს. ეს ქვედანაყოფი არასოდეს ყოფილა დაკავებული კონტრტერორისტული საქმიანობით – მხოლოდ „უცხოელ ჯაშუშებზე ნადირობდა“.

ეფესბე-ს უწინარესად კიბერსაფრთხეები აშფოთებს, ამიტომაც **COMP**-ის (ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ფუნქციების უზრუნველსაყოფი ტექნიკური საშუალებების სისტემა) მოდერნიზაციას ცდილობენ. ეს არის ინფორმაციის მოხელთების ძირითადი რუსული სისტემა. **Ðî ñêî ì í àäçî ð**-ის შესყიდვებისა და ტენდერების დოკუმენტებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის ხელისუფლება მაქსიმალურად თვალყურს ადევნებს, რამდენად შეესაბამება სტანდარტებს სოჭის რაიონში დამონტაჟებული **COMP**-ის მოწყობილობა. ადგილობრივი რამდენიმე ინტერნეტ-პროვაიდერი უკვე დააჯარიმეს კიდეც იმის გამო, რომ მათ ამ სისტემისთვის განკუთვნილი ეფესბე-ს რეკომენდაციით შეთავაზებული დანადგარი „ომეგა“ დროულად არ დაამონტაჟეს.

ზაფხულში **Ðî ñòåëåêî ì**-მა სოჭის მიდამოებში აამუშავა მობილური ქსელი **4G LTE**, რომელიც ოლიმპიადების ისტორიაში **Wi-Fi**-ზე ყველაზე სწრაფ წვდომას უზრუნველყოფს. დამატებითი ტექნიკური საშუალებები ეფესბე-ს საშუალებას აძლევს, თვალი გაადევნოს მთლიანი ინფორმაციის მოძრაობას და იმავდროულად გაფილტროს კიდეც იგი.




გამოცემა აღნიშნავს: სოჭის სტუმრებს, როგორც ჩანს, ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ მათ ინფორმაციას უდიდესი კომპანიების დაშიფვრის თანამედროვე მეთოდებით დაიცავენ. როგორც გაირკვა, რუსეთის კავშირგაბმულობის სამინისტროს ახალი წესების თანახმად, ინტერნეტ-პროვაიდერებისთვის დაწესდა **COMP**-ის ახალ წესები; მათ შორის მოხსენიებულია დასავლეთში განთავსებული ისეთი დიდი სერვერები, როგორებიც არის **Gmail** და **Yahoo**.

სპორტსმენები და მათი გულშემატკივრები, თამაშების ისტორიაში პირველად, თვალთვალის ყველაზე აგრესიულ და მეთოდურ სისტემას შეეჩეხებიან, წერს შონ უოკერი **The Guardian**-ში დაბეჭდილ სხვა წერილში. სახელმწიფო შესყიდვებისა და რუსეთის სამეთვალყურეო უწყებების ვებ-გვერდებზე განთავსებული დოკუმენტაციით, სოჭის რაიონი სატელეფონო და უსადენო კავშირის ისეთი სისტემებით არის აღჭურვილი, რომლებსაც ინფორმაციის მოპოვების უსაზღვრო შესაძლებლობა გააჩნია.

ტორონტოს უნივერსიტეტის ამ დარგის სპეციალისტები განმარტავენ, რომ რუსული და ამერიკული სისტემების მასშტაბი თავსებადია, თუმცა მათ რეგულირებაში მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

კანონის თანახმად, რუსეთში მოქმედი ყველა ფიჭური ოპერატორი და ინტერნეტ-პროვაიდერი ვალდებულია, დაამონტაჟოს **COMP**-ის მოწყობილობა, რაც ეფესბე-ს მისცემს საშუალებას, მოისმინოს ნებისმიერი სატელეფონო საუბარი და კავშირის ნებისმიერი სეანსი და ამის შესახებ მომსახურების მიმწოდებელს არ აცნობოს.

ეფესბე-ში უარყოფენ ინფორმაციას სოჭის თამაშებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაგეგმილი მოჭარბებული ზომების შესახებ და მაგალითად მოჰყავთ ლონდონის ოლიმპიადა: „ქუჩები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ტუალეტებიც კი, ვიდეოთვალის კამერებით იყო სავსე. ჩვენთვის ეს გზა მიუღებელია“.

„2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მიზანია ქალაქ სოჭის აღორძინება და უცხოეთში რუსეთის იმიჯის გაუმჯობესება, აგრეთვე პუტინის ძირითადი მემკვიდრეობის წარმოჩენა“, – ვკითხულობთ თჰე **Independent**-ში. ოლიმპიური ჩირაღდანი მოსკოვში აგიზგიზდა, მაგრამ ყოვლისმომცველი კორუფცია და მუშათა უფლებების დარღვევები ჩრდილს აყენებს სოჭის თამაშებს.

სექს-უმცირესობების უფლებათა დამცველები სოჭში გეი-აღლუმის გამართვას ოლიმპიადის გახსნის დღეს გეგმავენ. გამოცემა აქვეყნებს **Human Rights**-ის მონაცემებსაც, რომლებიც „სოჭიში მიგრანტი მუშების მასობრივ ალყაში მოქცევას“ ეხება. გაზეთის კორესპონდენტი დიდ ყურადღებას უთმობს ოლიმპიური მშენებლობის დანახარჯებს და თანამდებობისა და ვითარების ბოროტად გამოყენებას.

„მშენებლობის უხარისხობა და სულ უფრო მზარდი ხარჯი ზიანს აყენებს ოლიმპიურ ინფრასტრუქტურას. სათხილამურო ტრამპლინი რამდენჯერმე გადააკეთეს და მისი ფასი 25 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან 165 მილიონამდე გაიზარდა“, – წერს ავტორი. ასეთივე მდგომარეობაა რკინიგზაზე, რომელიც სანაპიროზე და მთაში განლაგებულ რაიონებს ერთმანეთს უკავშირებს – მისი ხარჯი 1,8 მილიარდიდან 5,2 მილიარდ სტერლინგამდე გაიზარდა. ეს უფრო მეტია, ვიდრე მთვარემავალ **Curiosity**-ზე დახარჯული თანხა.

# ევროკავშირსა და რუსეთს შორის გამალებული „ცივი ომია“

რუსეთსა და ევროპულ სტრუქტურებს შორის დაძაბულობა მატულობს. რუსეთი წინააღმდეგია, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებმა (საქართველომ, სომხეთმა, უკრაინამ და მოლდოვამ) ხელი მოაწერონ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და ცდილობს, ხელი შეუშალოს ევროპასთან მათ დაახლოებას. კრემლი იმუქრება, რომ გაართულებს ენერგოშემცველების მიწოდებას, წინააღმდეგობას უწევს საქონელბრუნვას; მაგალითად, ემბარგო დააწესა მოლდოვურ ღვინოზე, ახლა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან რუსეთში შეტანილ რძის პროდუქციას იწუნებს, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოსთვის დაწესებულ მრავალწლიან ემბარგოზე, რომელიც სულ რამდენიმე თვეა, ნაწილობრივ მოიხსნა.



გარდა ამისა, რუსეთი ართულებს იმ ქვეყნების მოქლაქეთა შრომით მოწყობას, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოებას ესწრაფვიან. ევროპა ჩართულია ამ პროცესში და თავის პოზიციას სხვადასხვა პოლიტიკური დოკუმენტით გამოხატავს: ეს შეიძლება იყოს ევროპარლამენტის რეზოლუციები, რომლებშიც მოსკოვს სხვა ქვეყნებზე ზემოქმედების გამო კიცხავენ, აგრეთვე ევროკავშირის გაფართოებისა და კეთილმეზობლობის პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულეს ან ევროპული დიპლომატიის მეთაურ ქეთრინ ეშტონის მკაცრი გამოსვლები. სიტყვებს შესაბამისი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. ევროკავშირმა უკვე განაცხადა, რომ თავის ბაზარზე დაუშვებს მოლდოვურ ღვინოს, რაზეც რუსეთმა უარი განაცხადა, აგრეთვე, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ უკრაინასა და მოლდოვას საწვავი ევროპისთვის განკუთვნილი გაზსადენიდან მიეწოდოს.

ადრე რუსეთს შეეძლო, გადაეკეტა ნავთობის ან გაზის ონკანი, ევროპის სახელმწიფოები კი მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ და მკაფიოდ არ გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას. ახლა კი, თითქოს ვითარების გამწვავებასაც არ ერიდებიან.

ამის მიზეზი ის არის, რომ ევროპა უკეთ ჩაწვდა რუსულ პოლიტიკას. გარდა ამისა, რუსეთსა და ბრიუსელს ბევრი საკამათო საკითხი დაუგროვდათ (ადამიანის უფლებების დაცვა, არაკომერციული ორგანიზაციების მდგომარეობა, ენერგეტიკასთან დაკავშირებული არაერთი თემა) და ევროკავშირი ამ კონფლიქტის მხარეა და არა მხოლოდ დამკვირვებელი. რუსეთი „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებს არ თმობს და ამიტომაც ევროპამ მოქმედების სხვა ტაქტიკა აირჩია. რუსეთის მიმართ მიმტევებლური დამოკიდებულება შეიცვალა, რადგან მოსკოვის პოლიტიკა უფრო აგრესიული გახდა.

ევროპა რუსულ ენერგორესურსებზე სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული ხდება. ევროკავშირის ქვეყნები ახალ წყაროებს ეძებენ და პოულობენ კიდეც, აქტიურად ავითარებენ ენერგეტიკის ალტერნატიულ საშუალებებს.

დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტის პირველხარისხოვანი ველი ახლა სირიაა. თუ რუსეთის პოზიცია არ შეიცვლება, მოსკოვსა და ბრიუსელს შორის „ცივი ომი“ კიდევ უფრო გაძლიერდება.

აისახება თუ არა ეს ომი ნოემბერში ვილნიუსში დაგეგმილ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტზე, რომელსაც დიდი იმედით შეჰყურებენ საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი?

აშკარად ჩანს, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამაში გაჩნდა ორი ჯგუფი: პირველი ევროკავშირის გზას ადგას – ესენია, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, და მეორე, რომელიც შორდება მას – აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსი.

ევროკავშირის ყურადღების ცენტრშია პირველ ჯგუფში შემავალი ქვეყნები, რომლებსაც ამ პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი საშუალებების დიდ ნაწილს მოახმარს, ხოლო სხვა ქვეყნები ამ ეტაპზე ყურადღების მიღმა დარჩებიან.

სავარაუდოდ, სომხეთი ევროკავშირთან პარაფირების ხელშეკრულებას ველარ შეძლებს, რადგან მან რუსეთთან საბაჟო კავშირი ამჯობინა. რუსეთი უკრაინაზე ზემოქმედებას აძლიერებს, რაც ევროკავშირის მხრიდან უკუქმედებას ბადებს, ამიტომაც უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმებას ხელი მოეწერება. რაც შეეხება საქართველოს, ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან პარაფირების შეთანხმებას უნდა ველოდოთ.

# საქართველოს ცდილობს, რუსეთს ევროპულ სასამართლოში მაინც მოუგოს

**ამ დღეებში სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლო აპირებს, გამოაქვეყნოს საბოლოო გადაწყვეტილება 2006 წელს რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის შესახებ. თუ სასამართლო საქართველოს სასარგებლო ვერდიქტს გამოიტანს, მაშინ ეს იქნება ირიბი პასუხი რუსეთის „მცოცავ ანექსიაზე“. სწორედ ასე მოიხსენიებენ საქართველოში იმ პროცესს, რომლის დროსაც რუსეთის მესაზღვრეები სამხრეთ ოსეთის საზღვარს მავთულხლართებით შემოსაზღვრავენ.**



**იქნებ საქართველომ ამჯერად მაინც მოუგოს რუსეთს, ერთგვარად შური იძიოს კიდეც მასზე.**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობაზე ათი წლის განმავლობაში მუშაობდა, ახლახან სტრასბურგს ეწვია და პირადად დაინტერესდა ქართველთა დეპორტაციის საკითხით. მისი თქმით, ადამიანის უფლებების სასამართლოს ამ თემასთან დაკავშირებული ყველანაირი დოკუმენტაცია გააჩნია. მინისტრის ნათქვამში ოპტიმიზმის განწყობა იგრძნობა.

2006 წელს მოსკოვმა არალეგალურად მცხოვრებ ქართველთა დეპორტაცია მოახდინა. ეს იყო საპასუხო რეაქცია თბილისის ქმედებაზე, როცა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ოთხი ოფიცერი ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. სკანდალი გამძაფრდა, რის შედეგადაც საქართველოს დაახლოებით 3 ათასი მოქალაქე იძულებული გახდა, რუსეთი დაეტოვებინა. საქართველოში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ამ საკითხის მოგვარებით დაკავდა. დეპორტირებული მოქალაქეები დაჰკითხეს და თავმოყრილი მასალა სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლოს გაუგზავნეს. რუსეთის მხარის განცხადებით, ეს საჩივარი არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური, რადგან საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან, თავიანთი დეპორტაცია რუსეთის სასამართლოში გაასაჩივრონ.

რუსეთის უკმაყოფილების მიუხედავად, სტრასბურგში პირველი მოსმენა 2011 წელს გაიმართა. ახლა კონფლიქტის ორივე მხარე ვერდიქტის მოლოდინშია. საქართველოს ხელისუფლება დარწმუნებულია გამარჯვებაში, რის შემდეგაც აპირებს, მოსკოვს მატერიალური კომპენსაცია მოსთხოვოს.

ბევრი ანალიტიკოსის მოსაზრებით, ეს გამარჯვება, უწინარესად, საქართველოს ხელისუფლებას იმ თვალსაზრისით სჭირდება, რომ იგი შესაძლოა, ორ ქვეყანას შორის გაჭიანურებულ წარუმატებელ ურთიერთობაში პირველი აღმოჩნდეს.

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**







## თავსატეხი

ვერტიკალურად: აფიშა, აკიბა, ალიბა, აქრობა, აფიშა, გოშია, დარჯი, დიუმა, იბეკეკა, მეუყო, ნიაკა, რეზიკა, ტოიციბ, ძაბრი,

ჰორიზონტალურად: აგარა, ანდრო, ბურდი, გეიშა, ელისი, გაფელი, ზუთხა, ილეთა, იარდი, კლარა, ლორკა, მუორბა, ოვალი, პაბლო, საზმა, ტეიში, ტუშბოი, ქეთევა, ნიკეა, ცოცხი, ძიძია, ხორემი, ჯანგი.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. ელქანი, სალამი, ბეჭონი. 2. ბოკალი, შეგალი, კალონი. 3. მუცელი, მიზაკი, მერანი. 4. ხარეფა, ნაღმი, ტალკი. 5. ფონტა, ზერზი, ცემენტი. 6. ბიჩია, რანგი, ნარინი. 11. კიმბილი, სინტონი, მერკელი. 12. ზეუნგა, ნიაგარა, ბანდიტი. 13. საბეკი, ფაფახი, ზაბვა. 14. კატერი, ლოტერი, ნოდარი. 15. პიპეტი, სალამი, კალამი. 16. ბოზოლა, ბიბისი, მერეგი.

ჰორიზონტალურად: 3. კატალოგი, მეტაფორა, ფალავანი. 7. ჯუჯელი, ნადელი, მეხარი. 8. ხელოსანი, პატეფონი, მუყაყული. 9. კოსტეა, სალარი, პაგოდა. 10. კარტინი, კაიშანი, კემბრი. 13. ტელეფა, პეპელა, სოლიკო. 17. პასტელი, გურიანი, კეხტარი. 18. ზაზუნა, სალონი, ბარელი. 19. კრაზანა, ფრეგატი, გრეჩიხა. 20. თიხური, პილოტი, ჯეჯილი. 21. ტროტუარი, კრაბი ტოტი, სპორტი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 16 | ■ | 26 | ■ | 23 | 5 | 10 | 14 | 17 | 4 | 7 |
| 6 | 1 | 16 | 17 | 14 | 7 | ■ | 8 | ■ | 3 | ■ | 26 |
| ■ | 27 | ■ | 32 | ■ | 28 | 8 | 28 | 31 | 7 | ■ | 5 |
| 24 | 1 | 9 | 6 | 2 | 7 | ■ | 6 | ■ | 9 | ■ | 14 |
| ■ | 4 | ■ | 6 | ■ | 9 | 5 | 14 | 9 | 5 | 3 | 7 |
| 33 | 7 | 3 | 17 | 31 | 7 | ■ | 7 | ■ | ■ | 17 | ■ |
| 1 | ■ | 1 | ■ | 6 | ■ | 11 | ■ | 13 | 1 | 21 | 7 |
| 29 | 5 | 14 | 18 | 7 | ■ | 5 | 3 | 7 | ■ | 23 | ■ |
| 1 | ■ | 32 | ■ | 26 | ■ | 14 | ■ | 6 | 20 | 7 | 6 |
| 3 | 17 | 1 | 16 | 6 | 4 | 32 | 7 | ■ | 17 | ■ | 3 |
| 5 | ■ | 14 | ■ | ■ | ■ | 7 | ■ | 30 | 7 | 30 | 5 |
| ■ | 22 | 7 | 3 | 7 | ■ | 3 | ■ | ■ | 10 | ■ | 19 |
| ■ | 1 | ■ | 1 | ■ | 12 | 7 | 14 | 32 | 5 | 3 | 7 |
| 32 | 4 | 5 | 20 | 17 | ■ | ■ | 1 | ■ | 14 | ■ | ■ |
| ■ | 7 | ■ | 6 | ■ | 31 | 4 | 17 | 2 | 7 | 3 | 7 |

ა-5, ბ, გ, დ, ე-17, ვ, ზ, თ, ი 7, კ, ლ-3, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ 4, ს, ტ, უ 8, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ-33, ჰ



„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

**— რას ნიშნავს დისკრეციული უფლებამოსილება?**

— ეს გახლავთ უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

* * *

**— ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირი დაპირება არის თუ არა სავალდებულოდ შესასრულებელი?**

— კითხვა ცოტა გაუგებარია. ასეთი სახის დაპირება არ არსებობს.

ადმინისტრაციული დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

* * *

**— ჩემი შვილი და რძალი განქორწინდნენ. ამჟამად მათ შორის დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მათმა არასრულწლოვანმა შვილებმა. რა შეიძლება მოხდეს სამართლებრივად?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით,თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით,შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლო განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

* * *

**— დედას ქმრის ოჯახმა ბავშვი წაართვა და ნახვის საშუალებას არ აძლევს. როგორ მოვიქცეთ?**

— თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და სარჩელით მოითხოვოთ, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს თქვენი საცხოვრებელი მისამართი. სანამ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ განცხადებით სასამართლოს, განგისაზღვროთ ბავშვის ნახვის დღეები და საათები. სავარაუდოდ, აღნიშნული საკითხის დარეგულირება სასამართლოს მიერ მოხდება ბავშვის მამასთან შეთანხმებით.

* * *

**— ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. მეუღლეს სურს ჩემთან განქორწინება. ვრჩები ულუკმაპუროდ. მე მუშაობა არ შემიძლია. მშობლებიც გარდაცვლილი მყავს. ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო მეუღლე. რის გაკეთება შემიძლია სამართლებრივად? რას მირჩევთ?**

— საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში თქვენ განიჭებთ მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლებას. კერძოდ;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1129-ე მუხლის მიხედვით, იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

ჩემი, როგორც იურისტის რჩევაა, ეს საკითხი აუცილებლად დააყენოთ შესაბამის შესაგებელში, რომელიც წარმოადგენს თქვებს პასუხს სარჩელში დაყენებულ მოთხოვნებათან დაკავშირებით.

* * *

**— შეიძლება თუ არა სასამართლო ხარჯების გადავადება ან შემცირება კანონის მიხედვით?**

— შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარე გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ან შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

* * *

**-შეიძლება თუ არა ქონებრივი დავა განიხილოს არბიტრაჟმა?**

-შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

* * *

**-ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131- მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს

## საქართველოში დაბრუნებული ფერეიდნელი ქართველების

# განცხადება



ოთხასი წლის წინათ ჩვენი წინაპრები იძულებით იქნენ გადასახლებულნი ირანში, კერძოდ, ფერეიდანში — პატარა საქართველოში, სადაც, მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა და ზეწოლისა, ქართველებმა შევძელით ეროვნული თვითმყოფადობისა და მშობლიური ენის შენარჩუნება.

ყოველი ფერეიდნელის ოცნებაა საქართველოში დაბრუნება და დამკიდრება, მომავალი თაობების ქართულ, ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდა. სწორედ დღეს დადგა ეს ნანატრი დრო, ჩვენ ოჯახებით დავუბრუნდით ჩვენს მამა-პაპურ სამშობლო — საქართველოს, რათა ჩვენმა შვილებმა ქართულ ენაზე მიიღონ განათლება და ქართულ ტრადიციებზე ააგონ თავიანთი მომავალი.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ირანის მოქალაქეთა საბანკო ანგარიშების გაყინვის შესახებ მიღებულმა კანონმა უდიდესი ფინანსური და მორალური დარტყმა მოგვაყენა საქართველოში დაბრუნებულ ფერეიდნელ ქართველებს. ხელი შეგვიშალა ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევაში. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თქვენი თანადგომა და დახმარება ამ საკითხში არის ერთადერთი პოზიტიური გამოსავალი. ჩვენ გვჯერა თქვენი გულისხმიერებისა და უდიდესი პატრიოტიზმის და მოგმართავთ, როგორც ქართველი ერის მამას, გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი გასაჭირი და გაგვიწიოთ დახმარება აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

**ღრმა პატივისცემით,**
**ფერეიდნელი ქართველების სახელით**
**ა. ბათუაშვილი**


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**


# Tamaz fircxalavas gaxseneba



უკვე 40 დღე გვაშორებს ერთმანეთს. თითქმის 10 წელი ვებრძოდით შენთან ერთად უკურნებელ სენს. ბოლოს მაინც მარადისობამ გაიმარჯვა. უდიდესი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვე. ცარიელია სახლი შენს გარეშე. ახლა ვიგრძენით, რომ სარეცელს მიჯაჭვულიც კი ავსებდი ყველაფერს.

გვენატრები.

ვევედრებით უფალს, შენი სული დაამკვიდროს უფლის მიერ მიტევებულთა შორის.

მეუღლე, და, შვილები,
დისშვილები, შვილიშვილები.

# ნყშიოზეჭი

## რა დააშავეს არტისტებმა?

**კახა კახაბრიშვილი (საქტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე, რეჟისორი):** სკოლის დამთავრების შემდეგ კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. არ ვიცოდი და თურმე იმ წელს ამ ფაკულტეტზე მიღება არ იყო. რას ვიზამდი, წამოსვლა დავაპირე. თეატრალურის კარებთან სტუდენტი დამაწიეს: მობრუნდეს, უნდა დაველაპარაკოთო. ლექტორებმა ჩემი საბუთები კიდევ ერთხელ გადაათვალიერეს: პარაშუტისტი, კალათბურთელი, ფრენბურთელი, კარგი მოსწავლე. მსახიობობა არ გინდაო? — შემომთავაზეს. არა-მეთქი, — შევიცხადე. თურმე აკაკი ხორავა ზის იქ.

— შვილო, რა დაგიშავეთ არტისტებმაო? და აკაკი რომ დავინახე, სულ გავთავდი. ნიჭი არ მაქვს-მეთქი, წავილუღლუღე. იქნებ გეცადაო, — მითხრა. ვიღაც ქალმა ჩამჩურჩულა: ჯარში არ წაგიყვანენო. ასე გადავწყვიტე მსახიობობა. გამოცდაზე ვცდილობდი აკაკი ხორავასთვის მიმებაძა, ხმას ვიბოხებდი და ისე ვკითხულობდი: „ჰეი, თქვენ, არაგველებო“, დავხოცე ხალხი სიცილით. ჩავაბარე, მაგრამ მე მაინც სარეჟისოროზე მინდოდა გადასვლა და ერთხელაც ცხონებულმა კუკური პატარიძემ, მარჯანიშვილის მოწაფემ, დიდებულმა რეჟისორმა, როცა ვკითხე, რატომ მიმიღეთ სამსახიობოზე, მე ხომ მსახიობის ნიჭი არ მაქვს-მეთქი, მითხრა: შვილო, შენი საბუთები რომ ვნახეთ, რომ გაგესაუბრეთ, მივხვდით, შენნაირი ადამიანი გამოადგება თეატრს, რადგან თეატრს მხოლოდ კარგი მსახიობი და რეჟისორი კი არა, განათლებული და თეატრის მოყვარული დირექტორიც სჭირდებაო. ასე ფიქრობდნენ მომავალზე.

## ინტერვიუ მიცვალებულთან

**ვახტანგ კობაიძე (რედაქტორი, კომენტატორი, სპეციალური კორესპონდენტი):** სახელს და გვარს არ ვიტყვი, ერთ ჟურნალისტ გოგონას დაავალეს, უნდა გააკეთო სიუჟეტი ელენე ახვლედიანზეო. ლამის მთელი ტელევიზია გადაატრიალა, ეძებდა ტელეფონის ნომერს, რომ დაერეკა ელენე ახვლედიანთან და ინტერვიუზე დაეთანხმებინა.

## ვერიკოს ნაცნობი ტაქსისტი

**კახა კახაბრიშვილი (სხვადასხვა დროს საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის რედაქტორი, კორესპონდენტი):** ერთმა რუსმა ჟურნალისტმა მითხრა ერთხელ: უცნაური ხალხი ხართ. ჩამოვედი, რომ სიუჟეტი გავაკეთო ვერიკო ანჯაფარიძეზე. ტაქსის მძღოლს ვითხარი მისამართი. მიმიყვანა, იქ არ ცხოვრობს, არც აქ, ახლა სხვა მისამართზე მივედით, არც



იქ არის, დავდივართ ასე, დავატარებ ამ ტაქსისტს, ბოლოს მკითხა: მითხარით, ვის ეძებთ, იქნებ მე ვიცი მისამართიო?! ვერიკო ანჯაფარიძეს ვეძებ-მეთქი. ეგრე გეთქვა, ადამიანოო, მითხრა და მიმიყვანა ვერიკო ანჯაფარიძესთანო.

## სტუმრად ეროსისთან

**კახა კახაბრიშვილი:** ტელეფილმების სტუდიაში ხშირად გვსტუმრობდა ეროსი მანჯგალაძე. ერთხელ მითხრა: კახუნა, ოქრო, თუ სპექტაკლი არ მაქვს ან რეპეტიცია, ყოველ საღამოს 7 საათიდან სახლშივარო. კარებზე გამოუშვი ერთი გრძელი და ორი მოკლე ზარიო. წავიდა ეროსი და თეატრმცოდნე ნათელა არველაძე მეტაკა: შენ იცი, მაგან რა გითხრა? არა-მეთქი. მეგობრად გაღიარა, რაკი სახლში დაგპატიჟა, აუცილებლად მიდიო.

მეორე დღეს ვიყიდე შამპანური, შოკოლადის ბამბანერკა და ზუსტად 7 საათზე დავრეკე ერთი გრძელი და ორი მოკლე ზარი.



გააღო კარი.

— ვინ დაგიბარა? — მკითხა.

რომ შევცბი, გამიღიმა — მოდი-მოდიო და სახლში შემიყვანა.

სახლში იყვნენ მისი ბავშვობის მეგობარი რეზო ტაბიძე და მსახიობი ვიქტორ ნინიძე, ერთობიან, ჭადრაკს თამაშობენ და კარტს.

— საპატიო სტუმარი გვესტუმრაო, — უთხრა ეროსიმ თავის მეგობრებს და დაიწყო სუფრის გაშლა.

ეროსის ტრადიციული სუფრა ასეთი იყო: მოხარშული ტარანი, ღომ-ჭადი, ფარში ჰქონდა სულ, თავისი ხელით აკეთებდა კატლეტს, კიტრი და პამიდორი, ყველი, ჩეხური ლუდი, ვისკი.

მე ვზივარ წყნარად.

ოთახში შემოვიდა ვიქტორ ნინიძე. შემომხედა და მანიშნებს, ადექი, ადექიო.

შემოვიდა ეროსი:

— რა ფეხზე დამდგარხარ, ბიჭო, დაჯექიო.

დავჯექი.

შემოვიდა რეზო ტაბიძე. ეროსიმ რომ არ გაიგოს, ისე მანიშნებს: ადექი, ადექიო.

შემოვიდა ეროსი.

— დაჯექი, ბიჭოო.

სამი-ოთხჯერ ასე, ამაყენებენ ესენი, ეროსი დამსვამს. ვიფიქრე, სასაცილოდ მიგდებენ, აღარ ავდგები ახლა, რაც გინდა მითხრან-მეთქი.

მშვენიერი საღამო გამოვიდა.

ეროსიმ გამომაცილა და წამოსვლისას წყნარად მითხრა: ოქრო, მაგ ადგილას აღარ დაჯდე, რა, ჩემი ადგილიაო.

## ქართველები მოსკოვში

**ვახტანგ კობაიძე:** „მონანიების“ პრემიერაზე ვარ მოსკოვში. სხვათა შორის, „მონანიება“ ჩვენი დროის ტელევიზიის დაკვეთით არის გადაღებული, ეს ტელეფილმია, თუმცა თავიდან გაფორმდა, როგორც ტელესპექტაკლი, რადგან ტელესპექტაკლს საკავშირო ცეკას დამტკიცება სჭირდებოდა. ნუგზარ ფოფხაძემ აიღო თავის თავზე..

მოკლედ, „დომ კინოში“ ვარ მოსკოვში. ინტერვიუები უნდა ავიღო პრემიერის შემდეგ. თენგიზ აბულაძესთან, ზეინაბ ბოცვაძესთან და სხვებთან ერთად ვდგავარ, ჟენია ევტუშენკო საუბრობს აღფრთოვანებული და ვერ ვახერხებ ინტერვიუ ვთხოვო. ამასობაში კირილ ლავროვი დავინახე, უდიდესი მსახიობი. მივვარდი ლავროვს. გაცეცხლებული სახე აქვს და მეუბნება: ატ ვას ნესიოტ ი ვანიაეტ. ატ კავო-მეთქი, ვკითხე. არ დამავიწყდება: ატ ვასო. ატ ვას ტოჟე ნესიოტ, ზავისტიუ ი შოვინიზმომ-მეთქი. ამ დროს ევტუშენკომ ჩამავლო ხელი და ისეთი ინტერვიუ მომცა, არაჩვეულებრივი. ეს ჩანაწერი რადიოს ოქროს ფონდში დევს.

## ენაბლუები

**ვახტანგ კობაიძე:** ორშაბათს საინფორმაციო გადაცემა მიჰყავდა ერთ წამყვანს, სამშაბათს სხვას, ოთხშაბათი ჰქონდა მერაბ ბერაძეს, ცხონებულ გურამ ჟვანიას მიჰყავს „თბილისი, ჩემი სიყვარული“, მე რუსთაველის თეატრს ვაშუქებ. 1981 წელია. გურამ ჟვანია ლ-ს ვერ ამბობდა, მე ხან ვამბობ რ-ს, ხან — ვერა, მერაბ ბერაძისთვის შ და ს არ არსებობდა. მოკლედ, „მოამბე“ ბრწყინვალედ ჩატარდა, ნუგზარ ფოფხაძე გვეუბნება: ბიჭებო, გილოცავთ, პრემიები ჩემზეა, კარგი „მოამბე“ იყო. ამასობაში რეკავს ტელეფონი. ნუგზარმა გულიანად გაიცინა - "ამ ბოლო დარეკვამ ერთი იდეა მიკარნახა - როგორ გამოვასწორო თქვენი ენაბლუობაო"... იდეა განხორციელდა იმით, რომ ტელევიზიის შტატში ლოგოპედი აიყვანეს...

## უშანგი კაპანაძე — ტელევიზიის წინასწარმეტყველი

**მერაბ ხაჩიძე:** თანამშრომელი გვყავდა, არაჩვეულებრივი კაცი, რეჟირორი უშანგი კაპანაძე. ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ 31 დეკემბერს აიღებდა შვებულებას და ახალ წელს სოჩაში ხვდებოდა. ჩიბუხს ეწეოდა, საინტერესო კაცი იყო. ერთ დღეს მეუბნება: იცი, მერაბ, ბრეჟნევი მოკვდაო.

— რას ამბობ, ბატონო უშანგი, რა მოკვდა, რატომ ხუმრობთ-მეთქი.

თუ არ გჯერა, მალე გაიგებო და წავიდა.

მაშინ საბავშვო რედაქციის მთავარი პროგრამების მთავარი რედაქტორი ვიყავი.

ერთ დღეს ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ მითხრა: ლეილა ყუბანეიშვილი ჩამოვიდეს, ბრეჟნევი მოკვდაო.

— ვიცი-მეთქი.

— რა იციო? — შემეკითხა ბატონი ნუგზარი.

— ბრეჟნევი რომ მოკვდა, ის ვიცი-მეთქი.

— შენ რა იცი, მეც ახლა გავიგეო.

— ეს ამბავი გუშინწინ მითხრა უშანგი კაპანაძემ-მეთქი.

— გიჟები ხართო, — თქვა და წავიდა.

გავიდა დრო.

ბრეჟნევის შემდეგ ანდროპოვი დაინიშნა. ერთ დღეს უშანგი მეუბნება:

— ანდროპოვი მოკვდაო.

— დამიჭირენ, უშანგი, ამას ვერ ვიტყვი-მეთქი.

ამასობაში საინფორმაციოსთვის რაღაც ტექსტი მომცეს, მე შევუტანე ბატონ ნუგზარს და ვერ ვისვენებ, რომ ეს ამბავი არ ვუთხრა:

— რა მოხდა, რაღაც ვერ ისვენებ შენო, — მითხრა ბატონმა ნუგზარმა.

— უშანგიმ მითხრა, ანდროპოვი მოკვდა-მეთქი.

— ეს ის უშანგი არაა, სამი წლის წინ რომ თქვა, ბრეჟნევი მოკვდაო?

—კი-მეთქი.

— შენ და მაგ უშანგის სანამ არ გაგაციმბირებენ, არ მოისვენებთო?

მე ვუთხარი: ნაღადად მკვდარი იქნება ანდროპოვი, უშანგიმ თქვა-მეთქი.

მეორე დღეს მეძახის.

— უშანგის დედა ასე და ისეო.

— რა მოხდა ბატონო ნუგზარ-მეთქი?

— ანდროპოვი მოკვდაო.

გავიდა ისევ დრო.

ცკ-ს პირველი მდივანი გახდა ჩერნენკო.

იგივე განმეორდა.

მეძახის ბატონი ნუგზარი თავის კაბინეტში.

— დაჯექი, — მეუბნება. ეს წუთია დამირეკა შევარდნაძემ, ჩერნენკო მომკვდარა, საინფორმაციო უნდა შევცვალოთ, მაგრამ უშანგისთან გადაამოწმე, ყოველ შემთხვევაშიო.

## ჯუღელის „მოჩვენება“

**მერაბ ხაჩიძე:** მთელი მთავრობა მოსკოვშია გაკრეფილი, კეთილი ნების თამაშები იმართებოდა.

ნუგზარ ჯუღელი საფოსტო რეისს გაჰყვა მოსკოვში.



საღამოს უნდა ჩამოვიდეს, „მოამბეში“ სიუჟეტი აქვს.

მივედი საღამო ხანს. „მოამბის“ სტუდიასთან შეკრებილნი არიან და ისმის ერთი ხარხარი.

ნუგზარ ჯუღელი ჰყვება: დილაადრიან გაზეთების საყიდლად გამოვედი. შუქნიშანთან ვდგავარ. უცებ ჩემს ფეხებთან შავი „ვოლგა“ გაჩერდა. მანქანის შუშა ჩამოიწია და ისმის ბატონი ნუგზარის ხმა: ჯუღელი, ჩამოხვალ თბილისში და მე გაჩვენებ როგორ უნდა სამსახურიდან გაპარვაო.

მერე ბატონი ნუგზარი ამბობდა — ჯუღელმა ცას შეჰღაღადა: „ღმერთო, რა დაგიშავე, 16-მილიონიან ქალაქში, ამ დილაუთენია ნუგზარ ფოფხაძე რომ შემახვედრეო?!“

**ირანდა კალანდაძე**

ISSN 2233-3983
9 772233 398001